ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
სადოქტორო პროგრამა: ფილოსოფია

ფილოსოფიის დოქტორანტი ეკატერინე გამრეკელაშვილი

ლუდვიგ ვიტგენშტაინის ეპისტემოლოგია და მნიშვნელობის თეორია

ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფესორი ვალერიან რამიშვილი

თბილისი

2024

აბსტრაქტი

საკვანძო სიტყვები: ცოდნა, უეჭველობა, სიტყვის მნიშვნელობა, ეპისტემოლოგია

ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიური შეხედულებების ანალიზი, კერძოდ, მისი ეპისტემოლოგიისა და მნიშვნელობის თეორიის ერთმანეთთან დაკავშირებისა და ერთიან ჭრილში გააზრების მცდელობა მნიშვნელოვანია ეპისტემოლოგიური სფეროს განვითარებისათვის. ნაშრომი იხილავს იმ პრობლემებს და შედეგებს, რაც გამომდინარეობს ვიტგენშტაინის ფილოსოფიის სამი ეტაპის ერთიან ჭრილში მოქცევის და განხილვის მცდელობიდან. ამ საერთო სურათში მოცემულია მნიშვნელობიდან ცოდნაზე გასვლა, ენობრივი თამაშის და ცოდნის კავშირის ანალიზი, ტრაქტატისეული სამყაროდან ენობრივი თამაშის სამყაროზე გადასვლის მომენტის გააზრება, ტრაქტატისეული ეპისტემოლოგიის მნიშვნელობის თეორიულ ეპისტემოლოგიასთან კავშირის და შეპირისპირების მომენტის შეფასება, რაც ვიტგენშტაინის ფილოსოფიის ახლებურად გააზრების საშუალებას იძლევა.

სადისერტაციო კვლევის მიზანი რამდენიმე მომენტისგან შედგება; პირველ რიგში, მოცემულია მცდელობა, რომ ვიტგენშტაინის მრავალფეროვანი, ერთი შეხედვით სრულიად საპირისპირო და განსხვავებული თეორიები ერთიან ჭრილში იქნეს გააზრებული, რაც თეორიების უფრო მეტად სიღრმისეული და ეფექტური ანალიზის საშუალებას იძლევა. მნიშვნელოვანი მაკავშირებელი მომენტები არის მოძიებული და გააზრებული, რაც საშუალებას იძლევა, რომ ვიტგენშტაინის თეორიების სამეტაპოვანი განვითარება ერთი მიმართულებით წარმართოს, საბოლოოდ, მოგვცეს სამყაროს შემეცნების დახვეწილი, ორიგინალური თვალსაზრისი. ამასთან, ნაშრომის მიზანია უფრო სიღრმისეულად და დეტალურად გააანალიზოს, რა კავშირი არსებობს ცოდნასა და მნიშვნელობას შორის, როგორ გავდივართ ცოდნაზე ენობრივი თამაშის თეორიიდან და რა ტიპის საფუძველი უნდა ვეძიოთ ცოდნის ჭეშმარიტებისა და მნიშვნელობის ბაზისის

გააზრებისთვის. დასმულია საკითხი, რომ მოქმედებას გავყავართ ცოდნაზე, ჩვენი აქტივობა, მოქმედება, სიტყვის გამოყენებით განსაზღვრული სამყაროსადმი მიმართება გვაძლევს იმ ტიპის ცოდნას, რაც ცოდნის სრულიად განსხვავებულ განზომილებაში გადატანის საშუალებას იძლევა და ხსნის სფეროს ამ ახალი ტიპის ცოდნის გააზრებისა და შეფასებისათვის. ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, რომ მოგვცეს დამაკავშირებელი ხიდი ცოდნასა და მოქმედებას შორის და ცდილობს დაგვეხმაროს სამყაროსთან მიმართების ამ ორი მომენტის შეკვრასა და ანალიზში. დეტალურად გაანალიზებულია უეჭველობის ცნება და მისი მნიშვნელობა ვიტგენშტაინის ფილოსოფიური თვალსაზრისისთვის, რამაც ახალი ტიპის ეპისტემოლოგიის შესაძლებლობა შექმნა, შემეცნების პრობლემების ანალიზისთვის ახალი განზომილება მოგვცა.

სადისერტაციო ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგია ემყარება ორიგინალური ტექსტების ანალიზს, მეორადი ლიტერატურის შეფასებას, პრობლემური საკითხების დეტალურ ჩაშლასა და გააზრებას. სწორედ ამ მეთოდებით არის შესაძლებელი ვიტგენშტაინის ფილოსოფიურ ტრაქტატებში მის მიერ სპეციფიური სტილით მოცემული დაშიფრული ინფორმაციის გააზრება და ამ ძიებების საფუძველზე შედეგების მიღება.

მოცემული სადისერტაციო ნაშრომის წინაშე დგას გამოწვევები და სირთულეები, რაც ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიური სტილის ორაზროვნებიდან თუ მასში დაშიფრული ინფორმაციის არცთუ მარტივად გააზრების საშუალებას იძლევა და ამასთან, უკვე არსებული გარკვეული დეტერმინირებული თვალსაზრისების გავლენა, რომლებიც ათწლეულების მანძილზე ვიტგენშტაინის ფილოსოფიას ერთმანეთთან დაპირისპირებულ და ერთი მეორის უარმყოფელ ნაწილებად იაზრებდა. ნაშრომის კვლევის შედეგები დაგვეხმარება მთელი ამ მრავალფეროვანი თეორიების ერთი მიმართულებით წარმართვაში, კერძოდ, ცოდნის შეფასებასა და ანალიზში, რაც მნიშვნელოვან

კონტექსტს იძლევა თეორიების და თვალსაზრისების შემდგომი განვითარებისათვის, როგორც ფილოსოფიაში, ასევე, სხვა მრავალ დარგში, სადაც ვიტგენშტაინის ფილოსოფიას მნიშვნელოვანი გამოხმაურება ჰქონდა ან აქვს.

Abstract

Keywords: Knowledge, Meaning of a word, Epistemology, Action

The analysis of the philosophical views developed by Ludwig Wittgenstein, namely, connecting his epistemological views and theory of meaning and attempt of their analysis in a whole is important for the development of the sphere of Epistemology. The work discusses the problems and the results that follow the attempt of discussion of Wittgenstein's three-stage philosophy into a whole. In this general picture there is given transition from meaning to knowledge, analysis of the connections between language game and knowledge, understanding the moment of transition from Tractarian world towards the language game world, evaluationg comparison of the connection of the Tractarian epistemology with the epistemology of the theory of meaning, that gives chance to analyze Wittgenstein's philosophy in a newly different way.

The aim of the research contains several moments; there is given the attempts to understand as a whole Wittgenstein's diverse, at first sight totally opposed and different theories that give the opportunity to analyze the theories deeply and effectively.

There are given and discussed important connecting moments, that give chance to make Wittgenstein's three-stage development as a whole and in the end present us well developed, original worldview. Also the aim of the work is deep and detailed analysis of what connections are between knowledge and meaning, how we can reach knowledge from the theory of language game and what basis we should search for understanding the basis of truth of knowledge and meaning. There is given the task that meaning leads us to

knowledge, our approach towards the world determined by our activity, action, use of word is giving us that kind of knowledge that transits knowledge towards quite different dimension and opens the sphere for discussion and evaluation of this new kind of knowledge.

The work presents the attempts to give the connecting lines between knowledge and activity and tries to help us to tie up and analyze these two moments of our approeaches towards the world. There is given detailed analysis of the notion of certainty and its importance for Wittgenstein's philosophical position, that creates the possibility of new type of Epistemology, gives new dimension for the analysis of the epistemological problems.

The research methodology of the work is based on the analysis of original texts, secondary literature, detailed discussion and analysis of problematic questions. Exactly these methods are necessary in order to understand the covered meaning given with a specific style of expression used in Wittgenstein's works and to reach the results based on these searches.

This work deals with the difficulties that result from the ambiguity of Wittgenstein's style of philosophyzing or gives not easy task to analyze the covered information, and also another problem is already existing determined positions those which during years understood Wittgenstein's philosophy as being opposed and one another rejecting parts.

The results of the search will help us to guide all these diversities of theories into one direction, namely, towards the evaluation and analysis of knowledge, that gives important context for the further developement of theories and viewpoints as in philosophy as in other spheres that was and still is being vastly affected by Wittgenstein's philosophy.

შინაარსი

შესავალი.....1

თავი 1

მნიშვნელობა და თანამედროვე ეპისტემოლოგია

1.1.ცოდნა, როგორც შემოწმებული ჭეშმარიტი რწმენა თანამედროვე ეპისტემოლოგიაში.....20

1.1.1. პლატონის შემეცნების თეორიის ანალიზი ცოდნისა და რწმენის მიმართების თვალსაზრისით.....26

1.1.2. პლატონის შემეცნების თეორიის გავლენა თანამედროვე ეპისტემოლოგიურ პრობლემატიკაზე.....31

1.2.ტრაქტატის ეპისტემოლოგია 38

თავი 2

ტრაქტატიდან გამოკვლევებამდე

2.1. სიტყვის მნიშვნელობა, როგორც გამოყენება.....50

2.2. ლუდვიგ ვიტგენშტაინის პირველი და მეორე პერიოდის ეპისტემოლოგია.....58

თავი 3

სიტყვის მნიშვნელობა, ენობრივი თამაში, ცოდნა

3.1. ლუდვიგ ვიტგენშტაინის მესამე ფილოსოფიის მნიშვნელობა.....82

3.2. სიტყვის მნიშვნელობიდან ცოდნაზე გასვლა.....85

3.3. ენობრივი თამაში და მისი საფუძველი.....92

3.3.1 მოქმედება, როგორც ენობრივი თამაშის საფუძველი.....100
3.3.2 უეჭველობა და ენობრივი თამაშის საფუძვლის პრობლემა.....104

თავი 4

ეჭვი, ცოდნა და რწმენა

4.1 გონივრული ეჭვი და უეჭველობა.....109

4.1.1 ენობრივი თამაშის თეორია, როგორც ცოდნის საფუძველი.....111
4.1.2. ეჭვის გონივრულობის საკითხი და ცოდნის პრობლემა.....115
4.2. გონივრული ეჭვის ცნება და ცოდნა.....118
4.3. გონივრული ეჭვი და უეჭველობა.....122
4.4. ეჭვი, ენობრივი თამაში და უეჭველი.....125

4.5. ლუდვიგ ვიტგენშტაინის ეპისტემოლოგია, როგორც მისი ფილოსოფიური აზრის გაერთიანება.....129

დასკვნა.....149

ბიბლიოგრაფია.....153

შესავალი

ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიური შეხედულებების შესწავლა და ანალიზი მნიშვნელოვანია როგორც, ზოგადად, ფილოსოფიური აზრის განვითარების ეტაპების და მიმართულებების გასააზრებლად, ასევე, სხვადასხვა სფეროში ამ თვალსაზრისის გავლენის შეფასებისა და მისი ადგილის მოხაზვისთვის. ვიტგენშტაინის ფილოსოფიის მრავალფეროვნება, მისი თვალსაზრისის განვითარება მის სხვადასხვა პერიოდში, მის მიერ ერთიანი სურათის მოცემის მცდელობა, ყველა ეს მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შევძლოთ მისი, როგორც ფილოსოფოსის ღირებულების და გავლენების გააზრება. ვიტგენშტაინის სწორედ ამ მრავალფეროვანმა და, ამასთან, ყველა ეტაპზე აზრის სრულყოფილად მოცემის მცდელობამ, სამყაროს მთავარი კითხვების ამოხსნის ძიებამ, მისმა ორიგინალურმა იდეებმა განაპირობა მისი ხედვის ავთენტურობა და წარმოშვა სწორედ ის გარემო, რომელშიც, მიუხედავად მისი ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი თეორიებისა, მისმა ყველა პერიოდის თვალსაზრისმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა იმ ეპოქის (და არა მხოლოდ) ფილოსოფიური და არა მარტო ფილოსოფიური თვალსაზრისების განვითარებაზე.

როგორც არ უნდა ვისაუბროთ ვიტგენშტაინზე სხვა ფილოსოფოსებისა თუ ფილოსოფიური სკოლების გავლენის შესახებ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მისი განსაკუთრებული ტიპის ორიგინალობა, თუ როგორ ვითარდება ეს დამოუკიდებელი, სპეციფიური თვალსაზრისი უამრავ ფილოსოფიურ შეხედულებებს შორის, მითუმეტეს, უხეშად რომ ვთქვათ, მის მიერ მოცემული სამი ტიპის თეორია, სამი პერიოდის განმავლობაში განვითარებული სულ სხვადასხვა სტილის თვალსაზრისები, რომლებიც ერთმანეთთან, შესაძლოა, არცთუ ჰარმონიულადაა შერწყმული და უფრო მეტიც, წინააღმდეგობრივადაც განიხილავს ბევრი მკვლევარი თუ მოაზროვნე, და მაინც, ვიტგენშტაინის ყველა ამ პერიოდის

ფილოსოფიურმა შეხედულებებმა საოცარი გავლენა მოახდინა სხვა ფილოსოფოსებსა თუ ფილოსოფიურ სკოლებზე, და ასევე ადამიანური აზროვნების და არსებობის უამრავ სხვა სფეროზე და დღესაც აგრძელებს ამ გავლენას. დღესაც არ ცხრება მისი თეორიის განხილვა, ათასგვარად მსჯელობენ მისი თეორიიდან გამომდინარე შედეგების შესახებ სხვადასხვა სფეროებისთვის, ცდილობენ ამოიცნონ, სხვადასხვა ჭრილში რა დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ეს თვალსაზრისები მთავარ ფილოსოფიურ და არა მხოლოდ ფილოსოფიურ კითხვებზე საპასუხოდ. ამდენად, ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიის აქტუალობა ერთმნიშვნელოვნად ხაზგასასმელია და აღსანიშნავია, რომ ყველა მცდელობა, რომელიც ამ თეორიების უფრო ღრმა და სერიოზულ ანალიზს ეძღვნება, მნიშვნელოვანი და საჭიროა.

აღსანიშნავია, ფრეგეს, რასელის, ვენის წრის გავლენები ვიტგენშტაინის ფილოსოფიური თვალთახედვისთვის იმპულსის მისაცემად. თავად ვიტგენშტაინის გავლენა ფილოსოფიის ფართო წრეებზე, თვალსაზრისებზე, სკოლებზე, ცალკეულ ფილოსოფოსებზე, სხვა მეცნიერებებსა და ხელოვნებაზე, თუ როგორ მოამწიფა და მოამზადა ვიტგენშტაინის ადრეულმა პერიოდმა გვიანდელი პერიოდის პრობლემატიკა და თემები თუ თვალსაზრისები. საიდან დაიწყო და სად აღმოჩნდა – საწყისი მიზანი და შედეგად მიღებული თვალსაზრისები, რომლებიც შემდგომ ჰპოვებდა განვითარებას. ყველა ამ მომენტის ერთიან ჭრილში გააზრება მრავალ პრობლემურ კითხვას უპასუხებს და მისი თვალსაზრისის და გავლენის სფეროს უკეთ გაგების საშუალებას მოგვცემს.

ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიის ანალიზი და კვლევა დღემდე საოცრად აქტუალურია, 21-ე საუკუნეშიც კი უამრავი ახალი ლიტერატურა გამოდის მისი ფილოსოფიის სხვადასხვა პერიოდსა თუ საკითხზე. მიუხედავად მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების სიმცირისა, ამან ხელი ვერ შეუშალა მისი თეორიების გავრცელებას სხვადასხვა მიმართულებასა თუ სკოლაში, და არა

მხოლოდ ფილოსოფიურ მიმდინარეობებში. ვიტგენშტაინის თვალსაზრისის კვლევაზე დღესაც ძალიან ბევრი მკვლევარი, სკოლა, საზოგადოება მუშაობს:

„მართალია ვიტგენშტაინმა თავისი ფილოსოფიური ნაშრომებიდან მხოლოდ ტრაქტატი გამოაქვეყნა, მისი გარდაცვალებიდან 50 წლის შემდეგ ვიტგენშტაინზე ლიტერატურა უახლოვდება 1995, ასევე არსებობს 9000-მდე შესავლები. გამოკვლევებმა და ტრაქტატმა ორივემ, როგორც ანალიზურ, ასევე კონტინენტურ ფილოსოფიაზე ერთნაირად მოახდინეს გავლენა. ცხადია, ვიტგენშტაინი ამ ორ ძირითად თანამედროვე ფილოსოფიას შორისაა (გლოკი 2004). არსებობს ვიტგენშტაინის საზოგადოებები ავსტრიაში, გერმანიაში, უნგრეთში, პოლონეთში და ჩრდილოეთ ამერიკაში. ავსტრიული საზოგადოება ყოველწლიურად აწყობს ვიტგენშტაინზე სიმპოზიუმს კირხბერგში. გერმანული საზოგადოება აქვეყნებს ვიტგენშტაინის კვლევებს. ბრიტანული ჟურნალი „ფილოსოფიური გამოკვლევები“. არქივები - ბრენნერი, ბერგენი, კემბრიჯი, ჰელსინკი. ბერგენის არქივი - Nachlass, ასევე აქვეყნებს სამუშაო ნაწერებს და აქვს ვებ-გვერდი.“ [1]

ლუდვიგ ვიტგენშტაინის გავლენის შესახებ ცალსახად მიუთითებს ყველა მკვლევარი და ხაზგასმით აღნიშნავს გავლენის სფეროების მრავალფეროვნებას:

„ტრაქტატისა და გამოკვლევების შემდეგ ვიტგენშტაინმა გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ორ ფილოსოფიურ მიმდინარეობაზე - ვენის წრე და ოქსფორდის ჩვეულებრივი ენის ფილოსოფია, არამედ, მრავალ სხვადასხვა ტიპის ფილოსოფოსზეც.“ [2]

ვიტგენშტაინის ფილოსოფიის დახასიათების მნიშვნელოვანი მომენტია იმის ხაზგასმა, რომ მისმა თვალსაზრისებმა აზროვნების ღერძის მიმართულება შეცვალა და არსებული პრობლემები და საკითხები სრულიად სხვა ჭრილში დაგვანახა:

---

[1] Kahane, Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 37.

[2] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 1.

„XX საუკუნის დასასრულს ჩატარებულ გამოკვლევაში ამერიკელმა ფილოსოფოსებმა დაასახელეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი XX საუკუნეში, მათ შორის გამოკვლევები პირველ ადგილზე იყო, ტრაქტატი - მეოთხეზე. ვიტგენშტაინი ერთადერთი ფილოსოფოსი იყო, ვინც მოხვდა "Time's" 100 ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანს შორის, ვინც საუკუნის გადატრიალებაში მიიღეს მონაწილეობა." [3]

ვიტგენშტაინის შესახებ, მისი ფილოსოფიური აზრის გაგებისთვის მნიშვნელოვანია ფილოსოფიისადმი მისი დამოკიდებულების განსაზღვრა:

„შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფია მივიდა მასთან და არა ის - ფილოსოფიასთან."[4]

ვიტგენშტაინის შესახებ მრავლისმთქმელია მისი ფილოსოფიასთან პირველი შეხება, როდესაც ჯერ კიდევ მცირე ასაკში მას პირველი ფილოსოფიური კითხვები გაუჩნდა და რამაც განსაზღვრა შემდგომში მისი პიროვნული მახასიათებლები:

„რატომ უნდა ვთქვათ სიმართლე, თუ უფრო მომგებიანია სიცრუე?" ამგვარი იყო ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიური რეფლექსიის საწყისი გამოცდილება. დაახლოებით რვა თუ ცხრა წლის ასაკში მან დასვა ეს კითხვა. ვინაიდან ვერ იპოვა დამაკმაყოფილებელი პასუხი, მან გადაწყვიტა, რომ ასეთ შემთხვევაში სიცრუეში ცუდი არაფერია. მოგვიანებით ცხოვრების მანძილზე მან ეს მოვლენა ამგვარად აღწერა, „გამოცდილება, რომელიც შეიძლება გადამწყვეტი არ იყო იმ დროს ჩემი მომავლისთვის, თუმცა, რომელმაც იმ დროს ჩემი ბუნება განსაზღვრა." " [5]

---

[3] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 1.

[4] Monk, *Ludwig Wittgenstein*, 15.

[5] Ibid. 15.

საბოლოოდ, ის იქცა ადამიანად, რომელიც სვამდა უამრავ კითხვას და ეძებდა პასუხებს, მისი ფილოსოფიის სტილი სრულად კითხვების დასმა და მათზე პასუხების მოპოვების მცდელობას წარმოადგენს:

„“მიწოდეთ ჭეშმარიტების მაძიებელი“, მან მიწერა ერთხელ თავის დას (რომელმაც ის წერილში მოიხსენია უდიდეს ფილოსოფოსად), „და მე კმაყოფილი ვიქნები.“[6]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიტგენშტაინის დაინტერესება ენის საკითხებით შემთხვევითი არ იყო, ეს იყო იმ პერიოდის, ეპოქის მახასიათებელი. XX საუკუნის ფილოსოფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სწორედ ენის ფილოსოფია წარმოადგენს. ამ პერიოდიდან ენის საკითხებით დაინტერესება განსაკუთრებით აქტუალური გახდა:

„შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის ფილოსოფია არსებითად ენის ფილოსოფიას წარმოადგენს.“ [7]

ენის ანალიზი საოცრად აქტუალური გახდა, რაც ფილოსოფიურ პრაქტიკას დღემდე გასდევს და არ დაუკარგავს ეს აქტუალობა. სწორედ ენის და მეტყველების ანალიზით ცდილობენ ცოდნის ბუნების გაგებას:

„XX საუკუნის ფილოსოფიაში ცნობიერების ანალიზის ადგილს იკავებს ენის ანალიზი, ენა დამოუკიდებელი საწყისი გახდა. ენა და მეტყველება თამაშობს გადამწყვეტ როლს ცნობიერების სტრუქტურის კვლევის, აზროვნების და ცოდნის დაფიქსირების პროცესში, ცოდნის ბუნების გაგებაში.“ [8]

ვიტგენშტაინის კვლევის ობიექტი სწორედ ენაა, მის სხვადასხვა პერიოდის ფილოსოფიაში სხვადასხვა ჭრილში დანახული:

„ვიტგენშტაინი, როგორც პირველ, ისე მეორე პერიოდში იკვლევს ენას, მის შესაძლებლობებს და მისი გამოყენების წესებს. მაგრამ თუ „ტრაქტატში“ ენა

---

[6] Monk, *Ludwig Wittgenstein*, 15.

[7] კვარაცხელია, *შემეცნების თეორია*, 185.

[8] ბრაჭული, რამიშვილი, ზაქარიაძე, ჯალაღონია, *ფილოსოფიის შესავალი*, 110.

მისთვის რაღაცის ხატია, ე.ი., გარკვეული, თუნდაც არაპირდაპირი აზრით გაგებული, ასახვაა სინამდვილის, ანუ სამყაროსი, როგორც ატომური ფაქტების ერთობლიობისა, „ფილოსოფიურ გამოკვლევებში“ ხატსა და ასახვაზე საერთოდ უარია ნათქვამი... ენა თამაშის წესად ცხადდება, ხოლო იგივურობის ადგილს იკავებს თანმიმდევრული ნომინალიზმისთვის შესაფერი სიმბოლო - „ოჯახური მსგავსება“. [9]

ვიტგენშტაინი ცდილობს მოხაზოს შემეცნების შესაძლებლობა, ჩარჩოები, სადაც ჩვენ შეგვიძლია ცოდნაზე გვქონდეს პრეტენზია, მოიძიოს ცოდნის მოპოვების გზები:

„ვიტგენშტაინს სურს განსაზღვროს აზროვნების საზღვრები, რაც ჩვენი ენის საზღვრებით განისაზღვრება... მას სურს აზროვნების საზღვრების დადგენა აზროვნების ენის საზღვრების დადგენის სახით.“ [10]

ვიტგენშტაინის ფილოსოფიური თვალსაზრისის განვითარებას პირობითად ყოფენ ადრეულ და გვიან ფაზებად, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანია გვიანდელი პერიოდი, სადაც ვიტგენშტაინის სამი ტიპის თეორიას განასხვავებენ:

„მისი შრომები იყოფა ადრეულ და გვიანდელ ფაზებად. გვიანდელ შრომებს ყოფენ შუა პერიოდად, გვიან პერიოდად და (რასაც ხშირად უწოდებენ) მესამე ვიტგენშტაინად.“ [11]

ლუდვიგ ვიტგენშტაინის გვიანი პერიოდიდან მისი მეორე ფილოსოფია ითვლება ყველაზე მნიშვნელოვნად, კერძოდ, მისი ენობრივი თამაშის თეორია და მასთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვიტგენშტაინის მესამე ფილოსოფია, ნაშრომი „უეჭველობის შესახებ“ არ არის შესაბამისად დაფასებული, აუცილებელია ამ ნაშრომის უფრო მეტი სიღრმისეული ანალიზი და

---

[9] თევზაძე, *XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია*, 140, 141.

[10] ბრაჭული, რამიშვილი, ზაქარიაძე, ჯალაღონია, *ფილოსოფიის შესავალი*, 110.

[11] Addis, *Wittgenstein*, 1.

მეორე და მესამე ფილოსოფიის ერთიან ჭრილში განხილვა, რაც ეპისტემოლოგიასა და მნიშვნელობას დააკავშირებს ერთმანეთთან და უფრო სრულყოფილ ცოდნას მივიღებთ, უფრო სრულყოფილ სურათს, უფრო სიღრმისეულ ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი თვალსაზრისის მიხედვით ე.წ. მესამე ვიტგენშტაინის თვალსაზრისი მეორე ფილოსოფიის გაგრძელებად შეიძლება განვიხილოთ, თუმცა ჩვენ ამ მიმართულებით მივყვებით კვლევას, უფრო მეტიც, ვიტგენშტაინის ყველა პერიოდს ერთიან ფილოსოფიურ თვალთახედვად განვიხილავთ:

„1946-51 წლების პერიოდი ვიტგენშტაინის აზროვნებაში განსხვავებულ ფაზად ითვლება (ხშირად უწოდებენ "მესამე ვიტგენშტაინი"). გამოკვლევების II ნაწილი ამ პერიოდს ეკუთვნის. ამ პერიოდის ყველაზე ცნობილი ნაშრომია "უეჭველობის შესახებ" - ვიტგენშტაინის მიერ ეპისტემოლოგიური საკითხების კვლევა. არსებობს დავა იმის თაობაზე, ამ პერიოდის შრომები უნდა ჩაითვალონ თუ არა გამოკვლევებიდან ახალი მიმართულებით წასვლის მცდელობად, თუ მისი გაგრძელებაა." [12]

ვიტგენშტაინის ფილოსოფიის კვლევა და ანალიზი მრავალ სირთულეს აწყდება, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მრავალი შრომა მან გამოუქვეყნებელი დატოვა:

„ვიტგენშტაინმა თავისი შრომების უდიდესი ნაწილი დატოვა გამოუქვეყნებელი. - 12000 გვერდი ხელნაწერი და 8000 გვერდი აუდიო ჩანაწერი დაუტოვა ენსკომს, რიის, ვრიგტს. ეს არის Nachlass - "მემკვიდრეობა".

[12] Addis, *Wittgenstein*, 3.

აუდიო ჩანაწერი CD სახით გამოაქვეყნა ბერგენის უნივერსიტეტში არსებულმა ვიტგენშტაინის არქივმა - Wittgenstein 2000.“ [13]

„ტრაქტატის“ გარდა მას მის სიც ოცხლეში არცერთი წიგნი არ გამოუქვეყნებია:

„ტრაქტატის გარდა (1922), ერთადერთი, რის წიგნად გამოცემასაც ფიქრობდა ის, იყო მართლწერის ლექსიკონი სკოლის მოსწავლეებისათვის, რომელიც შექმნა, როდესაც 1920-იანი წლების დასაწყისში ვენის მახლობლად მასწავლებლად მუშაობდა. მართალია, ის მუშაობდა გამოკვლევებზე, 1930-40-იან წლებში და დამუშავებული ჰქონდა I ნაწილის ადრეული ვერსია, მაგრამ ის მაინც არ გამოუქვეყნებია.“ [14]

ვიტგენშტაინის ფილოსოფიის და მისი თვალსაზრისის სრულყოფილად გააზრება და გაგება რომ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ამას ცალსახად ხაზს უსვამს ყველა მკვლევარი. ერთი სახის სირთულე, როგორც უკვე აღინიშნა, მდგომარეობს იმაში, რომ ვიტგენშტაინი არ აქვეყნებდა თავის ნაშრომებს, ძალიან ცოტა გამოქვეყნება ჰქონდა, მისი ნაშრომების უმეტესი ნაწილი სამუშაო ვერსიის სახით არსებობს, მისი ჩანაწერების მემკვიდრეობის ანალიზი ნამდვილად რთულია:

„თუმცა არ არსებობს შეთანხმება, თუნდაც, ყველაზე მთავარ კითხვებზეც, როგორ გავიგოთ ვიტგენშტაინის მიერ ფილოსოფიაში შეტანილი წვლილი. დაწერილი იქნა მრავალი წიგნი, რომლებიც მას, თითქმის, ყველა სფეროს მიაკუთვნებდნენ.

ამის ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ვიტგენშტაინს ცოტა რამ ჰქონდა გამოქვეყნებული...

---

[13] Addis, *Wittgenstein*, 3.

[14] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 1.

ბოლო 20 წლის მანძილზე გამოკვლევების ყველაზე გავლენიანი და ფართოდ განხილული ინტერპრეტაცია იყო კრიპკეს მიერ მოცემული "ვიტგენშტაინი წესებსა და პირადი ენის შესახებ". კრიპკე წიგნის მთავარ არგუმენტად თვლის წესების შესახებ არსებულ შორსმიმავალ და ახლებურ სკეპტიციზმს." [15]

ვიტგენშტაინის ფილოსოფიის გააზრების და შესწავლის ის სირთულე, რაც მის მიერ ნაშრომების მცირე რაოდენობით გამოქვეყნებითაა გამოწვეული, აჩენს მისი ფილოსოფიური მეთოდის სოკრატულ მეთოდთან მსგავსების განცდას, რის შესახებ მოცემულ ნაშრომში უფრო დეტალური ანალიზი გვექნება:

„გრეგორი ვლასტოსი ვიტგენშტაინს ადარებს სოკრატეს, რადგან მის შესახებ, ისევე, როგორც სოკრატეს შესახებ, უმეტესი რამ ცნობილია მისი მოწაფეებისა და მისი თანამედროვეების მიერ." [16]

ასევე მნიშვნელოვანია ვიტგენშტაინის წერის თავისებური მანერით გამოწვეული აზრის გაგების სირთულე, მის მიერ დაშიფრული ინფორმაციის აღქმისთვის გარკვეული ტიპის მიდგომების შემუშავების აუცილებლობა. მრავალი თვალსაზრისი მიუთითებს ვიტგენშტაინის წაკითხვის პრინციპის სირთულეზე, ვინაიდან ის თავადაც აღნიშნავდა, რომ მისი წერის სტილი საკუთარ თავთან მსჯელობის მცდელობა იყო:

„ტრაქტატი და გამოკვლევები არ შეიცავენ თავებს და არ აქვთ სარჩევი.

ვიტგენშტაინის მიზანი იყო პრობლემების უფრო თავისთვის გააზრება, ვიდრე აუდიენციისათვის საკუთარი აზრების განმარტება. სიცოცხლის ბოლოს თქვა: "თითქმის ყველა ჩემი ნაწერი წარმოადგენს საკუთარ თავთან პირად საუბრებს". [17]

---

[15] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 1.

[16] Kahane, Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 2.

[17] Ibid. 19.

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ვიტგენშტაინის ფილოსოფიის გააზრების თვალსაზრისით შეხედულებათა დიდი მრავალფეროვნება გაგვაჩნია და ეს სწორედ მისი ფილოსოფიის სიღრმეების წვდომის სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამის გამო არსებობს ვიტგენშტაინის ფილოსოფიის მრავალი ტიპის ინტერპრეტაცია და მისი შეხედულებების გააზრების პერიოდებად დაყოფა, ვიტგენშტაინის „ორთოდოქსული“ და „არაორთოდოქსული“ ინტერპრეტატორების არსებობა:

„გორდონ ბეიკერმა... ვიტგენშტაინის ფილოსოფიის სამი ინტერპრეტაცია მოგვცა, რომლებიც დომინანტური იყო.

1950-იანი წლებიდან ვიტგენშტაინის გვიანდელი შრომების მიმოხილვა მოცემულია მალკოლმის, სტროსონის და ფეიერაბენდის მიერ.

დებატები - მაგალითად, რუშ რიის კამათი აიერთან ვიტგენშტაინის პირადი ენის შესახებ.

1950-60-იანებში მეცნიერული შრომები ვიტგენშტაინზე - ენსკომი, ბლეკი, სტენიუსი - ტრაქტატზე.

ამ პერიოდში ვიტგენშტაინის ტრაქტატის განხილვა ცალკეული შენიშვნებით იყო მოცემული - მაგ. ბეიკერი; ეს მეთოდი აიღეს ჰალეტმა და სავინიმ მოგვიანებით. მეორე მეთოდი იყო ჯერ ვიტგენშტაინის ადრეული თეორიის განხილვა და შემდგომ კი - გვიანდელის. ვიტგენშტაინის თეორიის განვითარება, მაგ., კენნი (1973).

ვიტგენშტაინის ინტერპრეტაციამ მწვერვალს მიაღწია ბეიკერთან და ჰაკერთან (198) - გამოკვლევები.

მსგავსი ინტერპრეტაცია - გლოკი, ჰანფლინგი, მაკდონაფი, შულცე, შრიოდერი, მალჰოლი, სტერნი (1995). ამგვარი ინტერპრეტაცია დომინირებდა 1970-90-იანებში. მას ახლახანს უწოდეს "ორთოდოქსული". [18]

მსგავსი ინტერპრეტაციების არსებობა დამოკიდებულია მათ მიდგომაზე, თუ რა მიმართულებით იხილავენ ვიტგენშტაინის ფილოსოფიას, პირდაპირ, უშუალოდ დანახულ თვალსაზრისს აღიარებენ, თუ უფრო სიღრმისეულად იკვლევენ და ცდილობენ ვიტგენშტაინის თავისებურ წერის სტილში ამოიცნონ მეტი, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ორთოდოქსული მიდგომის მთავარი ამოსავალი პრინციპია ვიტგენშტაინის მეორე ფილოსოფიის მისი პირველი ფილოსოფიის სრულ უარყოფად გააზრება:

„ორთოდოქსები გამოკვლევებს ტრაქტატის უარყოფად განიხილავდნენ. ენა-სამყაროს მიმართების ტრაქტატისეული მოდელი.

სამყარო გამოკვლევებში უკვე აღარ არის a priori ფილოსოფიური სპეკულაციის ობიექტი, არამედ, ემპირიული მეცნიერული კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ენის ლოგიკური სინტაქსი სამყაროს სტრუქტურის სარკე კი აღარაა, არამედ, სამყაროს წარმოდგენის უბრალო საშუალება. ენის შესწავლა არ გამოავლენს რეალობის დაკარგულ მეტაფიზიკურ მახასიათებლებს, ვინაიდან, ასეთი რამ არ არსებობს. რაც ძველად ფილოსოფოსებს რეალობის ბუნების შესახებ მეტაფიზიკურ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ, ის მხოლოდ გრამატიკის ჩრდილებია (ბეიკერი და ჰაკერი, 2005, 97).

ორთოდოქსი ინტერპრეტატორები - ფილოსოფიის დანიშნულება თერაპიულია - ჩვენი დაბნეულობიდან გამოყვანა.

თერაპიული ინტერპრეტაციის საფუძველი - ვისდოუ, ბაუმ, ვაისმანი; აშშ-ში სტენლი ქარელი, დრებენი, ბრიტანეთში ბეიკერი, გორდონი (2004).

[18] Kahane, Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 3-4.

ორთოდოქსული თვალსაზრისის კრიტიკა განვითარდა 1990-ებში, რომელიც ვიტგენშტაინის მეთოდზე ფოკუსირდება (პიხლერი, სტერნი).“ [19]

ვიტგენშტაინის ფილოსოფიის გააზრებას ბევრი ინტერპრეტატორი ცდილობდა და ცდილობს ცალკეული პრობლემის ანალიზის მხრივ, მრავალი ცდილობს ამას ვიტგენშტაინამდე არსებული ფილოსოფიური თვალსაზრისების მასზე გავლენების და კავშირების გააზრებით:

„მიუხედავად იმისა, რომ ეს ავტორები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათ საერთო მიდგომა აქვთ ვიტგენშტაინის ადრეულ და გვიანდელ შრომებთან. მაგ., თუ ავიღებთ ბეიკერისა და ჰაკერისეულ ტრაქტატის ინტერპრეტაციას, ისინი მას იგებენ, როგორც რეაქციას წარმოდგენით ცნებაზე ენასა ან აზროვნებასა და რეალობას შორის მიმართების, რომელიც საუკუნეების მანძილზე დომინირებდა ევროპულ ფილოსოფიაში, რამაც ვიტგენშტაინამდე მიაღწია ფრეგეს და რასელის მეშვეობით, და რაც მან მნიშვნელობის სურათის თეორიის მეშვეობით გამოხატა. სურათის თეორიის მიხედვით, ენა არის სამყაროს სარკე.“ [20]

ვიტგენშტაინის ფილოსოფიის გარკვეულ ისტორიულ კონტექსტში და ფილოსოფიური აზრის განვითარების გარკვეულ ეტაპსა თუ ეპოქაში განხილვა მიღებული პრაქტიკაა მისი თვალსაზრისის შეფასების პროცესში, თუმცა აქვე დგება სუბიექტური შეფასების საშიშროებაც, რომ ვიტგენშტაინის თვალსაზრისის ავთენტურობის ნაცვლად, მისი აზრების სპეციფიური, სხვა მიმართულებით გააზრების შემთხვევებთან შეიძლება გვექნეს საქმე, ვიდრე უშუალოდ მის მიერ მოცემული შეხედულებების გაგებასთან:

„ბეიკერმა (1980) ყურადღება გაამახვილა ვიტგენშტაინის ენაში მოდალურ გამოთქმებზე. ის ხედავდა ვიტგენშტაინის ფილოსოფიას, როგორც ცალკეული

---

[19] Kahane, Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 6-7.

[20] Ibid. 2007, 5.

ინდივიდების პრობლემაზე ორიენტირებულს, სპეციფიკურ ისტორიულ კონტექსტში.

ინტერპრეტატორთა უმრავლესობას მხოლოდ ვიტგენშტაინის აზრების სწორი ინტერპრეტაცია კი არ აინტერესებს, არამედ, მის მიმდევრებად აღიქვამენ თავს. თუმცა ხშირად ისინი საკუთარ აზრებს უფრო გამოთქვამენ, ვიდრე ვიტგენშტაინისას, მაგალითად, კრიპკე - პირადი ენის შესახებ.“ [21]

ამ ტიპის საფრთხის გააზრება და შეფასება აუცილებელია, რომ არასწორმა ინტერპრეტაციამ არ მოგვცეს თვალსაზრისის სრულიად სხვა მიმართულებით განვითარება და არ აღმოვჩნდეთ გარკვეული თვალსაზრისების მიერ დეტერმინირებულები, ნაცვლად იმისა, რომ სწორი ანალიზი და შეფასება გავუკეთოთ კონკრეტული ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მნიშვნელობასა და შინაარსს. მითუმეტეს, როდესაც საქმე ვიტგენშტაინს ეხება, რომლის წერის სტილი საოცრად თავისებურია, ვინც სრულიად განსხვავებული ტიპის შეფასებები მოგვცა ფილოსოფიის შესახებ, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა, რომ ახალი ტიპის ხედვას ჩაუყარა საფუძველი:

„უმრავლესობა იზიარებს შეხედულებას, რომ ვიტგენშტაინის თვალსაზრისი ფილოსოფიის შესახებ რადიკალურად განსხვავდება ტრადიციული ფილოსოფიისაგან, რომელიც სხვადასხვა საკითხის პოზიტიურ თეორიულ კვლევას წარმოადგენდა (სამყარო, ცნობიერება, ენა).

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო 50 წლის მანძილზე ანალიტიკური ფილოსოფიის მკვლევარები კვლავაც ტრადიციულ ფილოსოფიურ ჩარჩოებში არიან მოქცეულნი, ამიტომ როდესაც ფილოსოფოსი იხილავს ვიტგენშტაინის

[21] Kahane, Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 10.

ნაშრომს, როგორც ფილოსოფიურ თეზისს ან თეორიას, ის არ იღებს მხედველობაში იმას, რასაც ვიტგენშტაინი აცხადებდა, რომ აკეთებდა. [გამოკვლევები, 128]“. [22]

აქვე ძალიან საინტერესოა ვიტგენშტაინის ფილოსოფიური თვალთახედვის და თეორიების შეპირისპირება კონტინენტურ ფილოსოფოსებთან და იმ შედარებების, კავშირების გააზრება, რაც შეიძლება გამოვავლინოთ მოცემული სახის კვლევებით. განსაკუთრებით საინტერესოა ამ ტიპის შეფასება, მითუმეტეს, როდესაც ვიტგენშტაინის მიერ მოცემული ფილოსოფია ასეთი სიახლე და განსხვავებული ხედვა იყო იმ დროის და ეპოქის ფილოსოფიური აზროვნებისთვის:

„ვიტგენშტაინის ფილოსოფია წარმოადგენს კონტინენტური ფილოსოფიის ისეთი ფიგურების გამოძახილს, როგორიცაა კანტი და კირკეგორი. შედარებები გვხვდება ნიცშეს, ჰაიდეგერს, მერლო-პონტსა და დერიდასთან.

საფრანგეთში, მაგალითად, ვიტგენშტაინის შრომები უკუგდებული იყო ისეთი ფიგურების მიერ, როგორიცაა, ფუკო და დერიდა. პირველი, ვინც ვიტგენშტაინის შესახებ დაწერა საფრანგეთში, იყო პიერ ადო. ის კითხულობდა ვიტგენშტაინს, როგორც ანტიკური ეთიკის გაგრძელებას, ფილოსოფია, როგორც ცხოვრების წესი. ადოს მოჰყვა ჟაკ ბუვერესე, ლიოტარი.

გერმანიაში - ჰაბერმასი, კარლ-ოტო აპელი: კრიტიკული თეორია და ეთიკა. ვიტგენშტაინის ფროიდთან კავშირი პრობლემურია. 1. ვიტგენშტაინის შენიშვნა რიისადმი - “მე ვარ ფროიდის მოწაფე” და “ფროიდის მიმდევარი”. 2. ვიტგენშტაინი აკრიტიკებს ფროიდის თვალსაზრისს ფსიქოანალიზის, როგორც მეცნიერების შესახებ.“ [23]

ცალკე განხილვის თემაა ვიტგენშტაინის კავშირი ფილოსოფიის მისეულ ტიპთან მეტნაკლებად უფრო ახლოს მდგომ თეორიებთან, როგორიცაა,

[22] Kahane, Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 11.

[23] Ibid.7, 13.

პრაგმატიზმი, ჩვეულებრივი ენის ფილოსოფიის სკოლები, ემპირიზმი. აღსანიშნავია ვიტგენშტაინის ფილოსოფიის პრაგმატული ინტერპრეტაცია თუ მის საღი აზრის ფილოსოფოსად მოაზრების მომენტი:

„პრაგმატული, მაგალითად, რამსეი. საღი აზრის ფილოსოფოსი, როგორც მას მური თვლიდა.

კუკი - ვიტგენშტაინი იყო რედუქციონისტი ემპირისტი.“ [24]

მიუხედავად იმისა, რომ ბერტრანდ რასელმა ვიტგენშტაინის ტრაქტატის გამოსვლის შემდეგ ხაზი გაუსვა ამ შრომის დიდ მნიშვნელობას, მისთვის მიუღებელი იყო გამოუთქმელის თემა, რისი განავითარებითაც დაასრულა ტრაქტატის თეორიები ვიტგენშტაინმა:

„რასელმა გააკრიტიკა ტრაქტატი - გამოთქმადის და არაგამოთქმადის, მისტიკურის, გამო.“ [25]

ვიტგენშტაინის ტრაქტატის პერიოდის ღირებულებას მოცემული სკოლები ფილოსოფიური პრობლემების შეფასებისთვის ლოგიკისა და მათემატიკური ანალიზის გამოყენებაში და მის იდეალური ენის ფილოსოფოსად მოაზრებაში ხედავდნენ, ხოლო „ფილოსოფიურ გამოკვლევებს“ ცალსახად უკავშირებდნენ ჩვეულებრივი ენის ფილოსოფიას:

„რამსეიმ, რასელის მსგავსად, ტრაქტატის ღირებულება ლოგიკისა და მათემატიკის საფუძვლებისადმი წვლილის შეტანაში დაინახა.

“იდეალური ენის ფილოსოფოსად” თვლიდნენ ვიტგენშტაინს ფრეგე, რასელი, კარნაპი, ქუაინი.

---

[24] Kahane, Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 14.

[25] Ibid. 38.

ტრაქტატი - ემპირიული უვერტიურა ლოგიკური პოზიტივიზმისათვის - ასე შეაფასეს აიერმა და პოპერმა, მოგვიანებით კი - ჰინტიკამ (1986).

გამოკვლევები - ასოცირდებოდა "ჩვეულებრივი ენის ფილოსოფიასთან"." [26]

აღსანიშნავია ვიტგენშტაინის გავლენები სხვა ტიპის ფილოსოფოსებსა თუ მკვლევარებზეც:

„ვიტგენშტაინმა გავლენა მოახდინა რაილზე, სტროსონზე - კონცეპტუალური (ცნებითი) ანალიზი.

ვიტგენშტაინისადმი ინტერესის პიკი იყო 1950-60-იანებში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა - მნიშვნელობა არის გამოყენება და ოჯახურ მსგავსებაზე, ასევე პირადი ენის არგუმენტებზე.

ვიტგენშტაინისადმი ინტერესი - გერმანელი და ავსტრიელი მეცნიერები (შპეხტი 1963; ჰალერი 1988;), იტალიელი (ფრასკოლა 1994; მარკონი 1997); საფრანგეთში მხოლოდ ბოვერესი (1987)." [27]

აღსანიშნავია, ვიტგენშტაინის ფილოსოფიური აზრის ინტერპრეტირების კიდევ სხვა ტიპის მცდელობები, როგორიცაა, ინტერნალისტების შეხედულებები, ვინც პრობლემას მის მიერ თვალსაზრისის გადმოცემის სტილთან აკავშირებს. ზოგიერთი მათგანი ამტკიცებს, რომ ვიტგენშტაინის ფილოსფიური აზრის განვითარებაში არ არსებობს ერთიანობა და სისტემურობა (ზომიერი ინტერნალისტები), რომ მისი ფილოსოფიის ყველა პერიოდი დამოუკიდებელია და განსხვავებულ შეხედულებებს იძლევა:

„ზომიერი ინტერნალისტები უარყოფენ იმას, რომ თითქოს, ვიტგენშტაინის ნაშრომებში არ არის ერთიანობა და სისტემურობა. ბეიკერი და ჰაკერი

[26] Kahane, Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 39-41.

[27] Ibid. 41.

ამტკიცებდნენ, რომ ვიტგენშტაინმა 16 წელი მიუძღვნა გამოკვლევების შექმნას და ამდენად, მას უნდა ჰქონოდა საერთო მისთვის, თუმცა ეს საერთო უშუალოდ არ ჩანს, ის უნდა რეკონსტრუირდეს.“ [28]

რაც შეეხება ე.წ. მკაცრი ინტერნალისტების ტიპის ინტერპრეტატორებს, ისინი ვიტგენშტაინის ფილოსოფიის თერაპიულ დანიშნულებაზე აკეთებენ აქცენტს:

„ისინი უარყოფენ როგორც იმ იდეას, რომ გამოკვლევების შინაარსი არგუმენტირებულია და იმასაც, რომ ის წიგნის სტილისგან დამოუკიდებელია. წიგნს მთლიანად თერაპიული დანიშნულება გააჩნია, მისი სამიზნეებია გარკვეული ინდივიდები და მათი მეტაფიზიკური თვალსაზრისისაკენ სწრაფვა. თერაპიის მიზანია ამ ინდივიდებს მიატოვებინოს ეს სწრაფვა და ახალ პიროვნებებად აქციოს ისინი.“ [29]

საკმაოდ გავრცელებული მიდგომაა ვიტგენშტაინის ნაშრომების დიალოგის ტიპის მსჯელობის სახით წაკითხვა. აღსანიშნავია, რომ კვლევებით ინტერპრეტატორები ამტკიცებენ „ფილოსფიურ გამოკვლევებში“ სხვადასხვა ტიპის ხმების არსებობას და ცდილობენ გამოკვლევების წაკითხვის პოლიფონიური მეთოდის გამოყენებას:

„სტერნი და პიხლერი (გამოკვლევების წაკითხვის პოლიფონიური მეთოდი).

პოლიფონიური ხასიათი - სხვადასხვა ხმები დაობენ.

პიხლერის მიხედვით მრავალი ხმაა.

---

[28] Kahane, Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 22.

[29] Ibid. 22.

სტერნის მიხედვით - სამი ხმაა: ვიტგენშტაინის მთხრობელი, მოპასუხე და კომენტატორი. ეს უკანასკნელი სვამს რიტორიკულ კითხვებს, აკეთებს ირონიულ შენიშვნებს, ხუმრობს.

სტერნის მიხედვით ეს მესამე ხმა უფრო არის ვიტგენშტაინისეული, კომენტატორი არც რეალისტია, არც ბიჰევიორისტი და არც ფსიქოლოგისტი.“ [30]

ვიტგენშტაინის ფილოსოფიის გააზრების პრობლემურობას და სირთულეს ასევე ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი მკვლევარი მისი ფილოსოფიური თვალსაზრისის შეფასებისას თავად განიცდის პერიოდიზაციას, კვლევების ეტაპებად დაყოფას, ვიტგენშტაინის შეფასების პროცესში მკვეთრ ცვლილებებს, მეტიც, გადატრიალებას:

„ვიტგენშტაინის გვიანდელი შრომების მეთოდი სხვადასხვაგვარად იქნა წაკითხული. სულ ცოტა სამი გზა აქვს მოცემული გორდონ ბეიკერს ვიტგენშტაინზე მუშაობის 30 წელზე მეტი ხნის მანძილზე. სამივე ვარიანტში აღიარებულია, რომ ვიტგენშტაინის ფილოსოფიური მეთოდი ემსახურებოდა ადამიანების გათავისუფლებას იმისგან, რასაც ის უწოდებს “ფილოსოფიურ წინასწარგანწყობებს”.

“ადრეული ბეიკერი” ვიტგენშტაინს წარმოგვიდგენდა, როგორც ავტორს ახალი სოფისტური, მნიშვნელოვანი თეორიისა, რომელიც სრულიად განსხვავდება მისი ადრინდელი “სურათის” თეორიისგან.

“შუა პერიოდის ბეიკერი” უარყოფს გვიანდელი ვიტგენშტაინის გაგებას, როგორც “მნიშვნელობის თეორიის” ან “სემანტიკური დაფუძნების” საქმეში ჩართულისა. ჭეშმარიტი ფილოსოფიის საქმეა “გრამატიკის” დესკრიფციების განხილვა.

[30] Kahane, Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 24-25.

“გვიანდელი ბეიკერი” - ამ თვალსაზრისით ფილოსოფიის მიზანია თერაპია. ამოცანა ერთია, გაათავისუფლოს მისი მოპასუხე ცრურწმენებისაგან. ახალი “სურათი” არის არა “სწორი”, არამედ, “კარგი”.“ [31]

ბეიკერის მიერ ვიტგენშტაინის ინტერპრეტაციის განვითარების პროცესში აღნიშნული ეტაპობრიობის განხილვისას ვლინდება, რომ სხვადასხვა საფეხურზე ბეიკერი ვიტგენშტაინს სხვადასხვა ტიპის ფილოსოფოსად განიხილავს:

„ვიტგენშტაინი 1 “ანალიზური” ფილოსოფოსია.

ვიტგენშტაინი 2 და ვიტგენშტაინი 3 უფრო კონტინენტური ფილოსოფოსია.

ვიტგენშტაინი 2 ადარებს მერლო-პონტს. ვიტგენშტაინი 3 - ნიცშეს.

ვიტგენშტაინი 2 და ვიტგენშტაინი 3 დაეთანხმებიან, რომ ფილოსოფიური თერაპიის იდეა განმათავისუფლებელია; მაგრამ ისინი ვერ შეთანხმდებიან ამ თავისუფლების მიზანსა და მისი მიღწევის მეთოდებზე.

ვიტგენშტაინი 3 და ნიცშე: მათთვის საერთოა, რომ ფილოსოფიური ცრურწმენები ზღუდავენ ინტელექტუალურ თავისუფლებას.

ვიტგენშტაინი - ანტიდოგმატიკოსი.“ [32]

აღსანიშნავია იმ მომენტის ხაზგასმა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვიტგენშტაინი ზოგადად მიჩნეულია ანალიზურ ფილოსოფოსად, ენის ფილოსოფოსად, გამომდინარე მისი კვლევის ობიექტიდან და პრობლემების მისეული შეფასებებიდან, ყველა მკვლევარი აღნიშნავს, რომ მისი ფილოსოფია მაინც განსაკუთრებულია, განსხვავებული, სპეციფიური თვალსაზრისებით დახუნძლული, ორიგინალური და მასშტაბური ანალიზით:

---

[31] Kahane, Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 66-68.

[32] Ibid. 68-73.

„ისინიც კი, ვინც ვიტგენშტაინს ანალიზურ ფილოსოფოსად თვლიან, აღიარებენ, რომ ის წერს სრულიად "არა ტიპიური" ანალიზური ფილოსოფოსის მსგავსად." [33]

ამდენად, ძალიან საინტერესოა ასეთი მრავალფეროვანი ინტერპრეტაციების არსებობის ფონზე, უზღვავი მასალის და მკვლევართა არსებობის ფონზე საკითხის სხვა ახალი მხრივ წამოჭრა, ვიტგენშტაინის გვიანდელი, ე.წ. მესამე ფილოსოფიის მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევა და მისი ფილოსოფიის ერთიან მთელად მოაზრების მცდელობა. თუ როგორ იკვრება მასთან შემეცნების თვალსაზრისში მისი ფილოსოფიური თეორიები, როგორ ცდილობს ის ახალი ტიპის ხედვის ჩამოყალიბებას, რა მასალას გვიტოვებს ახალ ეპოქაში საჭირო ახალი მიდგომებისა და შეფასებებისთვის.

თავი 1

მნიშვნელობა და თანამედროვე ეპისტემოლოგია

1.1. ცოდნა, როგორც შემოწმებული ჭეშმარიტი რწმენა თანამედროვე ეპისტემოლოგიაში

თანამედროვე ეპისტემოლოგიაში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ამ სფეროს კვლევის ობიექტად ძირითადად მოიაზრება არა ცოდნა (ეპისტემე), რაც ეპისტემოლოგიის არსებითი კვლევის საგანი უნდა იყოს (თუნდაც, სიტყვის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე – episteme – ძვ. ბერძნულად ნიშნავს "ცოდნას"), არამედ, რწმენა, ანგლო-ამერიკულ ფილოსოფიაში დამკვირდებული ე.წ. *Justified True Belief* (აქაც და სტატიაში შემდეგ ყველა შემთხვევაში, სადაც საუბარია რწმენაზე ეპისტემოლოგიაში, იგულისხმება არა რელიგიური რწმენა, არამედ,

[33] Kahane, Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 77.

საუბარია შემეცნების პროცესში იმ დამოკიდებულების შესახებ, რაც ცოდნის ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს თამაშობს. ჯერ კიდევ პლატონის შემეცნების თეორიაში ამგვარი რწმენის სინონიმებად გამოყენებულია შეხედულება, სწორი წარმოდგენა.) – შემოწმებული ჭეშმარიტი რწმენა. ცოდნა შემოწმებულია, თუ გვაქვს გონივრული მიზეზი რწმენისათვის. [34]

გარდა ამისა, ზოგიერთი მოაზროვნე "ცოდნის" "რწმენით" ჩანაცვლების საფუძვლად პლატონის შემეცნების თეორიას მიიჩნევს (მაგ. Gerson, 2009). საინტერესოა, რა არის თანამედროვე მოაზროვნეების ამგვარი თვალსაზრისის საფუძველი, რამდენად ეთანხმება ის ტექსტობრივ წყაროებს და რამდენად გამართლებულია პლატონის თვალსაზრისის ამგვარი ინტერპრეტაცია.

ამ მიმართულებით ძალიან საინტერესოა პრობლემის მოხაზვა, რომ შევძლოთ მასთან მიმართებით ლუდვიგ ვიტგენშტაინისეული ეპისტემოლოგიური თვალსაზრისის ანალიზი. განსაკუთრებით, როდესაც ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენი კვლევის ობიექტი არის არა მხოლოდ ვიტგენშტაინის მესამე ფილოსოფია, რომელიც უშუალოდ ეპისტემოლოგიას ეხება, არამედ, ასევე ვამტკიცებთ, რომ ეს ეპისტემოლოგიური თვალსაზრისი გამომდინარეობს წინა პერიოდის შეხედულებებიდან და ვიტგენშტაინი უნდა განვიხილოთ ერთიან, სრულ ჩარჩოში, უნდა გვესმოდეს ეპისტემოლოგიური გადასვლები ტრაქტატიდან გამოკვლევებისაკენ და ბოლოს „უეჭველობის შესახებ" მის ნაშრომში უნდა შევძლოთ ამ ყველაფრის უფრო დეტალური ანალიზი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულ ფილოსოფიურ სივრცეში შემეცნების საკითხები სრულიად განსხვავებული ხაზით განვითარდა. შემეცნების ველში შემეცნების საკუთარ თავთან მიმართების კვლევა იქნა წინ წამოწეული და რეგრესის საშიშროებას გაესვა ხაზი და ამ მიმართულებით დაიწყო კვლევა:

[34] Chisholm, *Theory of Knowledge*, 8.

„თუ სინამდვილის შემეცნების შემეცნება დასაშვებია, მაშინ ამ მეორეობით შემეცნებას კიდევ დასჭირდება ახალი შემეცნება და ასე in infinitum, რაც კვლევა-ძიების ცუდათ წარმართვის მაჩვენებელი იქნებოდა.“ [35]

ნუცუბიძის აზრით, ფილოსოფიური შემეცნების საგნად უნდა იქცეს თავად შემეცნება და ცოდნის მიღება, რაც ამ პროცესს თანამედროვე ეპისტემოლოგიური კვლევისგან განსხვავებულ ჭრილში აქცევს:

„ამ რიგად - მეცნიერების საქმეა სინამდვილის შემეცნება; ის არსებულის მეცნიერებაა. მის გვერდით, ან როგორც დავინახავთ, მის ზევით უნდა არსებობდეს უფრო მაღალი მეცნიერება - რომელიც მეცნიერებათა შემეცნებას თავის ძიების საგნად გაიხდის. ეს იქნება მეცნიერებათა მეცნიერება - ანუ მეცნიერების თეორია; მისი შინაარსია შემეცნების შემეცნება... უკეთესია შემეცნების თეორიის ნაცვლად ჭეშმარიტების თეორია ვიხმაროთ ან კიდევ უფრო უკეთესი იქნება ალეთოლოგიის ხმარება.“ [36]

შემეცნების შედეგი უნდა იყოს ცოდნა, როგორც საბოლოო პროდუქტი:

„დამთავრებული შემეცნება, რომელიც შეადგენს გნოსეოლოგიის ძიების საგანს, არ საჭიროებს სუბიექტს ისე, როგორც ობიექტსაც, არამედ გამომჟღავნებულ სინამდვილეს, მისი შემეცნებით ასახებას.“ [37]

ნუცუბიძე თავად აღნიშნავს, რომ თანამედროვე შემეცნების თეორიების ხაზისგან სრულიად განსხვავებული გზით მიდის და ახლებურად ცდილობს პრობლემის წამოჭრას, რაც აუცილებლად აღნიშვნის ღირსია, საინტერესოა ამ მომენტის სამომავლოდ უფრო დეტალური ანალიზი:

---

[35] ნუცუბიძე, *ალეთოლოგიის საფუძვლები*, 3.

[36] Ibid. 5.

[37] Ibid. 62.

„ალეთოლოგია ჭეშმარიტების თეორიაა. უკანასკნელის ბუნების "შესწავლით იგი არკვევს" შემეცნების საგანს, რომ მით ნათელი გახადოს თვით შემეცნების ბუნებაც. იგი პრინციპიულად ეწინააღმდეგება იმ თვალსაზრისს, თითქოს შესაძლოა საწინააღმდეგო გზით სვლა, ე.ი. შემეცნების გარკვევით საგნის გარკვევა. ამდენადვე იგი არსებითად ეწინააღმდეგება მთელს თანამედროვე, გნოსეოლოგიას. - ამასთან დაკავშირებულია მეორე გარემოებაც: ალეთოლოგიას შეუძლებლად მიაჩნია, რომ გნოსეოლოგია იყოს პირველი ფილოსოფიური დისციპლინა. ვინაიდან გამოსაკვლევია თავდაპირველად შემეცნების საგანი და არა შემეცნება - ამიტომ პირველობა ეკუთვნის ალეთოლოგიას, როგორც ძირითად ფილოსოფიურ დარგს. [38]

კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, რომ ქართული ფილოსოფიური სივრცის შემეცნებითი განზომილების განსხვავება საერთო ევროპული აზროვნებისაგან ძალიან საინტერესო და ცალკე კვლევის საკითხია, თუმცა ცალსახად უნდა დავაფიქსიროთ, რომ დასავლურ ფილოსოფიაში, კონკრეტულად, ეპისტემოლოგიაში, დღემდე აქტიურად მიმდინარეობს ცოდნის შემოწმებადობის და ცოდნის საფუძვლად რწმენის მოაზრება და ამ მიმართულებით უამრავი კვლევა წარმოებს.

როგორც აღინიშნა, ეპისტემოლოგიაში დღეისათვის აქტუალურ პრობლემათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია რწმენის, დაჯერებულობის კვლევა და ყველაზე ნაკლებადაა საუბარი „ეპისტემეზე" ან ცოდნაზე. ამ ფაქტს სხვადასხვა მიზეზი აქვს, რასაც სხვადასხვა მოაზროვნეებიც აღნიშნავენ. მაგალითად, ერთნი აცხადებენ, რომ ცოდნა დაკავშირებულია შემოწმებადობასთან, ვინაიდან ჩვენ უფრო მეტად შეხება გვაქვს შემოწმებადობასთან, ვიდრე ცოდნასთან. [39] სხვების აზრით, ეპისტემოლოგიის კვლევის სფერო არ ამოიწურება მხოლოდ ცოდნით:

---

[38] ნუცუბიძე, *ალეთოლოგიის საფუძვლები*, 86.

[39] Williamson, *Knowledge and Its Limits*, 184.

„ეპისტემოლოგია, როგორც მე მესმის ის, არის არა მხოლოდ ცოდნის თეორია, არამედ, შემოწმებადობისაც, და ცხადია, რაციონალური რწმენისაც“. [40]

გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ვერ მოხერხდა ცოდნის რწმენაზე უპირატესობის ზუსტი განსაზღვრა:

„მრავალი ცნობილი ცოდნის თეორია ვერ ხსნის, რა აქცევს ცოდნას ჭეშმარიტ რწმენაზე უპირატესად“. [41]

ასევე პრობლემას ქმნის ის ფაქტიც, რომ ცოდნის ბუნება განსაზღვრავს იმას, რომ ცოდნა ეპისტემოლოგიაში მეორე ადგილზე გადადის:

„ის [ცოდნა] გამოუცნობია და, ამდენად, უმეტესობა ფილოსოფოსმა (და მათ შორის, მეც), გადაწყვიტეს, რომ ის ეპისტემოლოგიისათვის მეორე დონის ინტერესის საგანი უნდა იყოს, რომ ჩვენ უფრო მეტად რწმენის ეპისტემური მიზეზების დადგენით უნდა ვიყოთ დაკავებულნი“. [42]

სხვა მკვლევარები კი უფრო რადიკალურები არიან და ამტკიცებენ, რომ ეპისტემოლოგიის საგანია არა ცოდნა, არამედ, უშუალოდ რწმენა:
„უახლესი ეპისტემოლოგია ამტკიცებს, რომ ცოდნა არის შემოწმებული ჭეშმარიტი რწმენა“. [43]

ასევე, მიდგომა, რომ ცოდნა არის ჭეშმარიტი რწმენა:
„ცოდნა, როგორც მე ის მესმის, არის სწორი გზით სწორ საფუძველზე დაფუძნებული ჭეშმარიტი რწმენა“. [44]

---

[40] Dancy, Sosa, Steup, *A Companion to Epistemology*., 109.

[41] Ibid. 210.

[42] Fumerton, *Epistemology*, 12.

[43] Dancy, Sosa, Steup, *A Companion to Epistemology*., 134.

[44] Ibid. 134.

თანამედროვე ეპისტემოლოგიაში ცოდნის რწმენაზე დაფუძნება წინა პლანზე წამოვიდა:

„მრავალი ეპისტემოლოგი ახასიათებს ცოდნას, როგორც შემოწმებულ ჭეშმარიტ რწმენას.“ [45]

ცოდნა თავისთავად მენტალური პროცესი კი არ არის, არამედ, ის არის მდგომარეობა, როგორც შედეგი, რწმენაზე დაფუძნებული:

„რაღაცის ცოდნა არ არის პროცესი, არამედ, ის არის შედეგი.“ [46]

მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია ცოდნაზე გვქონდეს პრეტენზია, როდესაც ჩვენ შეგვიძლია ამ შედეგის შემოწმება, შემოწმებადობა არის თანამედროვე ეპისტემოლოგიის მთავარი მომენტი:

„ცოდნა გულისხმობს შემოწმებადობას (გარანტია, დაფუძნება, სიცხადე, ან მსგავსი). შეიძლება თქმა, რომ ვიღაცამ იცის რაღაც მხოლოდ მაშინ, თუ მას აქვს საკმარისი რაციონალური საფუძველი მის მისაღებად.“ [47]

შემოწმებადობა გულისხმობს, რომ ჩემთვის, როგორც ნორმალურად მოაზროვნე პირისათვის მოცემული დებულებები არის მისაღები, მე ვარ მათი შემოწმებადობის საზომი:

„ისინი შემოწმებადია - იმ აზრით, რომ მათ აქვთ შემოწმებადობის თვისება - შემოწმებადობა - ვინაიდან არსებობს გარკვეული მახასიათებელი, რის მიხედვითაც ისინი ჩემთვის, როგორც ნორმალური რაციონალური პირისთვის, ბუნებრივი და მისაღებია.“ [48]

---

[45] Rescher, *Epistemology*, 3.

[46] Ibid. 6.

[47] Ibid. 11.

[48] Audi, *Epistemology*, 2.

თანამედროვე ეპისტემოლოგიაში რწმენის პრობლემის წინა პლანზე წამოწევა და ცოდნის საკითხის ნაკლებ აქტუალიზება იმ ფილოსოფიური ტრადიციის შედეგია, რომელმაც ცოდნისა და რწმენის მიმართების პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით დასვა და თანამედროვე ანგლო-ამერიკულ ფილოსოფიაში, სავარაუდოდ, მისი გადალახვის მექანიზმად პრაგმატული თვალსაზრისი განავითარა. თუმცა ცოდნისა და რწმენის მიმართების საკითხი არ არის ახალი თემა ფილოსოფიაში, მაგრამ მან მეოცე საუკუნეში მნიშვნელოვანი გამოძახილი ჰპოვა, ხოლო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული დღემდე თანამედროვე ეპისტემოლოგიაში რწმენის საკითხის კვლევას უპირატესი ადგილი დაეთმო. ცხადია, ცნობილი თვალსაზრისია, რომ არ არსებობს ცოდნა რწმენის გარეშე, რაზეც თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, ლუდვიგ ვიტგენშტაინიც წერდა:
"რაც ვიცი, მე ის მჯერა". [49]

მაგრამ ჩვენი აზრით, ეს სრულებითაც არ იძლევა ცოდნის რწმენასთან გაიგივების საფუძველს; ის, რომ გარკვეული რწმენები ცოდნის საფუძველს წარმოადგენენ, არ ნიშნავს, რომ ცოდნა იგივეა, რაც რწმენა.

1.1.1. პლატონის შემეცნების თეორიის ანალიზი ცოდნისა და რწმენის მიმართების თვალსაზრისით

როგორც აღინიშნა, თანამედროვე ეპისტემოლოგიაში რწმენის წინა პლანზე წამოწევას ზოგიერთი მოაზროვნე პლატონის ფილოსოფიას უკავშირებს, რაც საფუძველს სოკრატეს თვალსაზრისებიდან იღებს. ჩვენც ამ საკითხის მცირე მიმოხილვას მოვახდენთ, რომ პრობლემის უფრო სიღრმისეული ანალიზი

[49] Wittgenstein, *On Certainty*, 177.

შევძლოთ და შემდეგ ამ ფონზე ვიტგენშტაინისეული ეპისტემოლოგიური თვალსაზრისის გაშლა განვახორციელოთ.

მე-20 საუკუნის ეპისტემოლოგიაში შემოწმებადობის ცნების წინა პლანზე წამოწევა, პლატონისეული ენით თუ ვიტყვით, გარდაუვალი მომენტია, რადგან ის არის აუცილებელი, რომ ჭეშმარიტი რწმენიდან ცოდნა მივიღოთ:

„შემოწმებადობის ცნება, შესაძლოა, ეპისტემოლოგიის ყველაზე ფუნდამენტური ცნებად ჩაითვალოს. მე-20 საუკუნეში დომინანტურად იქცა, რომ ცოდნა გაგებული იყოს სულ ცოტა ნაწილობრივ მაინც შემოწმებადობის ჩვენეული გაგებით. ნაწილობრივი პასუხი მენონის შეკითხვაზე „თეეტეტიდან“, „რა უნდა დაემატოს ჭეშმარიტ რწმენას, რომ ცოდნად გადაიქცეს?“ - არის შემოწმებადობა.“ [50]

პლატონის შემეცნების თეორიის ძირითადი მომენტები მოცემულია მის სამ დიალოგში („მენონი“, „თეეტეტი“ და „სახელმწიფო“) და, შეჯამებული სახით, მის მეშვიდე წერილში. ამათგან „სახელმწიფოში“ ცალსახად ნათქვამია, რომ ცოდნა და შეხედულება სხვადასხვა რამეა:

„მაშასადამე, ჩვენ შევთანხმდით, რომ ცოდნა და შეხედულება ორი სხვადასხვა რამეა“, [51] „ცოდნა და შეხედულება - ორი სხვადასხვა უნარია“. [52]

სოკრატე განასხვავებს მცოდნეს იმისგან, ვისაც მხოლოდ წარმოდგენა გააჩნია რაიმეს შესახებ:

„ვინც ხედავს მრავალ სამართლიან ქცევას, მაგრამ ვერ ხედავს სამართლიანობას თავისთავად და სხვა მისთანათ, ჩვენ ვიტყვით, რომ მას მხოლოდ წარმოდგენა აქვს ყოველივე ამის შესახებ, მაგრამ ცოდნით კი არ იცის, რასაც წარმოდგენით აღიქვამს“. [53]

---

[50] Moser, *The Oxford Handbook of Epistemology*, 204.

[51] პლატონი, სახელმწიფო, 477e-478a.

[52] Ibid. 478a-478b.

[53] Ibid. 479d-479e.

„მენონში“ სოკრატეს ცოდნასთან მიმართებით სწორი წარმოდგენის პრაქტიკული სარგებლიანობის იდეა აქვს მოცემული. დიალოგის ეს ნაწილი თანამედროვე ფილოსოფიაში ხშირად ინტერპრეტირდება, როგორც პლატონის ფილოსოფიაში ცოდნის სწორ წარმოდგენასთან იგივეობის დამადასტურებელი მომენტი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ადგილის შემდეგ სოკრატე სრულიად სხვაგვარად ავითარებს საკითხს და აღნიშნავს, რომ ცოდნა წარმოდგენაზე უპირატესია:

„ასე შეკრული წარმოდგენები, ჯერ ერთი, ცოდნად იქცევიან და, ეგეც არ იყოს, მდგრადნი და მედეგნი ხდებიან. ამრიგად, ცოდნა უფრო ფასეულია, ვიდრე სწორი წარმოდგენა და სწორედ შეკრულობით განსხვავდება მისგან“. [54] [55]

პლატონი იქვე ცალსახად აცხადებს, რომ თავად სოკრატე სწორედ ცოდნასა და სწორ წარმოდგენას შორის ამ განსხვავების თავგამოდებული დამცველია: „მაგრამ ის აზრი, რომ სწორი წარმოდგენა და ცოდნა - ორი სხვადასხვა რამეა, მე შემიძლია თავგამოდებით დავიცვა და, თანაც, ყოველგვარი ვარაუდის გარეშე. რადგან თუ რამეზე შემიძლია ვთქვა ვიცი-მეთქი, (რასაც, სამწუხაროდ, ბევრი რამის მიმართ ვერ ვიტყვი), უწინარეს ყოვლისა, ამაზე შემიძლია ვთქვა“. [56]

პლატონის „თეეტეტთან“ დაკავშირებითაც ჩნდება შთაბეჭდილება, რომ სოკრატე ცოდნას და ჭეშმარიტ რწმენას თანაბარმნიშვნელოვნად განიხილავს, რაც სავარაუდოდ, დიალოგის სტრუქტურის არასწორი აღქმის შედეგი უნდა იყოს. კერძოდ, როგორც გერსონი აღნიშნავს, „თეეტეტში“ სამი სახის კითხვაზეა პასუხი მოცემული:

---

[54] პლატონი, მენონი, 98ა.

[55] აქ ბერძნულ ტექსტში პლატონი იყენებს ტერმინებს *orthos doxa* და *epistēmē*. ცოტა ქვემოთ კი *orthos* -ს იყენებს *alēthēs* -ს სინონიმად.

[56] პლატონი, მენონი, 98ბ.

„1. ცოდნა არის გრძნობადი აღქმა, 2. ცოდნა არის ჭეშმარიტი რწმენა და 3. ცოდნა არის ჭეშმარიტ ცოდნას დამატებული დასაბუთება“, [57] თუმცა დიალოგის დასასრულს სამივე ეს თვალსაზრისი უგულვებელყოფილია. [58]

რაც შეეხება „თეეტეტში“ კონკრეტულად, ცოდნისა და ჭეშმარიტი შეხედულების მიმართებას, სოკრატე გარკვეული მსჯელობის შემდეგ ასკვნის, რომ ცოდნა და სწორი შეხედულება სხვადასხვა რამეა. ბერძნულ ტექსტში გვხვდება - *alēthēs doxa* da *epistēmē*. [59]

სავარაუდოდ, პლატონის დიალოგის სტილმაც დიდი როლი ითამაშა, რომ შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს, სოკრატესა და პლატონისთვის სწორი წარმოდგენა და ცოდნა იგივეობრივია. ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია ვიტგენშტაინთან ანალოგიის გაკეთება, მისი წერის სტილი ჰგავს პლატონისეულს, დიალოგური ტიპის მსჯელობები, მრავალი ხმის არსებობა „გამოკვლევებში“, თვალსაზრისის სპციფიურად გადმოცემა „ტრაქტატსა“ და „უეჭველობის შესახებ“ ნაშრომებში, რაც მისი აზრის ამოკითხვას ართულებს და მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ქმნის.

დიალოგის სტილის სირთულის აღქმის გარდა, ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ სხვადასხვა დიალოგში არაერთგვაროვანია პლატონის შემეცნების თეორიის გადმოცემა, მაგალითად, თუ „სახელმწიფოში“ ცალსახადაა მოცემული, რომ ცოდნა და წარმოდგენა სხვადასხვა რამაა, ხოლო „მენონსა“ და „თეეტეტში“ საკმაოდ მკვეთრადაა გატარებული განსხვავება ცოდნასა და ჭეშმარიტ წარმოდგენას შორის, მეშვიდე წერილში ისინი, თითქოს, გაიგივებულია; მეშვიდე წერილში, იქ, სადაც პლატონი ახასიათებს შემეცნების სახეებს, ის მიუთითებს, რომ ყველა არსებულისთვის აუცილებელია სამი რამ, რომ ცოდნა წარმოიქმნას, მეოთხე - თავად ცოდნაა, მეხუთე კი - ის, რაც არის შემეცნების საგანი. ამ საკითხზე

---

[57] Gerson, *Ancient Epistemology*, 44.

[58] პლატონი, თეეტეტი, 210b.

[59] Ibid. 201c.

საუბრისას, პლატონი თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე განიხილავს და აღნიშნავს: „მეოთხე კი არის ცოდნა, გონება და ჭეშმარიტი შეხედულება ამათ შესახებ“; [60] ბერძნულ ტექსტში პლატონი იყენებს ტერმინებს - *epistēmē*, *noûs*, *alēthēs doxa*.

ამ ნაწილში, თითქოს, პლატონი ერთსა და იმავე დონეზე განიხილავს ამ სამ რამეს - ცოდნა, გონება და ჭეშმარიტი შეხედულება და ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ისინი იგივეობრივია; მაგრამ კომენტატორების თვალსაზრისით, სინამდვილეში აქ საქმე გვაქვს მხოლოდ ტერმინოლოგიურ სხვაობასთან; მაგალითად, ლელა ალექსიძის მიხედვით, აქ პლატონს ნაკლებად აინტერესებს ტერმინოლოგიური დიფერენციაცია:

„მკითხველისთვის თვალშისაცემია განსხვავება შემეცნების საკითხების აღწერისგან პლატონის „სახელმწიფოში“, სადაც „შეხედულება“ აშკარად უფრო დაბალი საფეხურია „გონებასთან“ შედარებით და „ცოდნისგან“ უფრო დაცილებულია, თუმცა ეს განსხვავება შეიძლება უფრო ტერმინოლოგიური და არა შინაარსობრივი იყოს; ვგულისხმობ იმას, რომ შესაძლოა, მეშვიდე წერილში პლატონი ნაკლებად იყო ასეთი ტერმინოლოგიური დიფერენციაციით დაინტერესებული, ნაწილობრივ ადრესატების ინტერესებიდან გამომდინარე“. [61]

როგორც ლელა ალექსიძე აღნიშნავს, ამ პრობლემის გადაჭრა დამოკიდებულია მეშვიდე წერილში მოცემული ფრაგმენტის თარგმანსა და ინტერპრეტაციაზე. მოროუს აზრით კი, პლატონი თავად მიუთითებდა ამ წერილის (პლატონი, მეშვიდე წერილი.) არამეცნიერულ, არადიალექტიკურ ბუნებაზე. [62]

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ეს წერილი არ წარმოადგენდა ფილოსოფიურ ტრაქტატს, ამდენად, მასში ასახული თითქოს ტერმინოლოგიური უზუსტობები უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ და მხოლოდ მოცემული საკითხისადმი ჩაღრმავებისაგან თავის შეკავება, მისი უფრო მარტივი სახით

---

[60] პლატონი, მეშვიდე წერილი, 342c.

[61] პლატონი, მეშვიდე წერილი, შესავალი ლელა ალექსიძის, 68.

[62] Morrow, *The Theory of Knowledge in Plato's Seventh Letter*, 335.

გადმოცემა. ამიტომაც პლატონის კომენტატორები მიუთითებენ, რომ ადრეულ სოკრატულ დიალოგებში ხაზგასმულია ცოდნის სწორ წარმოდგენასა თუ რწმენაზე უპირატესობა. [63]

ამდენად, საკითხის შესაბამისი ტექსტების ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამედროვე ეპისტემოლოგიაში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისი, რომ თითქოს, პლატონი და სოკრატე ცოდნას სწორ შეხედულებასთან აიგივებდნენ, მართებულობას მოკლებულია. თუმცა, ამ ინტერპრეტაციის გავრცელებას, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო როგორც პლატონის გადმოცემის დიალოგურმა სტილმა და სოკრატული მეთოდით საკითხის კვლევის სირთულემ, ასევე, გარკვეული მიზეზების გამო დიალოგებსა და მეშვიდე წერილში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით პლატონის შედარებითმა არათანმიმდევრულობამ.

1.1.2. პლატონის შემეცნების თეორიის გავლენა თანამედროვე ეპისტემოლოგიურ პრობლემატიკაზე

პრობლემის ანალიზის გავრცობის თვალსაზირით კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეპისტემოლოგიაში რწმენის საკითხის წინა პლანზე წამოწევას ზოგიერთი ფილოსოფოსი ანტიკურობასთან, კერძოდ, პლატონის შემეცნების თეორიასთან აკავშირებს. მაგალითად, ჯონათან კვანვიგს მოჰყავს ციტატა პლატონის „მენონიდან“, სადაც სოკრატე ამბობს: „სწორი წარმოდგენა არანაკლებ სასარგებლოა, ვიდრე ცოდნა“, [64] და ამ ციტატის საფუძველზე აცხადებს, რომ პლატონი იყო პირველი, ვინც მიუთითა პრობლემაზე, რომ ცოდნა იმაზე მეტად სასარგებლო არ არის, ვიდრე ჭეშმარიტი რწმენა; [65]

---

[63] Gerson, *Ancient Epistemology*, 27.

[64] პლატონი, მენონი: 97 c.

[65] Kvanvig, *The Value of Knowledge and the Pursuit of Understanding*, 12.

ტერმინს, რომელიც პლატონის ძველ ბერძნულ ტექსტებში გვხვდება - *alēthēs doxa* an *orthos doxa* - ბაჩანა ბრეგვაძე „მენონის“ ქართულ თარგმანში თარგმნის, როგორც „წარმოდგენას“, ხოლო „სახელმწიფოში“ ხან „წარმოდგენად“ და ხან - „შეხედულებად“. [66] მეშვიდე წერილში ლელა ალექსიძე მას თარგმნის, როგორც „შეხედულება“. [67] აღნიშნული ტერმინი თანამედროვე ეპისტემოლოგიაში ინგლისურად გადატანილია, როგორც *belief* (მაგალითად, [Kvanvig, 2003, 12]) და ვინაიდან სტატიაში დასმული პრობლემა, ძირითადად, ანგლო-ამერიკულ ფილოსოფიაში დამკვიდრებულ ტრადიციას ეხება (რადგან თანამედროვე ეპისტემოლოგია, ძირითადად, ამ ტრადიციის ფარგლებში ვითარდება), ამდენად, აღნიშნული ინგლისური ტერმინის ქართულად სხვადასხვა სახით გადმოტანის სირთულის გამო მოცემულ სიტყვებს - რწმენა, შეხედულება, წარმოდგენა - სინონიმური მნიშვნელობით ვიყენებთ. აღსანიშნავია ისიც, რომ „რწმენა“ ამ შემთხვევაში არ შეესაბამება პლატონის ტექსტებში მოხსენიებულ ტერმინს *pistis*, არამედ, ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პლატონის *alēthēs doxa*, *orthos doxa* *და epistēmē* -ს შესაბამისია.

„მენონის“ მოცემული ადგილი და ასევე პლატონის „თეეტეტში“ განვითარებული თვალსაზრისი თანამედროვე ეპისტემოლოგიაში ხშირად ინტერპრეტირდება, თითქოს, სოკრატე ცოდნას ჭეშმარიტ წარმოდგენასთან აიგივებს. იგივე პრობლემას ეხება თვალსაზრისი, რომ კითხვაზე, თუ რა არის ცოდნა, “ტრადიციული ან კლასიკური პასუხი - და ის პასუხი, რომელიც მოცემულია პლატონის დიალოგში “თეეტეტი” - არის ის, რომ ცოდნა არის შემოწმებული ჭეშმარიტი რწმენა.” [68]

მსგავს საკითხზე მიუთითებს რობერტ აუდი, რომელიც აცხადებს, რომ ხშირად პლატონის შემეცნების თეორიის ინტერპრეტაციისას ცოდნას იგებენ,

---

[66] პლატონი, 2003, 208-211.

[67] პლატონი, მეშვიდე წერილი, 342c.

[68] Chisholm, *Theory of Knowledge*, 90.

როგორც შემოწმებულ ჭეშმარიტ რწმენას, და ამტკიცებენ, თითქოს, სოკრატე თვლიდა, რომ ცოდნა არის ჭეშმარიტი შეხედულება. [69]

ასეთივე თვალსაზრისი გვხვდება ეპისტემოლოგიის ოქსფორდისეულ გამოცემაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ პლატონიდან და კანტიდან დაწყებული ტრადიციის მიხედვით, "პროპოზიციული ცოდნა სამი აუცილებელი და ურთიერთსაკმარისი კომპონენტისაგან შედგება: შემოწმებადობა, ჭეშმარიტება და რწმენა და, ამ აზრით, პროპოზიციული ცოდნა, განსაზღვრების თანახმად, არის შემოწმებული ჭეშმარიტი რწმენა". [70]

ეპისტემოლოგიაში განასხვავებენ პროპოზიციულ ცოდნას - იმ სახის ცოდნას, რომელიც თხრობითი წინადადებით გამოიხატება, ორი სხვა ტიპის ცოდნისაგან - ნაცნობობისა და რაიმეს კეთების ცოდნისაგან.

პლატონის ტექსტების ზემოთ მოყვანილი ანალიზით ვეცადეთ გვეჩვენებინა, რომ თანამედროვე ეპისტემოლოგიაში დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ პლატონი და სოკრატე ცოდნას და სწორ შეხედულებას აიგივებდნენ, არ არის მისაღები. პლატონის შემეცნების თეორიის განხილვისას, ჩვენი აზრით, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ სოკრატეს თუ პლატონის პრაგმატიზმი სწორი წარმოდგენის პრაქტიკული სარგებლიანობის შესახებ არ გულისხმობს იმას, რომ სწორი წარმოდგენა იგივეა, რაც ცოდნა, არამედ, მხოლოდ იმას, რომ გარკვეულ შემთხვევებში ჩვენ შეგვიძლია დავჯერდეთ სწორ წარმოდგენას. პლატონის და სოკრატეს აღნიშნული აზრი სწორი წარმოდგენის პრაქტიკულობის შესახებ თანამედროვე ეპისტემოლოგიაში პლატონის ფილოსოფიის პრაგმატულად გაგების მცდელობაა, ამდენად, მხოლოდ ამ თვალსაზრისით ვუწოდებთ ამ მომენტს პრაგმატიზმს, თუმცა სინამდვილეში ეს არ არის პრაგმატიზმი, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, ამ პრაგმატულობით მიღებული შედეგი სოკრატესთვის სრულებითაც არ არის ყველაზე მთავარი მიზანი - ცოდნა.

---

[69] Audi, *Epistemology*, 246.

[70] Moser, *The Oxford Handbook of Epistemology*, 4.

პლატონის შემეცნების თეორიის თანამედროვე ეპისტემოლოგიასთან მიმართებით საინტერესოა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში ეპისტემოლოგიის მნიშვნელოვანი ფიგურის ედმუნდ გეტიეს მიერ მოწოდებული თვალსაზრისი. გეტიე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა თანამედროვე ეპისტემოლოგიაში. ეს არის მოაზროვნე, რომლის თვალსაზრისს გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი თანამედროვე მკვლევარი, ვისაც ეპისტემოლოგიაში ცოდნის და რწმენის საკითხები აინტერესებს. გეტიეს თვალსაზრისს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

თავის ერთადერთ სამგვერდიან ნაშრომში[71] გეტიე აკრიტიკებს ეპისტემოლოგებს შორის გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ ცოდნა არის შემოწმებული ჭეშმარიტი რწმენა. მისი აზრით, არსებობს შემთხვევები, სადაც ადამიანის რწმენა შეიძლება შემოწმებული და ჭეშმარიტიც იყოს, მაგრამ სინამდვილეში ის არ იძლევა სწორ ცოდნას. აქვე ის მიუთითებს შემდეგს:

“როგორც ჩანს, რაღაც მსგავსი განსაზღვრება აქვს პლატონს მხედველობაში “თეეტეტში”, 201 და სავარაუდოდ, იღებს მას “მენონში”, 98”. [72]

ცოდნის შემოწმებულ ჭეშმარიტ რწმენასთან გაიგივების შესახებ გეტიეს კრიტიკული ნაშრომის შემდეგ ეპისტემოლოგიაში დაიწყო მცდელობა, რომ რაღაც სხვა პირობები დაემატებინათ, რაც რწმენიდან ცოდნის მიღების საფუძველი იქნებოდა. ასეთ პირობებად წამოყენებულ იქნა სიცხადე (Chisholm (1989), მიზეზობრიობა (Goldman (1967) და სხვ.

გეტიეს მიხედვით, “თეეტეტში” პლატონიც აღნიშნავს, რომ ადამიანი შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ რაღაც იცის, მაგრამ სინამდვილეში მისი ქმედება დამყარებული იყოს მხოლოდ ჭეშმარიტ შეხედულებაზე და არა ცოდნაზე:

“განა არ ხდება, რომ მოსამართლეები, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ რაღაცის ცოდნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ თავად ნახე ის და არა სხვაგვარად,

---

[71] Gettier, *Is Justified True Belief Knowledge*.

[72] Ibid. 1.

ამავე დროს მსჯელობენ ამაზე გაგონილის მიხედვით, ჭეშმარიტი შეხედულების მიღებით, მაგრამ ცოდნის გარეშე?... თუ ჭეშმარიტი შეხედულება და ცოდნა ერთი და იგივე იქნებოდა, ცოდნის გარეშე ვერცერთი თუნდაც ყველაზე გამჭრიახი მოსამართლეც კი ვერ გამოიტანდა სწორ გადაწყვეტილებას. სინამდვილეში კი, როგორც ჩანს, ისინი სხვადასხვა რამაა". [73]

გეტიეს აზრით, "მენონში" პლატონი იზიარებს თვალსაზრისს ცოდნის ჭეშმარიტ შემოწმებულ რწმენასთან იგივეობის შესახებ, ამდენად პლატონიდან მოდის თანამედროვე ეპისტემოლოგიის ღერძის მიმართულება:

"სწორი წარმოდგენებიც, სანამ ისინი ჩვენთან რჩებიან, იცოცხლე, კარგ სამსახურს გვიწევენ და კეთილს გვიყოფენ ჩვენ. მაგრამ ვაი, რომ ჩვენთან დიდხანს დარჩენა არ სურთ: სულიდან გვისხლტებიან, გვეპარებიან და, ამრიგად, უფასურდებიან, სანამ მიზეზთა ბუნებაზე მსჯელობით არ შეკრავ მათ. ჩვენი წეღანდელი შეთანხმებით, სწორედ ესაა, ჩემო ძვირფასო მენონ, მოგონება. ასე შეკრული წარმოდგენები, ჯერ ერთი, ცოდნად იქცევიან და, ეგეც არ იყოს, მდგრადნი და მედეგნი ხდებიან. ამრიგად, ცოდნა უფრო ფასეულია, ვიდრე სწორი წარმოდგენა და სწორედ შეკრულობით განსხვავდება მისგან". [74]

გეტიეს სამგვერდიანი ნაშრომის გამოსვლის შემდეგ ეპისტემოლოგიაში დაიწყო ცოდნის ე.წ. „მეოთხე მდგომარეობის" ძიების პროცესი:

„მდგომარეობა, რომელიც უნდა დაემატოს შემოწმებადობას, ჭეშმარიტებას და რწმენას, რათა მივიღოთ ცოდნისათვის აუცილებელი და საკმარისი მდგომარეობები. ამ მდგომარეობების ძიების პრობლემა, ზოგადად, ცნობილია „გეტიეს პრობლემის" სახელწოდებით." [75]

ზოგიერთი მოაზროვნე თვლის, რომ გეტიეს მიერ წამოჭრილი პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია:

---

[73] პლატონი, თეეტეტი, 201 b- 201 c.

[74] პლატონი, მენონი, 98 ა.

[75] Williamson, *Knowledge and Its Limits*, 161.

„ახლახანს ზოგიერთმა ფილოსოფოსმა წამოაყენა აზრი, რომ გეტიეს პრობლემა გადაუჭრელია, და რომ ცოდნის თეორია უფრო ზომიერი გზით უნდა განვითარდეს: არ უნდა ვეცადოთ ცოდნისათვის აუცილებელი და საკმარისი მდგომარეობების ძიებას, არამედ, უნდა ვცადოთ გამოვყოთ ყველაფერი, რაც შეგვიძლია ცოდნის შესახებ და ამასთან, განვსაზღვროთ, რა როლს ასრულებს ცოდნა და ცოდნის მიწერა ჩვენს ცხოვრებაში.“ [76]

აქვე აღსანიშნავია, რომ ცოდნის საფუძვლად რწმენის გამოცხადება, თავის მხრივ, მრავალ პრობლემას მოიცავს. ეს რწმენის სხვაგვარად განსაზღვრის აუცილებლობას მოითხოვს და პრობლემას უფრო აღრმავებს:

„იმის გაცხადება, რომ ცოდნა მოიცავს რწმენას, საკითხის ზედმეტად გამარტივებაა. ერთის მხრივ, ზოგჯერ რწმენა დაპირისპირებულია ცოდნასთან, როგორც უფრო სუსტი მხარე. („მე არა მარტო მჯერა, მე ვიცი ის.“). და არსებობს ასევე სხვა კონტრასტული მხარეებიც.“ [77]

პლატონის აზრით ცოდნას და სწორ წარმოდგენას განასხვავებს ის, რომ ცოდნას ვიღებთ მაშინ, როდესაც სწორ წარმოდგენებს “შევკრავთ” (ბერძნულ ტექსტში გვხვდება სიტყვა დეო – შეკვრა, მიბმა, ბორკილის დადება, შებოჭვა.). დომინიკ სკოტის მიხედვით, “მენონის” მოცემული ადგილის ინტერპრეტაციისას მივდივართ დასკვნამდე, რომ “ცოდნა არის ჭეშმარიტი რწმენა სტაბილიზებული სპეციფიური გზით – განმარტებითი მსჯელობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განმარტება აუცილებელია ცოდნისთვის”. [78]

აქ შემთხვევითი არაა სტაბილურობაზე (შეკრულობაზე) საუბარი; სოკრატეს მიერ დედალოსის ქანდაკებების მაგალითის მოყვანა მეტაფორულად მიუთითებს იმაზე, რომ “ვიღაცამ, ვისაც მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენა გააჩნია, შეიძლება

[76] Williamson, *Knowledge and Its Limits*, 161.

[77] Rescher, *Epistemology*, 3.

[78] Scott, *Plato's Meno*, 181.

შეწყვიტოს მისი რწმენა მცდარი შეხედულების სასარგებლოდ. სოკრატე ფიქრობს, რომ ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ სტაბილურობას რწმენისათვის განმარტების მოძიებით, რაც თავის მხრივ, მოიცავს მოგონების პროცესსაც" .

როგორც სკოტი მიუთითებს, შემეცნების თეორიის ის ვარიანტი, რომელიც მოცემულია "მენონში", ამ დიალოგს აკავშირებს თანამედროვე ეპისტემოლოგიასთან:

"ის ფაქტი, რომ "მენონი" ფოკუსირდება განმარტებასა და გაგებაზე, გამოყენებული იქნა, რომ შევსებულიყო ნაპრალი პლატონურ და თანამედროვე ეპისტემოლოგიას შორის. 1960-იანი წლებიდან დაწყებული უამრავი ლიტერატურა შეიქმნა საკითხზე, თუ როგორ განსხვავდება ცოდნა ჭეშმარიტი რწმენისაგან, და ყველაზე მისაღები მიდგომა არის ცოდნისათვის შემოწმებადობის აუცილებელ პირობად გამოცხადება." .

მაგრამ სკოტის აზრით, ის, რაზეც სოკრატე საუბრობს, არ არის შემოწმებადობა, არამედ, მას აინტერესებს გაგება, როგორ აღვწერთ, განვმარტავთ:

"სოკრატე "მენონში"... სრულებით არ არის დაინტერესებული შემოწმებადობით. მეტიც, ვიღაც იტყოდა, რომ ის სრულებითაც არ საუბრობს იმაზე, რასაც ჩვენ დღეს ვუწოდებთ ცოდნას, რაც წარმოადგენს შემოწმებადობის ფუნქციას, არამედ, საუბრობს გაგებაზე - განმარტების ფუნქციაზე" .

შესაძლოა, სკოტის მიერ განვითარებული თვალსაზრისის მსგავსი აზრი ჰქონდა მხედველობაში გეტიეს, როდესაც აღნიშნავს, რომ პლატონი "მენონში" იღებს შეხედულებას, რომ ცოდნა იგივეა, რაც შემოწმებული ჭეშმარიტი რწმენა. მიუხედავად იმისა, რომ პლატონის "მენონში" საუბარია რწმენიდან ცოდნის მოცემის პროცესში განმარტების და განსჯის ჩართვაზე, როგორც აღვნიშნეთ, სკოტიც მიუთითებს, რომ ეს არ არის იგივე, რაც თანამედროვე ეპისტემოლოგიაში შემოწმებადობა, არამედ, ის გაგების და მოგონების მომენტებთანაა დაკავშირებული. ამდენად, არ უნდა იყოს სწორი პლატონის შემეცნების თეორიის გეტიესეული გაგებაც.

ყველა ის დასკვნა, რაც მოცემული ანალიზის ფარგლებში არის მოცემული, მნიშვნელოვანია როგორც თანამედროვე ფილოსოფიაზე რეფლექსიისათვის, ასევე პლატონის შემეცნების თეორიის ინტერპრეტაციების გასაგებად. ის ფაქტი, რომ თანამედროვე ეპისტემოლოგიაში „ეპისტემეს“ ნაცვლად რწმენის პრობლემატიკა იქნა წინ წამოწეული, თანამედროვე ფილოსოფიის გარკვეულ ბუნებაზე, მასში გარკვეული სახით რელატივიზმის არსებობასა და საკითხებისადმი უფრო პრაგმატული მიდგომისადმი უპირატესობის მინიჭებაზე მიუთითებს. ამასთან, საინტერესოა ამ ჭრილში პლატონის შემეცნების თეორიის ანალიზი და იმ პრობლემის დადგენა, რამაც მსგავსი თავისებური ინტერპრეტაცია გახადა შესაძლებელი. პლატონის შემეცნების თეორიის ამგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც თანხმობაში არ მოდის მის ტექსტებთან, მიუღებელია, თუმცა ეს ინტერპრეტაცია კიდევ ერთხელ მიუთითებს თანამედროვე ეპისტემოლოგიისა და ზოგადად, ფილოსოფიის გარკვეულ მდგომარეობაზე. ვფიქრობ, რომ აუცილებელია ამ ტენდენციის მხედველობაში მიღება და გააზრება და ამ ჩარჩოში, თანამედროვე ეპსიტემოლოგიურ ჩარჩოში, ვიტგენშტაინის ფილოსოფიური თვალსაზრისის ადგილის მოძიება და სიღრმისეული ანალიზი.

1.2. ტრაქტატის ეპისტემოლოგია

ლუდვიგ ვიტგენშტაინის „ლოგიკო-ფილოსოფიური ტრაქტატი“ ერთადერთი ფილოსოფიური ნაშრომია, რომელიც მან თავის სიცოცხლეში საკუთარი გადაწყვეტილებით გამოაქვეყნა. ამ ნაშრომმა გამოსვლისთანავე დიდი ყურადღება დაიმსახურა და მრავალი ფილოსოფიური სკოლის თუ მიმართულების დისკუსიის საგნად იქცა. ის ვიტგენშტაინმა თავისებური სტილით დაწერა, ცალკეული წინადადებების, მსჯელობების სახით, ნუმერირებული, მოცემული, როგორც ფიქრები, აზრები ცალკეულ საკითხებზე, თითქოს, თავისთვის ინიშნავდა

პრობლემებს და იძლეოდა მათზე თავის თვალსაზრისს. ეს თავისებური, უცნაური წიგნი დღემდე დიდ ინტერესს იწვევს სხვადასხვა ტიპის ფილოსოფიაში:

„ტრაქტატი სწორად დახასიათდა, როგორც ყველაზე უცნაური წიგნი, რაც კი ოდესმე დაწერილა (კოფფა, 1994:140).“ [79]

ეს ნაშრომი ითვლება საკმაოდ ბუნდოვან ნაშრომად, რაც ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერპრეტაციების განვითარების საშუალებას იძლევა:

„ლუდვიგ ვიტგენშტაინის ტრაქტატი ძალიან ბუნდოვანი და ორაზროვანი მეტაფიზიკური ნაშრომია.“ [80]

თავად ვიტგენშტაინიც აღნიშნავდა, რომ ტრაქტატის წაკითხვა სპეციფიურ მიდგომას საჭიროებს:

„ტრაქტატი ჰგავს შინაარსის ანალიზურ ცხრილს ვრცელი წიგნისათვის. ვიტგენშტაინმა ერთხელ თქვა, “ტრაქტატის ყოველი წინადადება უნდა დავინახოთ, როგორც თავის სათაური, რომელსაც სჭირდება შემდგომი განვრცობა”. [81]

ჩვენი აზრით, ლუდვიგ ვიტგენშტაინის ეპისტემოლოგიური თვალსაზრისის სრულყოფილი გააზრებისა და შეფასებისათვის (ან შეფასების მცდელობისთვის) აუცილებელია მისი სხვადასხვა პერიოდის შეხედულებების ერთიან ჭრილში მოცემა და ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ ვიტგენშტაინთან ლოგიკო-ფილოსოფიური ტრაქტატის პერიოდში ეპიტემოლოგიის შესახებ უშუალო, პირდაპირ მინიშნებას ან განმარტებას არ ვხვდებით, მაგრამ ვიტგენშტაინისეული სამყაროს ხედვა გვაძლევს ცოდნაზე გასვლის შესაძლებლობას, მის მიერ სამყაროს შეფასების თავისებური სურათის მოცემის მცდელობაში ეპისტემოლოგიური

---

[79] Ahmed, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 1.

[80] Suzko, *Ontology in the Tractatus of L. Wittgenstein*, 1.

[81] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 29.

მიმართულებითაც შეგვიძლია შეფასების გაკეთება და პრობლემის გარკვეული სახით ანალიზი.

ლუდვიგ ვიტგენშტაინის „ლოგიკო-ფილოსოფიურ ტრაქტატში“ მოცემულია სამყაროს გააზრებისთვის, შემეცნებისთვის, სამყაროს შესახებ ჩვენი შეხედულებების ჩამოყალიბებისთვის საფუძვლის ძიება; ე.წ. ადრეული ვიტგენშტაინის მიხედვით, ის, რისი შემეცნებაც ჩვენ შეგვიძლია, არის ფაქტები, ჩვენ მოგვეცემა მხოლოდ ფაქტების ერთობლიობა:

„1 სამყარო არის ყველაფერი ის, რასაც ადგილი აქვს.

1.1 სამყარო არის ფაქტების ერთობლიობა და არა საგნების.

1.13 ფაქტები ლოგიკურ სივრცეში არის სამყარო.” [82]

ვიტგენშტაინისეული ეპისტემე ადრეულ პერიოდში გულისხმობდა ფაქტების ცოდნას, იმის ცოდნას, რისი აღქმაც ჩვენ შეგვიძლია. ფაქტებით მოცემული გვაქვს მთელი სამყარო, ისინი გვაკავშირებენ სამყაროსთან შემეცნების თვალსაზრისით.

„1.2 სამყარო ნაწევრდება ფაქტებად“

ენა ლოგიკურ სივრცეში არსებობს, ამდენად, სამყაროს ლოგიკა შეგვიძლია დავინახოთ ენის ლოგიკაში, ენამ შესაძლებელია მოგვცეს სამყაროს შემეცნების შანსი, სამყაროზე გასვლა ფაქტების ლოგიკით არის შესაძლებელი, აქ ყველაფერი განსაზღვრულია, გაჯერებულია ლოგიკით, თუ საგანი ვითარებაში შედის, ეს შესაძლებლობა იმთავითვე უნდა იდოს საგანში:

„2.012 ლოგიკაში არაფერია შემთხვევითი: თუ საგანს შეუძლია ვითარებაში შესვლა, მაშინ ამ ვითარების შესაძლებლობა იმთავითვე მოცემულია საგანში.“ [83]

---

[82] ვიტგენშტაინი, *ლოგიკო-ფილოსოფიური ტრაქტატი*, 49.

სამყაროს უმცირესი მარტივი ნაწილია ობიექტი. ის ქმნის სამყაროს. ობიექტთა ერთობლიობა კი ქმნის ვითარებას.:

„2.0272 ობიექტთა კონფიგურაცია ქმნის ვითარებას“ [84]

თავად ვითარებებისგან განისაზღვრება სამყაროს არსებობა, ისინი გვაძლევენ სამყაროს, აღწერენ მას, გვაწვდიან მის შესახებ ინფორმაციას. ჩვენ სწორედ ვითარებებთან გვაქვს შეხება და შეფასებას მათი მეშვეობით ვახდენთ:

„2.04 არსებულ ვითარებათა ერთობლიობა არის სამყარო.

2.05 არსებულ ვითარებათა ერთობლიობა განსაზღვრავს იმასაც, თუ რომელი ვითარებები არ არსებობს.

2.06 ვითარებების არსებობა და არარსებობა არის სინამდვილე. (ვითარების არსებობას ვუწოდებთ პოზიტიურ, ვითარების არარსებობას კი – ნეგატიურ ფაქტს.)“ [85]

ვიტგენშტაინისეული შემეცნების პროცესი „ტრაქტატში“ შემდეგნაირადაა აღწერილი - ჩვენ ვიქმნით ფაქტების ხატებს, ისინი ლოგიკურად გვაწოდებენ სამყაროს, სინამდვილეს:

„2.1 ჩვენ ვიქმნით ფაქტების ხატებს.

2.11 ხატი წარმოგვიდგენს გარემოებას ლოგიკურ სივრცეში, ვითარებების არსებობას და არარსებობას.

2.12 ხატი არის სინამდვილის მოდელი.

2.13 ხატში ობიექტებს ხატის ელემენტები შეესატყვისება.

---

[83] ვიტგენშტაინი, *ლოგიკო-ფილოსოფიური ტრაქტატი*, 53.

[84] Ibid. 55.

[85] Ibid, 55.

2.131 ხატის ელემენტები ხატში ობიექტებს ანაცვლებს.

2.141 ხატი არის ფაქტი“ [86]

აქვე აღსანიშნავია იმ ლოგიკის არსის ძიება, რაც შემეცნების პროცესში გვესაჭიროება, რომ საერთოდ შევძლოთ სამყაროს აღქმა:

„2.16 ფაქტი რომ ხატი იყოს, მას გამოხატულთან რაიმე საერთო უნდა ჰქონდეს.

2.161 ხატსა და გამოხატულში რაიმე იდენტური უნდა იყოს, რათა პირველმა საერთოდ შეძლოს, რომ მეორეს ხატი იყოს.

2.17 ის, რაც ხატს სინამდვილესთან საერთო უნდა ჰქონდეს, რომ სინამდვილე გარკვეული ხერხით – სწორად ან მცდარად – გამოხატოს, არის გამოხატვის ფორმა.

2.171 ხატს შეუძლია გამოხატოს ნებისმიერი სინამდვილე, რომლის ფორმაც მას აქვს. სივრცით ხატს – ყველა სივრცითი, ფერითს – ყველა ფერითი და ა.შ.“ [87]

სწორედ ლოგიკური ფორმა ეხმარება ხატს, რომ მოგვაწოდოს ცოდნა სინამდვილის შესახებ:

„2.18 ის, რაც ნებისმიერ ხატს, რაგინდ ფორმისას, საერთო უნდა ჰქონდეს სინამდვილესთან, რომ საერთოდ შეეძლოს – სწორად ან მცდარად – სინამდვილის გამოხატვა, არის ლოგიკური ფორმა, ანუ სინამდვილის ფორმა.

2.19 ლოგიკურ ხატს შეუძლია გამოხატოს სამყარო.“ [88]

მხოლოდ ლოგიკურ ანარეკლებში არის მოცემული ცოდნა, ლოგიკა უნდა დაგვეხმაროს, რომ შევიმეცნოთ სამყარო, ფაქტებით მოცემული, ხატებად

---

[86] ვიტგენშტაინი, *ლოგიკო-ფილოსოფიური ტრაქტატი*, 57.

[87] Ibid. 58.

[88] Ibid. 58.

შეკრული, სურათებად ქცეული, სინამდვილის სისწორის შეფასება სწორედ ხატის, სურათის მეშვეობით არის შესაძლებელი:

„2.21 ხატი შეესაბამება სინამდვილეს ან არა, ის სწორია ან არასწორი, ჭეშმარიტია ან მცდარი.“ [89]

აქვე აღსანიშნავია, რომ ხატთან შეხებისას, მისი გაგებისთვის ჩვენ სწორედ მის საზრისთან გვაქვს საქმე, მასში ჩადებულ მნიშვნელობასთან:

„2.221 ის, რასაც ხატი წარადგენს, არის მისი საზრისი.“ [90]

ამასთან, სწორედ საზრისი გვაძლევს შეფასების შესაძლებლობას, რომ დავადგინოთ სწორი და არასწორი მიდგომები, განვსაზღვროთ ჩვენი მიმართებები სამყაროსადმი. სწორედ აქ იკვეთება მნიშვნელობისა და ცოდნის მომენტი და ის გვაძლევს შემეცნების საშუალებას:

„2.222 სინამდვილესთან საზრისის თანხმობა ან ართანხმობა შეადგენს ხატის ჭეშმარიტობას ან მცდარობას.

2.223 იმის გასაგებად, ჭეშმარიტია ხატი თუ მცდარი, ის სინამდვილეს უნდა შევადაროთ.“ [91]

ასევე აღსანიშნავია, რომ ვიტგენშტაინისთვის მნიშვნელობა ჩადებულია მხოლოდ წინადადებაში, რომელიც გამოხატავს აზრს, ის გვაძლევს სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას, და ეს აზრი გამოხატულია ენით, ენაში:

„3.3 მხოლოდ წინადადებას აქვს საზრისი. მხოლოდ წინადადების კონტექსტში ეძლევა სახელს მნიშვნელობა.

---

[89] ვიტგენშტაინი, *ლოგიკო-ფილოსოფიური ტრაქტატი*, 59.

[90] Ibid. 59.

[91] Ibid. 59.

4 აზრი არის საზრისის მქონე წინადადება.

4.001 წინადადებების ერთობლიობა არის ენა.“ [92]

წინადადება გვაწვდის სინამდვილეს, წინადადებაში სიტყვების მნიშვნელობები ემორჩილებიან გარკვეულ ლოგიკას, და ეს ლოგიკურობა განსაზღვრავს სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას:

4.01 წინადადება არის სინამდვილის ხატი.

წინადადება არის სინამდვილის მოდელი – ისეთის, როგორადაც მას მოვიაზრებთ.

4.021 წინადადება არის სინამდვილის ხატი: რადგან თუკი მესმის ეს წინადადება, მე შევიცნობ მის მიერ წარდგენილ გარემოებას. ხოლო წინადადება მისი საზრისის ახსნის გარეშეც მესმის.“ [93]

ვიტგენშტაინთან წინადადების შეფასება ხდება რეალობასთან მიმართებით, ცოდნის საფუძვლად დგას საზრისის მქონე წინადადების ფაქტებთან მიმართება, წინადადება მოწმდება სინამდვილეში, რეალობაში, მისი ლოგიკის რეალობის სურათად გააზრებით:

„4.05 სინამდვილე დარდება წინადადებას.

4.06 წინადადება მხოლოდ იმით შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, რომ ის სინამდვილის ხატია.“ [94]

აქ გარკვეული დამაკავშირებელი ხაზები შეგვიძლია ვიპოვოთ ვიტგენშტაინის ტრაქტატისეულ ეპისტემოლოგიასა და თანამედროვე ეპისტემოლოგიურ შეხედულებებს შორის; თუ თანამედროვე ეპისტემოლოგიაში,

---

[92] ვიტგენშტაინი, *ლოგიკო-ფილოსოფიური ტრაქტატი*, 69, 79.

[93] Ibid. 79.

[94] Ibid. 89.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის საგანია შემოწმებული ჭეშმარიტი რწმენა, სადაც ცოდნის გაგებისთვის, შეფასებისთვის საფუძვლად მოაზრებულია რწმენა, ვიტგენშტაინთან ტრაქტატის ეტაპზე ტექსტის საზრისის ჩასაწვდომად გამოყენებულია მისი შესაბამისობა სინამდვილესთან, მისი შემოწმება სინამდვილეში. ამ შემთხვევაში გარკვეული ტიპის მსგავსებას ვხვდებით ამ ორ თვალსაზრისს შორის, თუმცა ვიტგენშტაინის შეხედულებები მაინც განსხვავებულ ჭრილში გადაწყვეტს შემეცნების პრობლემას „ტრაქტატში", ცალსახად გამოყოფს შემეცნებადს და „გამოუთქმელს", რითაც გარკვეული ტიპის ცოდნას შეუმეცნებად აცხადებს:

„5.6 ჩემი ენის საზღვრები ნიშნავს ჩემი სამყაროს საზღვრებს." [95]

ვიტგენშტაინთან მთავარი იარაღი შემეცნების პროცესში არის ლოგიკა, რომელიც ავსებს სამყაროს, აკავშირებს ყველაფერს, კრავს ჩვენთვის გასაგებ ერთობლიობად, ლოგიკამ უნდა მოგვცეს სამყარო, შემოსაზღვროს მისი საზღვრები:

„5.61 ლოგიკა ავსებს სამყაროს; სამყაროს საზღვრები ასევე მისი საზღვრებია.

ამიტომ, ლოგიკაში არ შეგვიძლია ვთქვათ: ესა და ეს არსებობს სამყაროში, ხოლო ეს – არა.

რადგან ეს, როგორც ჩანს, კერძოდ იმას იგულისხმებდა, რომ ჩვენ გარკვეულ შესაძლებლობებს გამოვრიცხავთ, ამას კი არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს, რადგან ასეთ შემთხვევაში ლოგიკა სამყაროს საზღვრებს უნდა გასცდენოდა; კერძოდ მაშინ, როცა ამ საზღვრებისათვის მეორე მხრიდანაც შეძლებდა შეხედვას.

რისი მოაზრებაც არ შეგვიძლია, იმას ვერ მოვიაზრებთ; მაშასადამე, ვერც ვიტყვით ვიტყვით იმას, რისი მოაზრებაც არ შეგვიძლია." [96]

---

[95] ვიტგენშტაინი, *ლოგიკო-ფილოსოფიური ტრაქტატი*, 165.

[96] ვიტგენშტაინი, *ლოგიკო-ფილოსოფიური ტრაქტატი*, 165.

მხოლოდ იმის შემეცნება შეგვიძლია, რაც შესაძლებელია რეალობაში, რასაც ლოგიკა გვაწვდის:

„მხოლოდ რაც რეალობაშია, ის შეიძლება იქნეს რეპრეზენტირებული და რაც მის მიღმაა, მათ შორის, თვით რეალობის საზღვრებიც - არ შეიძლება.“ [97]

ვიტგენშტაინის ლოგიკით სავსე „ტრაქტატის“ ერთ-ერთი საინტერესო ნაწილია ის მისტიკურის, დაფარულის, გამოუთქმელის მომენტი, რაც გარკვეულ საკითხებზე დუმილისკენ მოწოდებაა:

„ვიტგენშტაინის კითხვისას ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია მის მიერ დუმილისთვის გამოყოფილი თვალსაზრისი. ის გვიჩვენებს მისი გამოკვლევის ფილოსოფიური ლანდშაფტის მიუწვდომელ თვალსაზრისებს, მაგრამ არ გვეუბნება, რას გვიჩვენებს.“ [98]

საბოლოოდ, გამოდის, რომ ვიტგენშტაინი საუბრობს იმაზე, რაც გამოუთქმელია:

„ვიტგენშტაინი ან რაღაც უფრო მისაღებ ფორმულირებას ეძებდა (რაც, ჩემი აზრით, შეუძლებელია) ან მან თქვა ის, რაც თქვენს წინაშეა, რაც კარგად დაკვირვებისას ვლინდება, მაგრამ გამოუთქმელია. ეს ნაწილობრივ იწვევს იმ უცნაურ მდგომარეობას „ტრაქტატთან“ დაკავშირებით, რომ იძულებული ვხდებით ვთქვათ და შემდეგ გამოვაცხადოთ, რომ ეს გამოუთქმელია.“ [99]

მეტაფიზიკურთან დაკავშირებით ვიტგენშტაინის მიმართება არც თუ ცალსახა იყო. ის ცდილობდა ენის ფილოსოფიისთვის ახალი ტერმინოლოგიის შემოტანას:

---

[97] Addis, *Wittgenstein*, 37.

[98] Luntley, *Wittgenstein*, Opening Investigations, XVII.

[99] Anscombe, *An Introduction to Wittgenstein's Tractatus*, 86.

„ბეიკერის მიხედვით, ვიტგენშტაინი იწყებს სიტყვით “მეტაფიზიკური” და შემდეგ ცდილობს იპოვოს რაღაც მიწიერი სიტყვა, რაც ნიშნავს “არამეტაფიზიკურს” (ბეიკერი, 2004, 100).

ის (ვიტგენშტაინი) ეძებდა უკეთეს სიტყვას, რაც დაუპირისპირდებოდა მეტაფიზიკურს.“ [100]

ვიტგენშტაინთან მეტაფიზიკური პრობლემების გადაუჭრელობის საკითხი საოცრად აქტუალურია და არცთუ ცალსახად მოცემული. თუ ტრაქტატში მცდელობაა ამ ტიპის საკითხებს დუმილით ვუპასუხოთ, დავტოვოთ ცალკე სხვა სივრცეში, სხვა განზომილებაში, რაც, ალბათ, სხვა ტიპის ფილოსოფიის კვლევის საგანია, გამოკვლევებში ეს პრობლემები როგორღაც ენობრივი თამაშის კონტექსტში უნდა მოექცეს, რომ შევძლოთ სამყაროს სრულყოფილად მოაზრება:

„სწორი მეთოდი ტრაქტატსა და გამოკვლევებში ვიტგენშტაინის აზრით არის მეტაფიზიკისათვის წერტილის დასმა. მეტაფიზიკოსი თავის გამოთქმებს ვერ ანიჭებს მნიშვნელობას - ტრაქტატის მიხედვით, რადგან ის რეალობის ელემენტთან არ არის შესაბამისობაში, ხოლო გამოკვლევების მიხედვით - რადგან ის არ სვამს მას ენობრივ თამაშში.“ [101]

ვიტგენშტაინის დუმილი, სადაც ვიტგენშტაინი შეჩერდა „ტრაქტატის“ ეტაპზე, ჩვენი აზრით, ეს არ არის ჩიხი ან მეტაფიზიკური პრობლემატიკის სრული უგულვებელყოფა, ეს არის სხვა ტიპის მეთოდოლოგიის შემუშავების მცდელობა, ახალი ტიპის ენის ფილოსოფიის მოცემა, ახალი სფეროს განსაზღვრა, რომელიც შემდგომ განვითარებას საჭიროებს:

„ამის საპირისპიროდ, მე ვფიქრობ, რომ ეს დუმილი ასახავს მეთოდოლოგიაში განსხვავებულ, მაგრამ ფუნდამენტურ რეორიენტაციას, რომელიც გვთავაზობს

[100] Kahane, Edward Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 152.

[101] Kenny, *Wittgenstein*, 183.

პოტენციურ ფილოსოფიურ თეზისს: ენის ფილოსოფია (ამხსნელი თეორია, რაც გვაგებინებს, რაგ გვაქცევს ენის გამომყენებელ ქმნილებებად) იწყება ჩვენს მიერ მნიშვნელობის გააზრების ფენომენოლოგიით, რომელიც სიტყვების, როგორც საფუძვლების ჩვენეული გამოცდილების ესთეტიკას იღებს. ცხადია, ჩემი მიზანია ვაჩვენო, რომ ფილოსოფიური გამოკვლევები ფუნდამენტურად ესთეტიკური გამოკვლევაა. [102]

გამოუთქმელობა არ ნიშნავს შეჩერებას, უმოქმედობას, გამოუთქმელზე ხაზის გასმით ვიტგენშტაინი მოხაზავს ცალკე სფეროს, რომელიც დამატებით კვლევას საჭიროებს:

„თუ ფილოსოფიას კონკრეტულ მეთოდად (მაგ. ენის ანალიზად) ვაქცევთ, ამის შედეგად მსოფლმხედველობა, როგორც უთქმელი და გამოუთქმელი, ცალკე სფეროდ გამოიყოფა. ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდება, რომ ფილოსოფიის, როგორც მსოფლმხედველობის, უარყოფა მხოლოდ ახალი მსოფლმხედველობითაა შესაძლებელი, რომელშიც რაღაცნაირად ნათქვამია ის, რისი თქმაც ვიტგენშტაინმა აკრძალა.“ [103]

ტრაქტატის ეპისტემოლოგია სპეციფიურია, ის არის ვიტგენშტაინისეული ონტოლოგიის მოცემის მცდელობა:

„“ტრაქტატში” ვიტგენშტაინი შეეცადა აეგო ეპისტემოლოგიური დაპირისპირების თეორია:

1. ონტოლოგია ანუ ყოფიერების თეორია.

2. სინტაქსი ანუ ენის (ცნობიერების) სტრუქტურის თეორია

---

[102] Luntley, *Wittgenstein*, Opening Investigations, XVII.

[103] თევზაძე, *XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია*, 126.

3. სემანტიკა ანუ ლინგვისტურ გამოთქმებსა და რეალობას შორის ეპისტემოლოგიური მიმართებების თეორია.

ვიტგენშტაინის ონტოლოგია ყოფიერების ზოგადი და ფორმალური თეორიაა. აქ მას შემოკლებით შეიძლება ეწოდოს "ონტოლოგია". ის გულისხმობს (დროისა და სივრცისგან დამოუკიდებლად) სიტუაციებს (ფაქტები, უარყოფითი ფაქტები, ატომარული და შედგენილი სიტუაციები) და ობიექტებს." [104]

ამდენად, ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიური აზრის განვითარების საწყის ეტაპზე, ე.წ. პირველ ფილოსოფიაში მის მიერ ეპისტემოლოგიასა და სიტყვის (წინადადების) მნიშვნელობას შორის კავშირის მოცემის სპეციფიური გზაა დასახული; სამყაროს გააზრებისთვის და შემეცნების მთავარი შეკითხვისთვის - რა ვიცით სამყაროს შესახებ - პასუხის ძებნა გადის ენის ლოგიკაზე, წინადადების შინაარსზე, რომელიც მოწმდება რეალობაში, დარდება სინამდვილეს და ხდება ხატებად მისი აღქმა. ჩვენ ვიცით სამყარო ლოგიკური მხრივ და ვდუმვართ სამყაროზე, რომელიც ჩვენს ლოგიკაში, ჩვენს სიტყვების მნიშვნელობებში, ჩვენს ენაში ვერ ექცევა, წინადადებებით ვერ გამოითქმის, ეს ცალკე სფეროდ მოიხაზება, ახალი ტიპის განზომილებად გადის და ახალი ტიპის ფილოსოფიის საჭიროებას ქმნის.

[104] Suzko, *Ontology in the Tractatus of L. Wittgenstein*, 24.

თავი 2

ტრაქტატიდან გამოკვლევებამდე

2.1. სიტყვის მნიშვნელობა, როგორც გამოყენება

ლუდვიგ ვიტგენშტაინის „ფილოსოფიური გამოკვლევები“ ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური და გავლენიანი წიგნია, მისი გავლენა მხოლოდ ფილოსოფიით არ შემოიფარგლება, მან, ზოგადად, ხედვის სრულიად განსხვავებული განზომილება შემოიტანა, ახალი ტიპის დამოკიდებულება სამყაროსადმი, სხვა ტიპის რეფლექსია ფილოსოფიურ და არა მხოლოდ ფილოსოფიურ პრობლემებზე და გარკვეული სახით გადატრიალება მოახდინა აზროვნების განვითარების პროცესში:

„გამოკვლევები, ალბათ, ფილოსოფიაში ყველაზე მეტად გავლენიანი წიგნია, რომელმაც ჰიუმის “ტრაქტატის” შემდეგ ყველაზე ძლიერი გავლენა იქონია ფილოსოფიურ აზროვნებაზე.“ [105]

გამოკვლევების წერის სტილიც ორიგინალურია, სწორედ ისეთივე განსაკუთრებული და განსხვავებული, როგორც ვიტგენშტაინის ტრაქტატის სტილი:

„გამოკვლევები თავად ისეთივე უცნაურია, როგორც ტრაქტატი. საუკეთესო პასუხი კითხვაზე: “რას ნიშნავს ის?” - იქნება “წაიკითხე ის კვლავ”. [106]

გამოკვლევების სტილს მრავალი მკვლევარი ადარებს სოკრატულ დიალოგს და ამ მიმართულებითაც ხაზს უსვამენ მათ შორის მსგავსებაზე:

---

[105] Ahmed, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 1.

[106] Ibid. 1.

„გამოკვლევები ჰგავს სოკრატულ დიალოგს.“ [107]

გამოკვლევები მოიცავს სხვადასხვა თემატიკას, რომლებიც განხილულია შეკითხვებისა და პასუხების სახით:

„გამოკვლევების თემატიკა - სულ 15.“ [108]

„გამოკვლევებში კენნი მოითვლის 784 შეკითხვას და 110 პასუხს, ხოლო პასუხებიდან 70 მცდარია.“ [109]

ეს სპეციფიური სტილი საკმაოდ ართულებს გამოკვლევების სწორხაზოვნად გაგებას და ქმნის ინტერპრეტაციათა ფართე შესაძლებლობებს. ამის შესაბამისად, არსებობს სხვადასხვა ტიპის მკვლევართა მიერ ვიტგენშტაინის მეორე ფილოსოფიის შეფასების მრავალფეროვანი გზა და მიდგომა, მასთან, არა მხოლოდ ფილოსოფიის სფეროში, არამედ, მისი ნაშრომის გავლენების გააზრების და გამოყენების მცდელობები სხვადასხვა დარგსა თუ მიმართულებაში. ვიტგენშტაინის გამოკვლევების შეფასების პროცესში ვერ ავუვლით გვერდს ინტერპრეტაციათა იმ მეთოდების განხილვას, რაც ამ ჩანაწერების ნაკრების გააზრების პროცესში განვითარდა და შეხედულებათა სხვაობა, კვლევის განსხვავებული გზები და მიმართულებები მოგვცა. განასხვავებენ გამოკვლევების წაკითხვის სტანდარტულ და ახალ ინტერპრეტაციას:

„ახალი ვიტგენშტაინისეული და სტანდარტული წაკითხვა.

ახალი - იხ. კონანი, 2000, დაიმონი 2000, მალჰოლი 2007. გვიანდელი ბეიკერი 2004. სტერნი 2004.

---

[107] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 39.

[108] Ahmed, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 38.

[109] Kenny, *Wittgenstein*, 38.

სტანდარტული - ადრეული ბეიკერი და ჰაკერი 1980. პირსი 1987, 88, 2006. მაკგინი 1997, ტრევისი 2006.“ [110]

განასხვავებენ გამოკვლევების წაკითხვის ორ მეთოდს: პირონულს და არაპირონულს და თითოეული ტიპის მიდგომა სხვადასხვა მკვლევართან გვხვდება:

„რობერტ ფოგელინი - გამოკვლევების კითხვის ორი მეთოდი: “პირონული” - სკეპტიციზმი, ფილოსოფიის დასასრული და “არა-პირონული” - გარკვეული ტრადიციული თეორიების კრიტიკა იმისათვის, რომ ფილოსოფია უკეთ აკეთო.

ფოგელინი ვიტგენშტაინი გვიანდელ შრომებს კითხულობს, როგორც ორ ვიტგენშტაინს შორის მუდმივ ბრძოლას: არა-პირონული ფილოსოფოსი (non-foundationalist theory of justification) და პირონული ანტი-ფილოსოფოსი.

არა-პირონული ინტერპრეტატორები - ჰაკერი, ადრეული ბეიკერი, პირსი, ჰინტიკა, ფონ სავინი.

პირონული ვიტგენშტაინის თეორეტიკოსები - დაიმონდი, კონანტი, გვიანი ბეიკერი.“ [111]

ვიტგენშტაინის ტექსტის წაკითხვის სხვადასხვა ინტერპრეტაცია თავისებურად მაინც ცალმხრივად იხილავს მის თვალსაზრისს, ეს პრობლემა ვიტგენშტაინის ყველა ნაშრომის ინტერპრეტაციის მახასიათებელია:

„გარკვეული სიმართლე არის ყველა ამ მიდგომაში, მაგრამ თითოეული მათგანი გვაძლევს ვიტგენშტაინს, რომელიც უფრო ცალმხრივად მოაზროვნე იყო, ვიდრე ის წიგნები, რომლებიც მან დაწერა.

---

[110] Ahmed, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 31.

[111] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 34-37.

პირონული და არაპირონული - “ფილოსოფიის კეთების შეწყვეტა” და “ფილოსოფიის კეთება”. [112]

თანდათან უფრო გავრცელებული გახდა ვიტგენშტაინისეული ტექსტების იმანენტური კითხვა, თუ კონტექსტუალური წაკითხვის ხერხის შემუშავება:

„ტექსტის იმანენტური წაკითხვა - წაიკითხო ისე, რომ ექსტრა ტექსტობრივი მონაცემები არ მიიღო მხედველობაში.

თანდათან კონტექსტუალური კითხვა უფრო გავრცელდა.“ [113]

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პასუხი კითხვაზე, ვიტგენშტაინის „გამოკვლევები“ თერაპიული სახის ნაშრომია, თუ თეორიული ხასიათის ტექსტად უნდა იქნეს განხილული, რაც ასევე ინტერპრეტაციათა სხვაობას ქმნის:

„თეორია თერაპიის საწინააღმდეგოდ - ფილოსოფიური გამოკვლევები უნდა წავიკითხოთ, როგორც ფილოსოფიური თეორია, თუ როგორც თერაპია მრავალი ფილოსოფიური პრობლემისათვის?

მაგალითად, ბეიკერმა თეორიიდან თერაპიამდე შეიცვალა თვალსაზრისი (2004).“ [114]

ვიტგენშტაინის ტექსტის წაკითხვის სხვადასხვა მეთოდების მიხედვით მკვლევარებს სხვადასხვა ტიპად ყოფენ:

„(125) სულ ოთხგვარი მიდგომაა:

ტექსტის იმანენტური: 1. თეორია - ე. ფონ სავინი, 2. თერაპია - ს. კაველი

კონტექსტუალური: 1. ადრეული ბეიკერი, 2. გვიანდელი ბეიკერი.“ [115]

---

[112] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 36-37.

[113] Ibid. 37.

[114] Ibid. 124.

ვიტგენშტაინის წერის ხასიათის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ინტერპრეტატორმა შეძლოს წაკითხვის ისეთი ტიპის გამოყენება, რომელიც ინფორმაციის სწორად აღქმის საშუალებას მოგვცემს და თანმიმდევრული იქნება ვიტგენშტაინის თვალსაზრისთან მიმართებით და გარკვეული ტიპის ინტერპრეტაციის მხრივაც. აღსანიშნავია, რომ არც თუ ისე მარტივია დადგინდეს, სად არის მოცემული ვიტგენშტაინის საკუთარი აზრი და სად - მოკამათის, რომელი ხმა არის ავტორისეული და რომელი - მოპასუხის:

„ვიტგენშტაინი ბევრ ნაცვალსახელს იყენებს.

ყველაზე ნაკლებად გასაგებია პირველი პირის მრავლობითის ნაცვალსახელების გამოყენება - "ჩვენ". ის ხან ტრაქტატის ავტორს აღნიშნავს, ხან - გვიანდელ ვიტგენშტაინს. [116]

საკმაოდ რთულია დადგენა, ზუსტად რა ტიპის ფილოსოფიასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვიტგენშტაინის გამოკვლევებს ვიღებთ მხედველობაში. ყველაზე გავრცელებული თვალსაზრისია ამ ნაშრომის ყოველდღიურ ენის ფილოსოფიასთან კავშირში მოაზრება:

„(145) ზოგიერთი ინტერპრეტატორი ცდილობს ვიტგენშტაინს ადგილი მიუჩინოს "ყოველდღიური ენის ფილოსოფოსების" გვერდით." [117]

ზოგიერთი ამოსავალ დებულებად იყენებს ვიტგენშტაინის თვალსაზრისს თუ პროგრამას, ენის მეტაფიზიკური გამოყენებიდან ყოველდღიურ გამოყენებაში დაბრუნება, რითაც ხაზგასმულია ყოველდღიური ენის ფილოსოფიის მნიშვნელობა და მასთან ვიტგენშტაინის კავშირი:

---

[115] Kahane, Edward Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 125.

[116] Kahane, Edward Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 154.

[117] Ibid. 145.

“რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს არის სიტყვებს ვაბრუნებთ მათი მეტაფიზიკური გამოყენებიდან ენაში მათ სწორ გამოყენებამდე.

(კაცი, რომელმაც თქვა, რომ ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შევა, რაღაც არასწორი თქვა; ერთსა და იმავე მდინარეში შეგვიძლია ორჯერ შევიდეთ)”.

და ეს არის ის, თუ როგორ გამოიყურება ყველა ფილოსოფიური სირთულეების გადაჭრა. თუ ისინი სწორია, მათი პასუხი უნდა იყოს ჩვეულებრივი. მაგრამ ისინი უნდა დავინახოთ სწორად და მაშინ ეს კითხვები აღარ იქნება. (“ფილოსოფიური დაკვირვებები 167, 169”).“ [118]

ტრაქტატიდან გამოკვლევებზე გადასვლის მომენტის ყველაზე არსებითი ცნება ცხადია არის ენობრივი თამაშების ცნება, რომელიც ვიტგენშტაინის ფილოსოფიის სპეციფიურად მახასიათებელი მომენტია, მისი თვალსაზრისის გარკვეული თავისებური გამოხატულება, რამაც ძალიან დიდი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ფილოსოფიურ, არამედ, მრავალ სხვა ტიპის მეცნიერულ თუ სხვა სახის აქტივობასა თუ შეხედულებებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ ტრაქტატში მოცემული მნიშვნელობის თეორია, ნიშნის საზრისის და მისი გამოყენების შესახებ განვითარებული თვალსაზრისი, გარკვეულწილად მოსამზადებელი ეტაპია გამოკვლევებში გაშლილი თეორიისათვის:

„ტრაქტატში არაა ნახსენები ენობრივი თამაშები, მაგრამ მნიშვნელობასა და გამოყენებას შორის კავშირი უკვე არის გაკეთებული. 3.32 - ვიტგენშტაინი განასხვავებს ნიშანსა და სიმბოლოს. ნიშანი არის გრძნობადად აღქმადი ნაწილი სიმბოლოში. ორ სხვადასხვა სიმბოლოს შეიძლება ჰქონდეს ერთი საერთო ნიშანი. როდესაც ეს ასეა, ისინი აღნიშნავენ სხვადასხვაგვარად. იმისათვის, რომ ნიშანში სიმბოლო ამოიცნო, უნდა დააკვირდე მნიშვნელობის მქონე გამოყენებას (“ტრაქტატი” 3.327). და (3.328) - თუ ნიშანს არ აქვს გამოყენება, ის უსაზრისოა.

[118] Kahane, Edward Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 150.

ერთადერთი, რაც აქ არ გვხვდება, არის კორელაცია ნიშნებს, მათ ლოგიკურ-სინტაქსურ თვისებებსა და ნიშანთა ნომინატებს შორის. ამ პერიოდში ვიტგენშტაინს სწამდა, რომ ეს კორელაცია ფსიქოლოგიის საქმეა. "ამის აღმოჩენა არ იყო ფილოსოფოსის ამოცანის ნაწილი." [119]

ენობრივი თამაშების ჩანასახი პირველად ვიტგენშტაინის ჩანაწერებში ე.წ. „ცისფერ წიგნში" გვხვდება:

„ცისფერი წიგნი წარმოადგენს ენობრივი თამაშის ცნებისა და ტექნიკის შემომტანს." [120]

მნიშვნელობა და გამოყენება, ეს ორი ტიპის ცნება, რომელთა კორელაციის მცდელობაა მოცემული ჯერ ტრაქტატში და შემდეგ განვითარებული „გამოკვლევებში" ენობრივი თამაშის ცნების სახით, გვაძლევს შანსს, რომ ვეცადოთ მნიშვნელობიდან ცოდნაზე გავიდეთ:

„სიტყვა „მნიშვნელობის" მოხმარების შემთხვევაშთა დიდი კლასისთვის (თუმცაღა არა მისის გამოყენების ყველა შემთხვევისათვის) ეს სიტყვ ა შეიძლება ასე განიმარტოს: სიტყვის მნიშვნელობა არის მისი გამოყენება ენაში." [121]

მოცემული ფრაზა და ნაწყვეტი ნაშრომიდან, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი თვალსაზრისია, რამაც ვიტგენშტაინის ფილოსოფიური აზრის მნიშვნელობა ერთბაშად ყურადღების ცენტრში მოაქცია და ეს ინტერესი დღემდე არ ცხრება.

---

[119] Kenny, *Wittgenstein*, 126.

[120] Monk, *Ludwig Wittgenstein: The Duty of Genius*, 351.

[121] ვიტგენშტაინი, 2003, 43. ამ შემთხვევაში მოცემული ციფრი მიუთითებს გვერდის ნომერს „ფილოსოფიური გამოკვლევებიდან", ვინაიდან ციტატა მოყვანილია ნაშრომის მეორე ნაწილიდან, სადაც ავტორის შენიშვნები პარაგრაფებად ნუმერირებული აღარ არის და მითითება ნაშრომის გვერდის ნომრის მიხედვით ხდება.

სიტყვის მნიშვნელობის გამოყენებად გააზრება განსაზღვრავს მნიშვნელობასა და ადამიანის აქტივობას შორის კავშირს, საზრისი განსაზღვრული ხდება ჩვენი მოქმედებით:

„მნიშვნელობა არის გამოყენება უნდა გავიგოთ, როგორც თეზისი, რომ მნიშვნელობა არის ადამიანის მოქმედებაში სიტყვების მატარებელი.” [122]

ვიტგენშტაინისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ავგუსტინესეული თვალსაზრისი ენის ბუნებრივი გამოყენებიდან მოწყვეტის შესახებ, ამგვარი შეხედულება საკითხის ზედმეტი გამარტივებაა და რეალობიდან გვწყვეტს:

„ავგუსტინესეული იმპულსი, რომ ენა მისი ბუნებრივი მდგომარეობიდან აბსტრაგირდეს და ის გავიგოთ, როგორც მნიშვნელობის მქონე ნიშანთა სისტემა, წარმოადგენს ზედმეტად გამარტივებას, იდეალიზაციას, არასწორ განსაზღვრებას, ცარიელ ცნებებს და სურათებს, რომელთაც ან არანაირი კავშირი არ აქვთ რეალობასთან, ან ვერ იქნება მიყენებული.“ [123]

სიტყვის მნიშვნელობის გამოყენებით განსაზღვრება და ამ მომენტის წესებთან დაკავშირება თანამედროვე ენის ფილოსოფიისთვის მნიშვნელოვან მომენტად იქცა. მნიშვნელობა და გამოყენება ენობრივი თამაშების წესებით შეიკრა:

„უფრო მოდური გახდა მნიშვნელობის გარკვეული სახით წესებად გაგება, ვიდრე დროისა და სივრცის მიღმა არსებული გარკვეული ერთობლიობებისა. მნიშვნელობის ანალიტიკოსები უპირატესობას ანიჭებენ თავიანთი კვლევის საგნის „ენობრივი თამაშის წესებად“ განსაზღვრებას.“ [124]

---

[122] Ahmed, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 19.

[123] McGinn, *Wittgenstein and the Philosophical Investigations*, 110.

[124] Abelson, *Meaning, Use and Rules of Use*, 48.

ენობრივი თამაშები შეგვიძლია კიდეც განვიხილოთ ენად, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ კომუნიკაციის საფუძველს:

„ჩვენ ენობრივ თამაშებს არ ვთვლით ენის არასრულყოფილ ნაწილებად, არამედ, როგორც თავისთავად სრულყოფილ ენებად, ადამიანური კომუნიკაციის სრულყოფილ სისტემებად.“ [125]

ძალიან საინტერესო მომენტია, როგორ ხდება სიტყვის მნიშვნელობიდან გამოყენებაზე გასვლა და ამ ყველაფრის ცოდნის შეძენასთან დაკავშირება, შემეცნების პროცესის განხორციელება, რასაც ეპისტემოლოგიასთან დაკავშირებულ შემდგომ თავებში უფრო დეტალურად განვიხილავთ.

2.2. ლუდვიგ ვიტგენშტაინის პირველი და მეორე პერიოდის ეპისტემოლოგია

შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ ლუდვიგ ვიტგენშტაინის მეორე ფილოსოფია - „ფილოსოფიური გამოკვლევების“ პერიოდი - პირველი ფილოსოფიის სრულ უარყოფას წარმოადგენს, ჩვენი აზრით არ წარმოადგენს მართებულ შეხედულებას. პირიქით, ამ ორი პერიოდის ფილოსოფიის სიღრმისეული ანალიზი აჩვენებს, რომ არსებობს მრავალი დამაკავშირებელი საკითხი თუ თემა, ხაზები, რომლებიც განჭოლავს ორივე ფილოსოფიას და წარმოადგენს საერთო ხედვის, მსოფლხედვის მოცემის მცდელობას.

[125] Wittgenstein, *The Blue and Brown Boo*, 81.

ზოგადად, საკითხი, არის თუ არა ვიტგენშტაინის მეორე ფილოსოფია პირველის უარყოფა და მისი საპირისპირო, საკმაოდ პრობლემურია და ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა რთულია:

„ხედვა, რომ ტრაქტატი და გამოკვლევები სრულიად საპირისპიროა ან რომ ისინი მთლიანად თანხმობაშია ერთმანეთთან - გამოკვლევების ახალი მკითხველისათვის ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს.“ [126]

როგორც ენტონი კენნიც აღნიშნავს, ძალიან ბევრი დამაკავშირებელი თემა არსებობს, რომელიც ვიტგენშტაინის პირველ და მეორე ფილოსოფიას ერთმანეთთან აკავშირებს:

„გაჩნდა აზრი, რომ ვიტგენშტაინს ჰქონდა ორი სრულიად განსხვავებული და ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფილოსოფია. 30-იანი წლების შრომების შემდგომმა გამოცემებმა აჩვენეს, რომ ეს თვალსაზრისი ზედმეტად მარტივია. არსებობს მრავალი დამაკავშირებელი ადრეულ და გვიანდელ შრომებს შორის და მრავალი მტკიცება, რაც ორივე პერიოდშია.“ [127]

მოცემული ორი პერიოდის თვალსაზრისების დეტალურ ანალიზს თუ მოვახდენთ, დავინახავთ სამ მთავარ განსხვავებას, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი, რა თქმა უნდა, არის ენობრივი თამაშების ცნების შემოტანა, რომელსაც მნიშვნელობა, საზრისი სრულიად განსხვავებულ განზომილებაში გადააქვს და ცალკე განხილვას და ანალიზს საჭიროებს:

„განსხვავება ტრაქტატსა და გამოკვლევებს შორის სამ მთავარ პრინციპში მდგომარეობს: (1) ტრაქტატში ვიტგენშტაინმა გადმოსცა მეტაფიზიკური ატომიზმი. ენის უკიდურესი ელემენტები არიან სახელები, რომლებიც აღნიშნავენ მარტივ ობიექტებს; ელემენტარული წინადადებები ამ სახელების ნაკრებია,

[126] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 8.

[127] Kenny, *Wittgenstein*, 113.

ყოველი ასეთი წინადადება სხვებისგან დამოუკიდებელია. გამოკვლევებში ვიტგენშტაინი ამტკიცებს, რომ სიტყვები "მარტივი" და "რთული" უსაზრისოა და უმარტივესი ელემენტარული წინადადებების ძიება მოჩვენებითია. (2) ტრაქტატში აინტერესებს სიმბოლური ლოგიკის ფორმალური სტრუქტურა, როგორც იდეალური წინადადებებისა და ენის არსის წვდომის გასაღები; გამოკვლევებში მან მიატოვა თვალსაზრისი, რომ ენას გააჩნია არსი და თავი მიუძღვნა ჩვეულებრივი ენის იდიომების შესწავლას; (3) ტრაქტატში თუ ამტკიცებდა, რომ დებულებებს აქვთ მნიშვნელობა ან საზრისი, რადგანაც ისინი სურათებს წარმოადგენენ, გამოკვლევებში ამტკიცებს, რომ დებულების საზრისი არის მისი გამოყენება ან მოხმარება ან მიყენება; კონცეფცია, რომ მნიშვნელობის მქონე დებულება არის სურათი, გვიანდელ აზროვნებაში ჩანაცვლებულ იქნა თვალსაზრისით, რომ დებულების საზრისი განსაზღვრულია გარემოებებით, რომლებშიც არის ის გამოთქმული და ენობრივი თამაშით, რომელსაც ის მიეკუთვნება." [128]

ამასთან, ენტონი კენნის მიხედვით, მხოლოდ პირველი არის სრულად მისაღები, დანარჩენი შეხედულებები კი სადაოა:

„ამათგან (1) მეჩვენება მე სწორად, (2) ნაწილობრივ სწორად, და (3) მთლიანად მცდარად." [129]

გამოკვლევები წინააღმდეგობაში მოდის ტრაქტატთან პირველ ფილოსოფიაში ცნების ზედმეტი სიმარტივის გამო:

„გამოკვლევებში მოცემულია ტრაქტატში გამოყენებული მარტივი ცნების დეტალური კრიტიკა ("ფილოსოფიური გამოკვლევები", I, 39-64). აბსოლუტური სიმარტივე უაზრობაა. სადაც შესაძლებელია ანალიზი, არ უნდა ვიფიქროთ, რომ

[128] Kenny, *Wittgenstein*, 113.

[129] Ibid. 174.

გაანალიზებული ფორმა უფრო ფუნდამენტურია, ვიდრე გაუანალიზებელი (“ფილოსოფიური გამოკვლევები”, I, 60-5).“ [130]

რაც შეეხება, ტრაქტატის და ფილოსოფიური გამოკვლევების მსგავსებას, აქ აქცენტი კეთდება ენის ლოგიკურობაზე, რომ ამ ტიპის ლოგიკა გვაძლევს საშუალებას, აღვწეროთ სამყარო, გავიდეთ სამყაროზე, ასევე, ამ ფილოსოფიებში ხაზგასმულია პრობლემა ჩვეულებრივი ენის ხარვეზების შესახებ და აუცილებელია ამ მომენტის გათვალისწინება:

„ორივე შრომა ამტკიცებს, რომ დებულებები ჩვეულებრივ ენაში სრულყოფილ ლოგიკურ წესრიგში იმყოფებიან იმგვარად, როგორც ისინი არიან (“ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი” 5.563; “ფილოსოფიური გამოკვლევები”, I, 98). ორივე შრომა ამტკიცებს, რომ ენა ადამიანის ბუნებრივი ისტორიის ნაწილია (“ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი” 4.001; “ფილოსოფიური გამოკვლევები”, I, 25). ორივე აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივი ენა მაცდურია. (“ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი” 4.002; “ფილოსოფიური გამოკვლევები”, I, 224). ორივე იყენებს ერთსა და იმავე მაგალითს ენის ცდუნების საჩვენებლად: განსხვავება “არის, ყოფნა” შორის: “ვარდი არის წითელი”, “ორჯერ ორი არის ოთხი”, “არ არსებობს ღმერთი” (“ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი” 3.323; “ფილოსოფიური გრამატიკა” 53; “ფილოსოფიური გამოკვლევები”, I, 558). ორივეში განსხვავებები, რომლებიც დაფარული არიან წერილობითი და ზეპირი სიტყვების ერთიანი სახით, გამოვლენილნი არიან მათი გამოყენებით ან მიყენებით (“ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი” 3.143; 3.262; “ფილოსოფიური გამოკვლევები”, I, 11).“ [131]

აქვე ხაზი უნდა გაესვას ამ ორ ფილოსოფიაში მოცემულ განსხვავებულ აქცენტებს, თუ ტრაქტატში სიტყვის გამოყენება ახდენს სამყაროს აღწერას ხატების

---

[130] Kenny, *Wittgenstein*, 174.

[131] Ibid. 175.

სახით, სურათოვნად, გამოკვლევებში ის მთალიანად აქტივობასთან არის დაკავშირებული, ენობრივი თამაშის, სიცოცხლის ფორმის ნაწილია:

„მხოლოდ ამ ორს სხვადასხვა აქცენტი გააჩნია.

ტრაქტატში სიტყვის გამოყენება არის მისი მიმართება პრიმიტიულ ნიშნებთან, და მათგან იმ უმარტივესებთან, რომლებსაც ისინი აღნიშნავენ. გამოკვლევებში კი სიტყვის გამოყენება არის მისი ნაწილი ენობრივ თამაშში, სიცოცხლის ფორმაში ("ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი" 2.0271; "ფილოსოფიური გამოკვლევები", II, 226).

გამოკვლევები არასწორად თვლის, რომ ეძებო რაღაც საერთო ყველა წინადადებისათვის და კიდევ უფრო მეტ შეცდომად - მის მენტალურ სტრუქტურაში ძიებას.

ვიტგენშტაინის მიხედვით, ჩვენ ვეძებთ ენის არსებას ("ფილოსოფიური გამოკვლევები", I, 92; PB 85)." [132]

იმისათვის, რომ ენაში სიტყვამ შეიძინოს მნიშნველობა, ჩვენ უნდა განვახორციელოთ გამოყენების პრაქტიკები და გავამყაროთ ისინი, ჩვენ ჩართული ვართ ენის შექმნაში, ჩვენ ვმონაწილეობთ მნიშვნელობის დადგენაში:

„ფილოსოფიური გამოკვლევების" ერთ-ერთი გამეორებადი თემა არის ის, რომ ჩვენ სიტყვას მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ მხოლოდ საგანზე მიწერით. რაც აუცილებელია, არის ჩვენი მხრივ მონაწილეობა, რომ გავაგრძელოთ სიტყვის გამოყენება, იმ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, რომ ყველანი გამოვიყენებთ მას იგივე აზრით." [133]

---

[132] Kenny, *Wittgenstein*, 176.

[133] Pears, *The False Prison*, 208.

ვიტგენშტაინის აზრით, ჩვენ არ გვაქვს ერთიანი სახით დასრულებულად მოცემული ენა, არამედ, ენას ქმნის პრაქტიკები განსხვავებული, მრავალი ლოგიკით:

„ვიტგენშტაინი აცხადებს, რომ არსებობს ენის არა ერთი ლოგიკა, არამედ, მრავალი; ენას არ აქვს ერთი არსება, არამედ, ის წარმოადგენს განსხვავებული პრაქტიკების ერთობლიობას, თითოეული საკუთარი ლოგიკით... გამოსახულების მნიშვნელობა არის მისი გამოყენება მრავალ სახის პრაქტიკაში, რომლებიც ქმნიან ენას. [134]

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვიტგენშტაინისთვის მიუღებელია ენის არსების ძიება საერთო თვისებების საფუძველზე, არა რაღაც საერთო, არამედ, მსგავსება არის მნიშვნელოვანი, და ის ავითარებს ოჯახური მსგავსების თეორიას:

„მართალია ვიტგენშტაინს არ მიუტოვებია ენის არსების ძიება, მაგრამ ის მივიდა დასკვნამდე, რომ მცდარია ენის არსების ძიება, როგორც ყველა წინადადების გამჭოლი საერთო სტრუქტურისა. ზოგადი ტერმინების მიყენება ხდება არა საერთო თვისების საფუძველზე, არამედ, ოჯახური მსგავსებით.“ [135]

გამოკვლევები ერთი მხრივ უარყოფს სურათოვან თეორიას, რაც ვიტგენშტაინს ტრაქტატში აქვს განვითარებული, ხაზი აქვს გასმული, რომ თუ წინადადებებს სინამდვილის ხატებად აღვიქვამთ, ისინი შინაარსისგან დაცლილი იქნებიან, სურათად ყოფნაში იკარგება სინამდვილის აღქმა:

„წინადადება, როგორც სურათი გამოკვლევებში უსაზრისოა, ის ჰგავს კედელზე დაკიდებულ სურათებს, რომლებიც მარტივად ასახავენ, როგორ გამოიყურება საგანი. ის უშინაარსოა. (“ფილოსოფიური გამოკვლევები”, I, 291; Z 244).“ [136]

---

[134] Grayling, *Wittgenstein*, 67.

[135] Kenny, *Wittgenstein*, 177.

[136] Ibid. 179.

ეს თვალსაზრისი ხაზს უსვამს არა იმას, რომ სურათის თეორია სრულიად უკუსაგდებია, არამედ, იმას, რომ მას აკლია მნიშვნელობის, როგორც გამოყენების განსაზღვრება:

„ეს ნაწყვეტები აჩვენებს, რომ სურათის თეორიას ესაჭიროება დამატება და არა იმას, რომ ის მცდარია; რომ მნიშვნელობის, როგორც გამოყენების თეორია უფრო დამატებაა, ვიდრე სურათის თეორიის უკუგდება. ისინი ხაზს უსვამენ აზრს, ასე ხშირად გამოთქმულს 1930 წლებიდან, რომ ნიშნები თავისთავად მკვდრები არიან და ესაჭიროებათ გამოყენება, რომ მიეცეთ სიცოცხლე ("ფილოსოფიური გრამატიკა" 132; "ყავისფერი წიგნი" 4; "ფილოსოფიური გმოკვლევები" I, 430-3)." [137]

აღსანიშნავია, რომ ტრაქტატიდან გამოკვლევებზე გადასვლის პერიოდში ვიტგენშტაინის ინტერესის საგანი თითქოს შეიცვალა, თუმცა მთელი მისი ფილოსოფიის მიზანი ისევ სამყაროს აღწერა, ენის მეშვეობით სამყაროზე გასვლა იყო და იმის დანახვა თუ შემეცნება, რის საშუალებასაც გვაძლევს მოცემული საწყისი თუ მეორე ფილოსოფიაში განვითარებული თვალსაზრისი:

„გამოკვლევების შესავალი აცხადებს ტრაქტატში "მომაკვდავი შეცდომების" შესახებ, მაგრამ ეს არ ამტკიცებს, რომ გვიანდელი ფილოსოფია მთლიანად ახალია. შესაძლებელია, ვიტგენშტაინმა თავად გადაამეტა მის ადრინდელ და გვიან ფილოსოფიებს შორის განსხვავების შესახებ. ეს არ არის გასაკვირი, რადგან მათ შორის ათწლეულებში მისი ყურადღება მიპყრობილი იყო პრობლემებზე, რომლებიც მათ ჰყოფს. მაგრამ როდესაც გამოკვლევების დაწერის პერიოდიდან წინ მივიწევთ, შეგვიძლია დავინახოთ, რომ ტრაქტატთან მსგავსება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც არამსგავსება." [138]

---

[137] Kenny, *Wittgenstein*, 179.

[138] Ibid. 179.

ტრაქტატის სტანდარტული გაგებით, ის ემსახურება ისეთი ტიპის თეორიის მოცემას, რომელიც შეძლებს ენის და გონების ლოგიკის მეშვეობით მოვიცვათ სამყარო:

„ტრაქტატი, ჩვეულებრივ, იკითხება, როგორც მეტაფიზიკური თეორია ცნობიერების ბუნების, სამყაროსა და ენის შესახებ, რომლითაც ენა და ცნობიერება არეკლავს სამყაროს.“ [139]

ზოგიერთი მოაზროვნე ამტკიცებს, რომ ვიტგენშტაინს არ უგულვებელყოფია ტრაქტატისეული თვალსაზრისი, და ვრცელდება გამოკვლევების და ტრაქტატის ერთმანეთთან კავშირში წაკითხვის პრინციპი:

„ფეიერაბენდი და კენნი ამტკიცებენ, რომ ვიტგენშტაინს არასდროს მიუტოვებია ტრაქტატის მეტაფიზიკური დოქტრინების უმეტესი ნაწილი. ახლახანს კი კორა დაიმონდი მხარს უჭერდა ტრაქტატისა და გამოკვლევების ორივეს წაკითხვას.“ [140]

ტრაქტატი ამ აზრით არის ფილოსოფიური ხედვა, რომელიც სამყაროს ლოგიკას ხედავს ენაში, ცდილობს აქ გამოხატული, მოცემული სამყაროს აღქმას წინადადებების საზრისის გააზრებით:

„ტრაქტატი წარმოგვიდგენს სამყაროს, რომელიც შედგება ფაქტებისაგან, რომელთაგან თითოეული შედგება ობიექტებისაგან, ლოგიკურად აგებული სამყარო, რომელიც არეკლილია ენაში, რომელიც შედგება წინადადებებისაგან, რომელთაგან თითოეული შედგენილია სახელებისაგან.“ [141]

---

[139] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 31.

[140] Ibid. 31.

[141] Ibid. 33.

ვიტგენშტაინის ფილოსოფიის გააზრება, როგორც უკვე აღინიშნა, ბევრ სირთულეს მოიცავს და ამდენად, საჭიროა თვალსაზრისების შეჯერება, შეფასება, ანალიზი, რომ სწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა იქნეს მიღწეული.

თავდაპირველად ტრაქტატი გაგებული იყო პოზიტივისტური მიდგომით, ვერიფიკაციონიზმის გამოხატულებად, ანტიმეტაფიზიკურ პროექტად:

„1930-იანებიდან 1950-იანებამდე ტრაქტატი გაგებული იყო, როგორც ვენის წრის ვერიფიკაციონიზმისა და ანტიმეტაფიზიკური პროგრამის მხარდაჭერა (contribution).“ [142]

ცოტა მოგვიანებით, ტრაქტატის გააზრება მოხდა იმ მომენტის მხრივ, როდესაც ვიტგენშტაინი აცხადებს, რომ დუმილით უნდა შევხვდეთ, ეს აქცენტი გააზრებული იქნა სულ სხვა ჭრილში და ხაზგასმულ იქნა ამ თვალსაზრისის მნიშვნელობა:

„1950-იანებში ინტერპრეტატორებმა ხელახლა აღმოაჩინეს ტრაქტატის ლოგიკურ-მეტაფიზიკური ასპექტები. მათ გააკრიტიკეს პოზიტივისტები, რომ მათ სათანადო ყურადღება არ დაუთმეს განსხვავებას იმას შორის, თუ რისი თქმა შეგვიძლია და იმას შორის, რაც შეიძლება მხოლოდ ვაჩვენოთ.“ [143]

ვიტგენშტაინის აზრით, ეს მომენტი მეტაფიზიკას კი არ უგულვებელყოფს, არამედ, ხაზს უსვამს, რისი ლოგიკურად აღწერა შეგვიძლია და რა გვრჩება მიღმა:

„მეტაფიზიკური გაგებით, ეს განსხვავება ტარდება იმისათვის, რომ ნაჩვენები იქნეს ის, რაც არ შეიძლება გამოითქვას.

---

[142] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 40.

[143] Ibid. 40.

ვიტგენშტაინი 1919 წელს რასელისადმი მიწერილ წერილში წერს სწორედ ამის შესახებ: ფილოსოფიის კარდინალური პრობლემაა ამ განსხვავების გატარება.“ [144]

ტრაქტატის წერის მშრალი და თავისებური ფორმა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ რთული აღმოჩნდა იქ მოცემული ონტოლოგიის აღქმა:

„რამდენადაც ტრაქტატი ძალიან ცოტას ამბობს, მაგალითად, ფაქტებისა და ობიექტების ბუნების შესახებ, და ვიტგენშტაინი თავად სხვადასხვა აზრს ავითარებდა, ცხადია, საოცარი იქნებოდა კარგ ინტერპრეტატორებს ეპოვათ იქ რაიმე ონტოლოგიისათვის არგუმენტები.“ [145]

საკმაოდ გავრცელებული თვალსაზრისი იყო, რომ ტრაქტატს იგებდნენ, როგორც ეთიკურ ნაშრომს, თავად ვიტგენშტაინის წერილებს ეყრდნობოდნენ ამასთან დაკავშირებით:

„პოლ ენგელმანი, ვიტგენშტაინის ძველი მეგობარი ამტკიცებდა, რომ წიგნის მიზანი არის ეთიკური. ვიტგენშტაინსაც აქვს მიწერილი წერილი რედაქტორისადმი, რომელსაც ტრაქტატის გამოცემა სურდა, სადაც წერს სწორედ ამის შესახებ: „წიგნის მიზანი ეთიკურია. ჩემი ნაშრომი ორი ნაწილისგან შედგება: ერთი, რომელიც აქ არის მოცემული და ყველა დანარჩენი, რაც არ დამიწერია. და სწორედ მეორე ნაწილი არის მნიშვნელოვანი.“ [146]

გარკვეული მკვლევარები ტრაქტატს იგებდნენ, როგორც თერაპიული მიზნის მქონე ნაშრომს, რომელიც ფილოსოფიას, მეტაფიზიკას უსაზრისოდ აცხადებს, რომ ფილოსოფიას არ შეუძლია პოზიტიური თვალსაზრისის განვითარება:

---

[144] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 41.

[145] Ibid. 41.

[146] Ibid. 42.

„კორა დაიმონი, პიტერ ვინჩი, ჯეიმზ კონანი და სხვ. - ტრაქტატს იგებდნენ, როგორც ფილოსოფიის უსაზრისოდ გამოცხადებას.

ამ "თერაპიული" წაკითხვით, ვიტგენშტაინს არასდროს სწამდა, რომ ფილოსოფიას შეუძლია რაიმე პოზიტიური დოქტრინის მოცემა." [147]

როგორც ვიტგენშტაინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მკვლევარი კორა დაიმონი აღნიშნავს, კიბის გადაგდების შემდეგ რა გვრჩება, ამის მოხაზვა გვაძლევს სწორედ იმ სფეროს, სადაც ფილოსოფია უსაზრისოდ ცხადდება, მთავარი ფილოსოფიური კითხვები ლოგიკის მიღმა რჩება:

„კორა დაიმონი - რა რჩება მას შემდეგ, რაც ჩვენ გადავაგდებთ კიბეს? კიბის გადაგდება სხვა რამეებთან ერთად სხვა დანარჩენთან ერთად ბოლოს ყოველგვარი მცდელობის აცილებას წარმოადგენს, რომ სერიოზულად მივიღოთ "რეალობის თვისებების" ენა.

ტრაქტატის სტანდარტული კითხვა მოიცავს სისუსტეს - ვიტგენშტაინის მტკიცება, რომ ფილოსოფია უსაზრისოა, გვსურს, გავამართლოთ, მაგრამ ამავე დროს, გვსურს, ტრაქტატის შინარსის საზრისიანად გაგებაც." [148]

დევიდ სტერნის მიხედვით, ტრაქტატის თეორიაში კიბის გადაგდება არ ნიშნავს ფილოსოფიის უგულვებელყოფას, ამის გააზრება სხვა მხრივ დაგვანახებს პრობლემას:

„თუ დაიმონი თანმიმდევრული იქნება, მაშინ მან ტრაქტატის თეორია უსაზრისოს შესახებ კიბის ერთ საფეხურად უნდა გაიგოს, რაც ჩვენი აზრით უნდა უგულვებელყოთ." [149]

---

[147] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 43.

[148] Ibid. 45.

[149] Ibid. 45.

როგორც ვიტგენშტაინი აღნიშნავს, ვინც შეძლებს მას გაუგოს, ის მიიღებს ამგვარი ტიპის ცოდნას, რომ მოცემული წინადადებები უსაზრისოა:

„ვიტგენშტაინი ამბობს, რომ უნდა გავიგოთ არა ტრაქტატის წინადადებები, არამედ, "თავად" (ვიტგენშტაინი). "ის, ვინც მე გამიგებს, საბოლოოდ გაიგებს, რომ ჩემი წინადადებები უსაზრისოა". [150]

როგორც ვიტგენშტაინი აღნიშნავს, სამყარო, რომელსაც მხოლოდ კიბით ვწვდებით, არ გვაძლევს რეალურ სამყაროს, ამდენად, პრობლემა დგას არა კიბის არსებობაში, არამედ, ამ შეხედულების გააზრებაში:

„ვიტგენშტაინი - „მე შეიძლება ვთქვა: თუ იმ ადგილს, რომლის მიღწევაც მე მსურს, მხოლოდ კიბის მეშვეობით ვწვდები, მე მცდელობას მივატოვებ. რადგანაც ადგილი, რომლისკენაც მე უნდა წავიდე არის ის, სადაც მე რეალურად ვიმყოფები.

ნებისმიერი რამ, რისი წვდომაც მხოლოდ კიბით არის შესაძლებელი, მე არ მაინტერესებს" [ვიტგენშტაინი, კულტურა და ღირებულება, 1980a, 7. 1998, 10]." [151]

რაც შეეხება ფილოსოფიურ გამოკვლევებს, აქ კიბის თვალსაზრისი მას თავის პირველ ფილოსოფიაზე აქვს გავრცელებული და ვიტგენშტაინს ეს მომენტი უკვე ნაკლებად აინტერესებს, წინა პლანზე მოდის სხვა ტიპის ინტერესი და კვლევის საკითხები, სამყაროს ხედვის ახალი გზა:

„თუ ტრაქტატის ავტორი ფიქრობდა ენა–კიბეზე, რაც მასზე ასვლის სურვილს დაუკარგავდა მკითხველს, გვიანდელ ვიტგენშტაინთან ამაზე მითითებაც კი აღარ არის. მეტიც, ის კიბეს მიაწერდა საკუთარ ძველ თვალსაზრისს, რომელსაც უარყოფდა." [152]

---

[150] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 47.

[151] Ibid. 47.

[152] Ibid. 48.

თავის მეორე ფილოსოფიაში ვიტგენშტაინი ცდილობს ხაზი გაუსვას, რომ არ უნდა ვეძებოთ ერთი საყრდენი, რომლითაც ვეცდებით ყველა დანარჩენის ახსნას, სამყარო არ არის ერთ ობიექტურ მომენტზე მორგებული, არ არსებობს ცალსახა უტყუარი პერსპექტივა, უნდა ვეცადოთ ამ ტიპის ხედვებისგან გავთავისუფლდეთ, რომ სამყაროს მრავალფეროვნების ახსნა შევძლოთ:

„ფილოსოფიის ამოცანაა აღწეროს, სად ვართ ჩვენ. გვიანი ვიტგენშტაინის ნაშრომები აკრიტიკებს იდეას, რომ ფილოსოფიას შეუძლია მოგვცეს ობიექტური წერტილი, ხედვა არსაიდან, პრივილეგირებული პერსპექტივა, რომელიც გვიჩვენებს სამყაროს ისეთს, როგორიც ის სინამდვილეშია. ის ცდილობს აჩვენოს იმ თვალსაზრისის არათანადობა, რომ ფილოსოფიას შეუძლია ყოველდღიურ ცხოვრებაზე ამაღლება ობიექტური შეფასებისათვის.“ [153]

აღსანიშნავია ვიტგენშტაინის წერის სტილთან დაკავშირებული თვალსაზრისების ხაზგასმა, რომლებიც ვიტგენშტაინის მეტაფორულ, სატირულ სტილს ახასიათებდნენ:

„რორტი - ვიტგენშტაინი იყო სატირული თერაპევტი, რომელიც სრულებითაც არ აკეთებდა ფილოსოფიას. [რორტი, 1982, 22].

ვიტგენშტაინთან ვხვდებით სხვადასხვა ხმის კამათს - სისტემატურსა და სატირულს. და მკითხველი ხშირად ორივეს ავტორს მიაწერს.“ [154]

გამოკვლევებში ფილოსოფიური პრობლემების ანალიზი მოცემულია პასაჟში 133, სადაც ვიტგენშტაინი ხაზს უსვამს, რომ მისი მიზანია არა ფილოსოფიური პრობლემების გაქრობა, არამედ, ფილოსოფიური კვლევის მართვის შესაძლებლობა, პრობლემების განსაზღვრა და ანალიზი:

---

[153] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 48.

[154] Ibid. 49, 50.

„ჩვენ არ გვსურს ჩვენი სიტყვების გამოყენების წესების სისტემა გაუგონრად დავხვეწოთ ან სრულვყოთ.

ვინაიდან სიცხადე, რომელსაც ვესწრაფვით, ცხადია, სრულია. მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ფილოსოფიური პრობლემები სრულიად უნდა გაქრნენ.

ნამდვილი აღმოჩენა ისაა, რომელიც შესაძლებლობას მაძლევს, ფილოსოფოსობა შევწყვიტო, როცა მსურს. - ის, რომელიც ფილოსოფიას სიმშვიდეს ჰგვრის, ის, რომ ის აღარ იტანჯება იმ კითხვებით, რომლებიც თავად მას აყენებენ კითხვის ქვეშ.- არამედ, მაგალითებით ხდება მეთოდის ჩვენება, და ამ მაგალითების რიგი შეგვიძლია შევწყვიტოთ. - ხდება პრობლემების გადაჭრა (სიძნელეების დაძლევა), და არა - ერთი პრობლემის.

არსებობს ფილოსოფიის არა ერთი მეთოდი, არამედ, მეთოდები, სხვადასხვა თერაპიების მსგავსად.“ [155]

ამდენად, ვიტგენშტაინი თავად უსვამს ხაზს მის მეორე ფილოსოფიაში, რომ ფილოსოფია არ არის ერთი საკითხი, ერთი პრობლემა, რომელსაც გადაჭრის ერთ გზას მოუძებნი და პასუხს გაცემ შეკითხვას, მასთან მიდგომისთვის აუცილებელია სისტემურები ვიყოთ, უნდა ვეცადოთ გავიაზროთ სხვა მიმართულებები. და ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ფილოსოფიურ პრობლემებზე და თავად ფილოსოფიაზე უნდა ვთქვათ უარი. ამ ტიპის ხედვა პარალელს ავლებს ტრაქტატის მსგავსი სახით შეფასებასთან და გვაძლევს ვიტგენშტაინის ფილოსოფიის კიდევ უფრო ფართო ანალიზის საშუალებას.

აღსანიშნავია, რომ მოცემული პასაჟის წაკითხვას ახლავს საფრთხეები და ეს გააზრებული უნდა გვქონდეს, როდესაც მის შეფასებას ვცდილობთ:

---

[155] ვიტგენშტაინი, *ფილოსოფიური გამოკვლევები*, 133.

„გამოკვლევებში ფილოსოფიის ბუნების შესახებ კითხვები წიგნის მთავარი საკითხია.

გამოკვლევები, 133 - ამ პასაჟის წაკითხვა შეიძლება პირონული და არაპირონული მეთოდით. თუმცა სინამდვილეში ეს არის ილუზია და ვიტგენშტაინი გვაფრთხილებს ამ საფრთხის შესახებ.“ [156]

თუმცა ვიტგენშტაინი აღნიშნავდა, რომ თავადაც ამ ტიპის აზროვნების გავლენის ქვეშ ექცევა და ვერ ძლევს ცდუნებას, მსგავსი პოზიციიდან ეცადოს პრობლემების გააზრებას:

„რუშ რისი იხსენებს ვიტგენშტაინთან საუბარს: წასვლის წინ მითხრა: ჩემს წიგნში ვამბობ, რომ მე შემიძლია შევეშვა პრობლემას ფილოსოფიაში, როდესაც მსურს. მაგრამ ეს სიცრუეა, მე არ შემიძლია. [ჰალეტი, 1977, 230; რისი, 1984, 219.ნ.7].“ [157]

აღსანიშნავია მომენტი, სადაც ერთმანეთს ხვდება ფილოსოფიური პრობლემების დასრულება და ფილოსოფიის კეთება, რისი ანალიზიც გზას გვიხნის ახალი ტიპის ფილოსოფიისკენ:

„როგორ არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული “ფილოსოფიის დასრულება” და “ფილოსოფიის კეთება”.“ [158]

ვიტგენშტაინი თავის მეორე ფილოსოფიაში ავითარებს თეორიას ენობრივი თამაშების შესახებ, თუმცა არ აქვს მოცემული ჩარჩო, რაც ამ ცალკეულ თამაშებს ფილოსოფიად აქცევს:

„ვიტგენშტაინი თავად ამბობს, ვინმე შეიძლება შემედაოს, რომ მარტივ გზას ვირჩევ, ვსაუბრობ უამრავ ენობრივ თამაშზე და არსად ვამბობ, რა აქცევს მათ

---

[156] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 51, 52.

[157] Ibid. 53.

[158] Ibid. 54.

ვიტგენშტაინის ფილოსოფიად. ვიტგენშტაინის პასუხი კი ეს არის (გამოკვლევები, 66) არ თქვათ: "იქ უნდა იყოს რაღაც საერთო", არამედ, შეხედეთ და დაინახეთ, არის თუ არა რაიმე საერთო." [159]

მარკ ადისიც ხაზს უსვამს, რომ მიუხედავად გარკვეული საერთო ხაზებისა, წინააღმდეგობაცაა ვიტგენშტაინის პირველ და მეორე ფილოსოფიას შორის:

„ცხადია, მრავალი გაგრძელებაც და წინააღმდეგობაცაა ადრეულ და გვიანდელ შრომებს შორის." [160]

სხვადასხვა ტიპის ინტერპრეტატორები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ ვიტგენშტაინის ამ ორი ტიპის ფილოსოფიას შორის მიმართებას. ორთოდოქსი, სტანდარტული ხასიათის მქონე ინტერპრეტაციის მიხედვით, მეორე ფილოსოფია პირველის სრული უკუგდება და უარყოფაა, მეტიც, სწორედ პირველის უარსაყოფადაა შექმნილი, ხოლო ე.წ. „ახალი" ტიპის ინტერპრეტატორები ხაზს უსვამენ, რომ ბევრი საკითხი გრძელდება მეორე ფილოსოფიაში და გარკვეული მსგავსი ხედვები არსებობს, უფრო მეტიც, ტრაქტატის წინააღმდეგობრივი ბუნება თავად მიუთითებს ამ ტიპის ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას მეორე ფილოსოფიად:

„ორთოდოქსი ინტერპრეტატორების მიხედვით ადრეულ და გვიანდელ შრომებს შორის ცალსახად არსებობს წყვეტა.

ვიტგენშტაინის ახალი ინტერპრეტატორების მიხედვით - ფუნდამენტური თერაპიული მოტივი, რომელიც ვიტგენშტაინის გვიანდელ შრომაშია, ადრეულსაც უნდა მიეწეროს. მათი აზრით, ტრაქტატი თავის თავს უარყოფს, აცხადებს რა მის

[159] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 54.

[160] Addis, *Wittgenstein*, 51.

დებულებებს უსაზრისოდ და ამდენად, გვიან შრომებში ამ წიგნის კრიტიკა არ ამტკიცებს ვიტგენშტაინის აზროვნების წყვეტას.“ [161]

ტრაქტატიდან გამოკვლევებამდე ენის მეშვეობით სამყაროს აღწერის პროექტზე ვიტგენშტაინის თვალსაზრისის ცვლილება მოხდა, როგორც მარკ ადისი აღნიშნავს, სიტყვის მნიშვნელობის გამოყენებით განსაზღვრება უკვე ზოგადი თეორიის სახით კი არ არის მოცემული, არამედ, ლინგვისტურ აქტივობებთან ხდება დაკავშირებული:

„ენის ფუნქციონირების შესახებ ვიტგენშტაინის თვალსაზრისი დრამატულად შეიცვალა ტრაქტატიდან გამოკვლევებამდე. მან უარყო, რომ არსებობს ენასთან დაკავშირებით რაიმე აპრიორი გზა.

ვიტგენშტაინს ზოგადი თეორია კი არ შემოაქვს, რომ მნიშვნელობა არის სიტყვის გამოყენება, არამედ, ყურადღებას უფრო აპყრობს ჩვენი ლინგვისტური პრაქტიკის მნიშვნელოვან თვისებას.“ [162]

აქვე აღსანიშნავია „ფილოსოფიური გამოკვლევების“ ეპიგრაფის შესახებ მცირე მიმოხილვა და ვიტგენშტაინის ფილოსოფიური პროექტის თუ ხედვის მასთან შეპირისპირება, რაც გარკვეულწილად ვიტგენშტაინის ჩანაფიქრის გაგებაში გვეხმარება და მისი ფილოსოფიური პროექტის ანალიზის საშუალებას გვაძლევს; გამოკვლევებს წამძღვარებული აქვს ეპიგრაფის სახით ნესტროის სიტყვები:

„საზოგადოდ, პროგრესის დამახასიათებელია, რომ ის ბევრად უფრო დიდი ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია.“ [163]

---

[161] Addis, *Wittgenstein*, 51.

[162] Ibid. 53.

[163] ვიტგენშტაინი, *ფილოსოფიური გამოკვლევები*, 30.

ამ ფრაზის შეფასება იძლევა საშუალებას ჩავწვდეთ მოცემული ნაშრომის არსს, რისთვის გვამზადებს ის, რა გველოდება წინ, რას უნდა ვუფრთხოდეთ და ვერიდებოდეთ, როგორ უნდა ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ შეცდომები ჩვენს ხედვებში, თვალსაზრისში:

„ვფიქრობ, ეპიგრაფი გვამზადებს იმისათვის, რაც შემდეგ მოდის, გვაიძულებს შეგვანელოს, დაგვაფიქროს, რას უნდა ნიშნავდეს ეს წინადადება და დაგვანახოს, რომ ის შეიძლება მოხვდეს სხვადასხვა კონტექსტში, ჰქონდეს უამრავი სხვადასხვა მნიშვნელობა.

ერთ კონტექსტში ეპიგრაფი გამოხატავს პესიმიზმს, მეცნიერული პროგრესი გააუმჯობესებს თუ არა ჩვენს ცხოვრებას; სხვა კონტექსტში ის გამოხატავს ავტორის ეჭვებს თავისი ნაშრომისადმი.“ [164]

ეპიგრაფი ზოგადად მოხაზავს იმ პრობლემას, რაც ვიტგენშტაინის წინაშე იდგა, ფილოსოფიის მიერ სამყაროს მოცემას, ცოდნის მიღების გზების ძიებას. ეპიგრაფი გვაფრთხილებს, რომ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, როგორ შეიძლება გააზვიადოს ჩვენმა გონებამ გარკვეული თვალსაზრისი და ვერ შეძლოს სინამდვილის სწორი აღქმა:

„ვიტგენშტაინის აზრით, ფილოსოფია არასწორად მიდის, როდესაც ის ცდილობს კონტექსტისგან აბსტრაგირებას.

ეპიგრაფი გვაფრთხილებს არ მივიღოთ არაფერი პირდაპირ, რაც პროგრესად გვეჩვენება - თუნდაც ეს ავგუსტინეს პროგრესი იყოს ენის სწავლებაში, თუ პროგრესი, რომელიც, ვფიქრობთ, ავგუსტინეს დროიდან გვაქვს, ან პროგრესი,

[164] Addis, *Wittgenstein*, 69, 70.

რომელსაც ვიტგენშტაინი ავგუსტინეს პასუხად ახორციელებს - ის შეიძლება არ იყოს ისეთი დიდი, როგორიც ჩანს.“ [165]

იმისათვის, რომ გამოკვლევების წაკითხვის დროს თავიდან ავიცილოთ არასწორი შემეცნების საფრთხე, უნდა გავითვალისწინოთ ინტერპრეტაციათა სიმრავლე და შეხედულებათა მრავალფეროვნება:

„ვინაიდან ვიტგენშტაინის გამოკვლევების წაკითხვა პრობლემურია, არსებობს მრავალი ინტერპრეტაცია. ამდენად, უმჯობესია მეორადი ლიტერატურის გაცნობა, რათა მკითხველმა შეძლოს წიგნის მთავარი მომენტების გაგება.“ [166]

აქვე ცალკე უნდა აღვნიშნოთ, ე.წ. „ახალი ვიტგენშტაინის“ ინტერპრეტატორები, რომელთა თვალსაზრისი უფრო ახლოს დგას ჩვენს ნაშრომში განვითარებულ ხედვებთან. ამ ტიპის ინტერპრეტატორთა შეხედულებით, ტრაქტატი გვაჩვენებს რა არ შეგვიძლია, რისი შემეცნება არ შეგვიძლია:

„1980-იანებიდან დაიმონი, ჯეიმზ კონანი, “ახალი ვიტგენშტაინი”, (2000-ში გამოქვეყნდა ნაშრომი).

ისინი უარყოფენ ტრაქტატის გამოუთქმელ დებულებებად გაგებას. მათი აზრით, ტრაქტატის მიზანია მკითხველს დაანახოს, რაც უფრო ახლოს იხილავ პრობლემას, როგორ ირღვევა დოქტრინები.

ტრაქტატის მეთოდი უფრო კირკეგორის ირონიულ სტილს ჰგავს, ვიდრე არგუმენტირებულ ფილოსოფიურ ტექსტს.

მკითხველზეა დამოკიდებული, წიგნის წაკითხვის რომელ გზას აირჩევს.“ [167]

---

[165] Addis, *Wittgenstein*, 70.

[166] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 186.

[167] Kahane, Edward Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 7.

ამ ტიპის ინტერპრეტატორები ხაზს უსვამენ სწორედ იმ მომენტს, რასაც ჩვენც მხარს ვუჭერთ (ეპისტემოლოგიური თემების მოცემით განმტკიცებულს) მოცემულ ნაშრომში, რომ მრავალი საერთო თემა არსებობს ტრაქტატსა და გამოკვლევებს შორის და ორთოდოქსულად გაგებული მეორე ფილოსოფიის მიერ პირველის უარყოფა არ არის მისაღები თვალსაზრისი:

"ახალი ვიტგენშტაინის" ინტერპრეტაციის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ვიტგენშტაინის ადრეულ და გვიანდელ ფილოსოფიას შორის გაცილებით მეტი საერთოა." [168]

ვიტგენშტაინის მეორე ფილოსოფია ცდილობს მოხსნას მცდელობა, რომ ლოგიკის მოშველიებით ვეცადოთ ფილოსოფიური შეხედულებების მტკიცებას, ამ ტიპის ფილოსოფიის მიზანია გაგვათავისუფლოს წინა პერიოდის ფილოსოფიური ტენდენციური ხედვებისგან:

„ვიტგენშტაინის გვიანი ფილოსოფია არ წარმოადგენს მცდელობას, არგუმენტებით და ფაქტებით მოხდეს ფილოსოფიის მოპასუხის დარწმუნება.

ვიტგენშტაინის მიზანია გაგვათავისუფლოს ამ გამოცანებისგან.

მეტი ყურადღება დაეთმო ვიტგენშტაინის სტილის დეტალებს." [169]

აქვე გაჩნდა გარდამავალი პერიოდის და მესამე ვიტგენშტაინის იდეაც, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას და შეფასებას საჭიროებს:

„ფანი და კენნი მიუთითებენ ვიტგენშტინის მთელ შრომებში იდეების ერთიანობაზე.

იდეა - გარდამავალ პერიოდზე.

---

[168] Kahane, Edward Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 8.

[169] Ibid. 8.

გაჩნდა “მესამე” ვიტგენშტაინის იდეაც - მოიალ-შეროკი, 2004.

შულცე 1993 - ვიტგენშტაინმა დაიწყო ფიქრი ენაზე და რეალობასთან მის კავშირზე პრობლემებზე.“ [170]

ამ ახალი ტიპის ინტერპრეტაციის განვითარებამ შექმნა ვიტგენშტაინის ოთხი ტიპის პერიოდის შესახებ წარმოდგენა:

„კიდევ ერთი მიზეზი - უეჭველობის შესახებ - მესამე პერიოდი, რომელშიც განსხვავებული ხედვაა. (სტროლი 1994).

გამოდის ოთხი ვიტგენშტაინი - ადრეული, შუა, გვიანი და უახლესი.“ [171]

ცალკე განხილვის საკითხია ინტერპრეტატორთა ერთობლიობა, ვინც რაციონალისტებად და ირაციონალისტებად იყოფიან, მოცემულ საკითხზეც არ არსებობს ერთგვაროვანი ხედვა:

„იყო თუ არა ვიტგენშტაინი რაციონალური არგუმენტაციის, განსჯისა და განმარტების მომხრე? თუ ის ამგვარი განმანათლებლური იდეალების მტერი იყო? ის ტრადიციული გაგებით ფილოსოფოსი იყო, თუ ბრძენი, წინასწარმეტყველი ან გურუ?

ამ კითხვებზე პასუხი იყოფა - რაციონალისტები და ირაციონალისტები.

რაციონალისტების შემთხვევაში ვგულისხმობ ნებისმიერ პოზიციას, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ჩვენი რწმენები კრიტიკის სუბიექტი და არგუმენტირებული უნდა იყოს;

ირაციონალისტები - მაგ. ლიოტარი.

რაციონალისტები - აპელი, ჰაბერმასი.

---

[170] Kahane, Edward Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 44, 45.

[171] Kahane, Edward Kanterian, Kuusela, 2007, 45.

არსებობს კავშირი რაციონალისტურ ინტერპრეტაციასა და ანალიზურ ფილოსოფიას შორის.“ [172]

ირაციონალისტური ინტერპრეტაციის მომხრენი ვიტგენშტაინის ფილოსოფიას იხილავენ ეგზისტენციალური, თერაპიული და სხვა თანამედროვე ხედვებიდან გამომდინარე:

„ირაციონალისტურ ინტერპრეტაციაში: 1. ეგზისტენციალური - ენგელმანი, დრური (ვიტგენშტაინის შრომების კავშირი კირკეგორთან, ტოლსტოისთან, ნიცშესთან - იანიკი/ტულმინი); 2. თერაპიული - უისდომი, ბოუსმა, 3. ასპექტური - ბეიკერი 1990-დან, 4. ნონსენსი - “ახალი ვიტგენშტაინი” - კრარი, რიდი, კეველი, დრებენი, დაიმონი, კონანტი., 5. პირონისტული - ფილოსოფიის დასრულება სურს - ფოგელინი, სტერნი, 6. ჟანრული - გამოკვლევები არ წარმოადგენს აკადემიურ ტრაქტატს, ის “ჰიპერტექსტია” - სტერნი, პიხლერი, 7. პოსტმოდერნული - რორტი.

“ახალი ვიტგენშტაინი” - ნონსენსი - “უბრალო ნონსენსის” არგუმენტი; ტრაქტატთან დაკავშირებით.

ირაციონალისტებისათვის ვიტგენშტაინის პროექტი მთლიანად თერაპიულია.“ [173]

კიდევ ერთხელ მოვიშველიებთ მკვლევართა მიერ სხვადასხვა კონტექსტში განვითარებულ თვალსაზრისს, რომ ვიტგენშტაინის პირველ და მეორე ფილოსოფიას შორის არსებობს გაგრძელება, მრავალი საერთო თემით:

„ცხადია, გამოკვლევებში გვიანდელი ვიტგენშტაინი უარყოფს და რადიკალურად გადაიაზრებს ლოგიკური ანალიზის მის ტრაქტატისეულ თეორიას.

თუმცა შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ არ არსებობს გაგრძელება ტრაქტატსა და გამოკვლევებს შორის. პირიქით, ორივე წიგნის ცენტრალური თემები ზუსტად

---

[172] Kahane, Edward Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 52, 53.

[173] Ibid. 54, 55, 58.

იგივეა: ლოგიკა, ენა, მნიშვნელობა და გონება. და ორივე წიგნი თვლის ფილოსოფიას "კრიტიკად" კანტიანური აზრით." [174]

არიფ აჰმედის მიერ განვითარებული თვალსაზრისი ძალიან საინტერესოა, ის ვიტგენშტაინის ფილოსოფიის სულ სხვა ჭრილში დანახვის საშუალებას იძლევა. მის მიხედვით, ენობრივ თამაშში სიტყვის მნიშვნელობის სფერო გაფართოვებულია, ის მოიცავს აქტივობებს, რაც აქამდე საზრისთან არასდროს ყოფილა დაკავშირებული:

„ენობრივ თამაშში (გამოკვლევები 23) მნიშვნელობის სივრცე რადიკალურად გაფართოვებულია, მოიცავს პირდაპირ და ირიბ სამეტყველო აქტებს, ინდექსიკალურობას, კონტექტსზე დამოკიდებულებას, ემოციურ გამოხატვას, მეტაფორასა და სხვ.

შემობრუნებას წარმოადგენს ისიც, რომ ტრაქტატში ფილოსოფია არის ლოგიკური ანალიზი, გამოკვლევებში კი - ლოგიკა არის გრამატიკა (გამოკვლევები 90)." [175]

ტრაქტატში მნიშვნელობა კავშირშია წინადადებებთან, ლოგიკასთან, გამოკვლევებში კი აქტივობასთან, დამოკიდებულია ენობრივ თამაშზე:

„ტრაქტატში მნიშვნელობის ერთადერთი მისაღები სახე არის (ატომური) წინადადებების მნიშვნელობა.

გამოკვლევებში კი ვიტგენშტაინი იცავს აზრს, რომ უმეტესობა, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში მნიშვნელობა (სიტყვის) არის მისი გამოყენება ენაში. და სახელის მნიშვნელობა ზოგჯერ აიხსნება მისი მტარებლისადმი მითითებით." [176]

---

[174] Ahmed, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 12.

[175] Ibid. 12.

[176] Ibid. 12.

ძალიან საინტერესოა განსაზღვრება, რომ მნიშვნელობა არის გამოყენება და ამავე დროს საინტერესოა, რას წარმოადგენს ეს, რას შემოსაზღვრავს ამ ტიპის განმარტება:

„მნიშვნელობა არის გამოყენება და მნიშვნელობა, როგორც გამოყენება.

აუცილებელია ყველა ფაქტორის გათვალისწინება და არა მხოლოდ მიყენების ფაქტორის მნიშვნელობა არის გამოყენების თეზისში, რადგან მიყენების ფაქტორი მხოლოდ მცდარ შთაბეჭდილებას იძლევა მნიშვნელობის შესახებ ემპირიზმისა და რელატივიზმის შესახებ.“ [177]

ასევე აღსანიშნავია ვიტგენშტაინის წაკითხვის ზომიერი და ნაკლებ ზომიერი მეთოდებიც, რომლებიც ასევე უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, თუ გვსურს მისი ფილოსოფიის სრულფასოვანი შეფასების მცდელობის განხორციელება:

„ბეიკერის და ჰაკერის მიერ წაკითხვა ზომიერია. ისინი ამტკიცებენ “არ არსებობს ენის გარეთ არსებული არქიმედეს წერტილი, რომლიდანაც შეიძლება სიტყვების ან ენის ახსნა.”

პირსის წაკითხვა ნაკლებ ზომიერია. პირსისთვის ადრეულიდან გვიანდელ ნაწერებამდე გადასვლა ხასიათდება ჩვენებიდან კეთებამდე გადასვლით.“ [178]

ამდენად, შეჯამების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიის თანამედროვე ინტერპრეტატორები უკვე აღნიშნავენ მის თვალსაზრისებს შორის დამაკავშირებელი ხაზების არსებობის შესახებ, რასაც ჩვენი მხრივ სრულად ვუჭერთ მხარს, უფრო მეტიც, ჩვენი ნაშრომის შემდგომ თავებში გაგრძელებული კვლევების საფუძველზე ვამტკიცებთ, რომ მთავარი

---

[177] Ahmed, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 17, 18.

[178] Ibid. 33.

დამაკავშირებელი მომენტი, რაც ვიტგენშტაინის მთელ ფილოსოფიას გამსჭვალავს, არის ეპისტემოლოგიური მიდგომები, ცოდნის მიღების გზების ძიება, დახვეწა, გავრცელება, მისი, როგორც ფილოსოფოსის, განვითარების სხვადასხვა პერიოდში. საინტერესოა ამ თვალსაზრისის უფრო სიღრმისეული ანალიზი ვიტგენშტაინის ე.წ. „მესამე“ ფილოსოფიის განხილვით თუ შეპირისპირებით და ძირითადი თემების თუ საკვანძო საკითხების განვრცობის თვალსაზრისით.

თავი 3

სიტყვის მნიშვნელობა, ენობრივი თამაში, ცოდნა

3.1. ლუდვიგ ვიტგენშტაინის მესამე ფილოსოფიის მნიშვნელობა

ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიის განხილვის ტრადიციული მიდგომა, ძირითადად, მისი “ტრაქტატისა” და “ფილოსოფიური გამოკვლევების” ურთიერთმიმართების პრობლემით შემოიფარგლება, კერძოდ იმ საკითხით, არის თუ არა ეს ვიტგენშტაინის ორი განსხვავებული ფილოსოფია და ერთმანეთთან დაპირისპირებული თეორია და არსებობს თუ არა მათ შორის რაიმე საერთო, დამაკავშირებელი მომენტები. რატომღაც, ნაკლები ყურადღება ეთმობა ლუდვიგ ვიტგენშტაინის ე.წ. მეორე და მესამე ფილოსოფიებს შორის არსებულ მიმართებას და იმის გარკვევას, არის თუ არა ეს ორი სხვადასხვა ტიპის ფილოსოფია და არსებობს თუ არა მათ შორის საერთო ელემენტები. ლუდვიგ ვიტგენშტაინის მესამე ფილოსოფიის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ითვლებოდა, რომ ვიტგენშტაინის ფილოსოფიური ევოლუცია ორ - “ტრაქტატისა” და “ფილოსოფიური გამოკვლევების”, პერიოდებს მოიცავდა. ბოლო წლებში კი გამოითქვა თვალსაზრისი, რომ ვიტგენშტაინის ნააზრევი „ფილოსოფიური

გამოკვლევების“ შემდეგ მის „მესამე“ ფილოსოფიად უნდა ჩაითვალოს, ამით ხაზი გაესვა მისი „უეჭველობის შესახებ“ ნაშრომის მნიშვნელობას:

„ფანი და კენნი მიუთითებენ ვიტგენშტაინის მთელ შრომებში იდეების ერთიანობაზე.

იდეა - გარდამავალ პერიოდზე.

ახლახანს გაჩნდა “მესამე” ვიტგენშტაინის იდეაც - მოიალ-შეროკი, 2004.

შულცე 1993 - ვიტგენშტაინმა დაიწყო ფიქრი ენაზე და რეალობასთან მისი კავშირის პრობლემებზე.

კიდევ ერთი მიზეზი - უეჭველობის შესახებ - მესამე პერიოდი, რომელშიც განსხვავებული ხედვაა მოცემული. (სტროლი 1994).” [179]

ვიტგენშტაინის მეორე და მესამე პერიოდის ფილოსოფიური აზრის განვითარების საკითხი სხვაგვარადაც შეიძლება დაისვას, მათ შორის მიმართების საკითხი შეიძლება სულ სხვა ჭრილშიც იქნეს განხილული, კერძოდ, რა კავშირი შეიძლება არსებობდეს სიტყვის მნიშვნელობასა და ცოდნას შორის, როგორ შეიძლება მნიშვნელობის თეორიიდან ეპისტემოლოგიაზე გასვლა; ვინაიდან, ლუდვიგ ვიტგენშტაინის ე.წ. მეორე ფილოსოფიის საკვანძო საკითხს წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობის გაგება ენობრივი თამაშის თეორიის მეშვეობით, ხოლო ე.წ. მესამე ფილოსოფია, ძირითადად, ეპისტემოლოგიას ეხება და შესაბამისად, აქ წინ არის წამოწეული ცოდნის საკითხი, ამდენად, კიდევ სხვაგვარადაც შეიძლება დაისვას პრობლემა, კერძოდ, რა მიმართება შეიძლება არსებობდეს ენობრივი თამაშის თეორიასა და ცოდნას შორის. ჩვენს მიზანს სწორედ ამ საკითხის განვრცობა და განხილვა წარმოადგენს, კერძოდ ის, თუ რა მიმართება არსებობს სიტყვის მნიშვნელობასა და ცოდნას შორის, როგორ ქმნის ენობრივი თამაში ცოდნის საფუძველს და თავად ენობრივი თამაში რას ეფუძნება. რა თქმა უნდა, ეს ვიტგენშტაინის ფილოსოფიაში სემანტიკასა და ეპისტემოლოგიას შორის კავშირის უფრო ფართო პრობლემის მხოლოდ ნაწილია.

---

[179] Kahane, Edward Kanterian, Kuusela, *Wittgenstein and His Interpreters*, 44-45.

ვიტგენშტაინის მესამე ფილოსოფია შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი და ჩატარებული კვლევები, ძირითადად, სკეპტიციზმის ვიტგენშტაინისეულ კრიტიკას ეხება, ხოლო საკითხი ცოდნასა და სემანტიკურ განზომილებას შორის მიმართების შესახებ, რატომღაც, ინტერპრეტატორთა ყურადღების მიღმა დარჩა. ამ პრობლემის კვლევა მნიშვნელოვანია როგორც ვიტგენშტაინის ფილოსოფიის გარკვეული ინტერპრეტაციისა და მისი სხვადასხვა პერიოდის ფილოსოფიებს შორის კავშირის დადგენის მიზნით, ასევე, ზოგადად, ენის ფილოსოფიასა და ეპისტემოლოგიას შორის მიმართების და გადაკვეთის წერტილების მოსანიშნად, რაც, ჩვენი აზრით, კვლევის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ვიტგენშტაინის მიერ განვითარებულ თვალსაზრისზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სემანტიკასა და ეპისტემოლოგიას შორის დამაკავშირებელ როლს ენობრივი თამაში ასრულებს; კერძოდ, სიტყვა მნიშვნელობას ენობრივი თამაშის მეშვეობით იძენს, ხოლო ცოდნის მიღება ენობრივი თამაშის დაუფლებით ხორციელდება, ამდენად, ენობრივი თამაში მნიშვნელობიდან ცოდნამდე მისვლის საშუალებას წარმოადგენს. გარდა ამისა, ჩვენ ვავითარებთ თვალსაზრისს, რომ სემანტიკასა და ეპისტემოლოგიას შორის ამგვარი კავშირის შესწავლისას ვლინდება ენობრივი თამაშის (და ამდენად, ცოდნის) დაფუძნების პრობლემა, რომელიც ვიტგენშტაინთან არ არის ცალსახად მოცემული და შემდგომ კვლევას საჭიროებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით ლუდვიგ ვიტგენშტაინის მიერ განვითარებულ შეხედულებებში არსებობს გარკვეული სირთულეები, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ენობრივი თამაშისა და ცოდნის საფუძვლის დადგენა და ასევე ცოდნის, ენობრივი თამაშისა და უეჭველობის მიმართების საკითხის უფრო ღრმა ანალიზი, რაც დაგვეხმარება ზემოთ აღნიშნული მიზნის მიღწევაში, რომ შევაფასებთ ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფია და ასევე გვექნება შესაძლებლობა, განვავითაროთ გარკვეული

(კერძოდ, ვიტგენშტაინისეული) თვალსაზრისი ეპისტემოლოგიასა და მნიშვნელობის თეორიებს შორის მიმართებასთან დაკავშირებით.

3.2. სიტყვის მნიშვნელობიდან ცოდნაზე გასვლა

ლუდვიგ ვიტგენშტაინის მეორე ფილოსოფიის ქვაკუთხედად ითვლება მის მიერ სიტყვის მნიშვნელობის თავისებური გაგება, კერძოდ, მნიშვნელობის განსაზღვრა იმით, თუ როგორ გამოიყენება ესა თუ ის სიტყვა. ვიტგენშტაინის მიხედვით, სიტყვის მნიშვნელობა არ წარმოადგენს რაღაც განყენებულს, თავისთავად არსებულს, რომელიც სიტყვისგან და ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს, არამედ, როგორც ვიტგენშტაინი აღნიშნავს, სიტყვის მნიშვნელობა განისაზღვრება გამოყენებით:

"სიტყვა "მნიშვნელობის" მოხმარების შემთხვევათა დიდი კლასისათვის (თუმცაღა არა მისი გამოყენების ყველა შემთხვევისათვის) ეს სიტყვა შეიძლება ასე განიმარტოს: სიტყვის მნიშვნელობა არის მისი გამოყენება ენაში." [180]

ლუდვიგ ვიტგენშტაინი სიტყვის მნიშვნელობის მისი გამოყენებით განსაზღვრას ავითარებს ავგუსტინესეული თეორიისადმი კრიტიკის საფუძველზე. კერძოდ, ის აკრიტიკებს გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ სიტყვების მნიშვნელობები არიან ის საგნები, რომელთაც სიტყვები აღნიშნავენ:

"ენის სიტყვები საგნებს ასახელებენ - წინადადებები ასეთ დასახელებათა შეკავშირებებია. - ენის ამ სურათში ვპოულობთ შემდეგი იდეის ფესვებს: ყოველ სიტყვას აქვს გარკვეული მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა სიტყვას შეესაბამება. ის არის საგანი, რომელსაც სიტყვა ენაცვლება". [181]

---

[180] ვიტგენშტაინი, *ფილოსოფიური გამოკვლევები*, 43.

[181] Ibid. 1.

ვიტგენშტაინის აზრით, ავგუსტინესეული თეორია იძლევა ენის მხოლოდ გარკვეული სახის სურათს:

“შეიძლება ითქვას, რომ ავგუსტინე კომუნიკაციის გარკვეულ სისტემას აღწერს; ოღონდ არა ყოველივე, რასაც ჩვენ ენას ვუწოდებთ, არის ეს სისტემა. და ეს ბევრ იმ შემთხვევაში უნდა ითქვას, სადაც დგება საკითხი: “არის თუ არა ეს აღწერა გამოსადეგი?” პასუხი იქნება: “დიახ, გამოსადეგია, მაგრამ მხოლოდ ამ ვიწროდ შემოსაზღვრული არისათვის და არა იმ მთელისათვის, რომლის გამოსახვაზეც შენ პრეტენზიას აცხადებდი” .” [182]

ავგუსტინესეული სურათი მხოლოდ პრიმიტიული ენის შესახებ გამოდგება:

“ენის ამგვარ პრიმიტიულ ფორმებს იყენებს ბავშვი, როცა ის ლაპარაკს სწავლობს. ენის სწავლება აქ განმარტება კი არა, წვრთნაა.” [183]

ენტონი კენნის მიხედვით, სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად არ უნდა ვეძებოთ ობიექტი, რომელსაც ის აღნიშნავს, არამედ, უნდა ვისწავლოთ მისი ფუნქციები.

“ამ პერიოდში ვიტგენშტაინი ორ ლოზუნგს იმეორებს _ 1. რომ სიტყვის მნიშვნელობა არის მისი გამოყენება ენაში (“ფილოსოფიური გრამატიკა” 60; “ფილოსოფიური გამოკვლევები”, ნაწილი 1, 43). 2. რომ სიტყვის მნიშვნელობა არის ის, რასაც მნიშვნელობის განმარტება ხსნის (“ფილოსოფიური გრამატიკა” 60; “ყავისფერი წიგნი” 1).” [184]

ინტერპრეტატორთა შორის დავა არსებობს იმის თაობაზე, თუ რატომ აირჩია ვიტგენშტაინმა ავგუსტინეს თეორია აღსარებიდან, როგორც კრიტიკის ობიექტი. ზოგიერთი მათგანის მიხედვით, ეს მოხდა ავგუსტინეს ავტორიტეტიდან გამომდინარე:

---

[182] ვიტგენშტაინი, *ფილოსოფიური გამოკვლევები*, 3.

[183] Ibid. 5.

[184] Kenny, *Wittgenstein*, 122.

“მალკოლმი – ვიტგენშტაინმა აირჩია დაეწყო ავგუსტინეთი, ვინაიდან, როგორც ვიტგენშტაინი ამბობდა, მას სურდა კონცეფცია ყოფილიყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც ასეთ ცნობილ ადამიანს ეკუთვნოდა ის.” [185]

ზოგიერთი ინტერპრეტატორი უფრო ნეგატიურად აფასებს ამ მომენტს, მათი აზრით, ვიტგენშტაინმა არასწორად შეაფასა ავგუსტინეს თეორია:

“ენტონი კენნის მიხედვით, ვიტგენშტაინის მიერ მოცემულია ავგუსტინესეული კონცეფციის არასწორი ინტერპრეტაცია (ის, მაგალითად, არაფერს ამბობს ჟესტებზე.); ეს იმის ბრალი უნდა იყოს, რომ ვიტგენშტაინი იყო არასანდო, როგორც ფილოსოფიის ისტორიკოსი.” [186]

თუმცა დევიდ სტერნის მიხედვით, ვიტგენშტაინი იმდენად ღრმად იცნობდა ავგუსტინეს თვალსაზრისს, შეუძლებელია მას ზედაპირული შეფასება გაეკეთებინა:

“სწორია, რომ ავგუსტინეს არასწორი ინტერპრეტაციაა მოცემული §16-ში, მაგრამ ნუთუ ვიტგენშტაინი ავგუსტინეს მართლა ასეთი ცუდი მკითხველი იყო? ჩვენ ვიცით, რომ ვიტგენშტაინი დიდხანს ფიქრობდა, როგორ დაეწყო წიგნი და ასევე “აღსარებანის” დასაწყისზეც. Nაცჰლასს-ში მრავალი სხვა ციტატაც არის მოცემული. ბერგენის გამოცემაში ვიტგენშტაინის ჩანაწერებში ავგუსტინეზე 105 შენიშვნაა მოცემული. იმ რამდენიმე წიგნს შორის, რომლებიც თან ჰქონდა სიკვდილის წინ ვიტგენშტაინს, იყო “აღსარებანის” გერმანული და ლათინური გამოცემები, რომელსაც ვიტგენშტაინი, ჩვეულებრივ, ლათინურად კითხულობდა.” [187]

დევიდ სტერნი თვლის, რომ ვიტგენშტაინის მიზანი ამ შემთხვევაში იმაზე ხაზგასმაა, რომ მას სურს პრობლემის დისკუსიის მარტივად დაწყება:

---

[185] Stern, *Wittgenstein’s Philosophical Investigations*, 72.

[186] Ibid. 79.

[187] Ibid. 80-81.

“ვიტგენშტაინი §16 მიიჩნევდა ხედვის გამარტივებად, და არა ავგუსტინესეულ თვალსაზრისად. თუმცა მრავალი თვლის (მაგ.: კენნი), რომ მან ავგუსტინე სწორად ვერ გაიგო.

ენსკომის მიხედვით, გამოკვლევების დასაწყისი ნეგატიურია, კერძოდ, გვარწმუნებს, რომ არ უნდა გავიგოთ სიტყვასა და მის მნიშვნელობას შორის კავშირი ოსტენსიური დეფინიციით, ასოციაციით, მენტალური სურათებით, გამოცდილებით ან რეფერენციით.

ვიტგენშტაინის მიზანია დისკუსიის მარტივი საშუალებით წამოწყება. ფოგელინი _ ნაშრომის მთავარი ნაწილი არის არა ფილოსოფოსობის შედეგების კრიტიკა, არამედ, მისი წყაროს შესახებ კითხვის დასმა.” [188]

არიფ აჰმედის მიხედვით, ვიტგენშტაინის მიერ ავგუსტინესეული თვალსაზრისის განხილვა განპირობებულია იმითაც, რომ ავგუსტინეს თვალსაზრისი ახლოსაა კარტეზიანულ ეპისტემოლოგიასა და ცნობიერების მეტაფიზიკასთან, ის სემანტიკური სოლიფსიზმის გამოხატულებაა, რასაც აკრიტიკებს ვიტგენშტაინი:

“რატომ აიღო ვიტგენშტაინმა ავგუსტინეს “აღსარებიდან” ნაწყვეტი და არა პლატონის “თეეტეტიდან” ან კეროლის “ალისას საოცრებათა ქვეყანაში”? ერთი ცხადი პასუხი იქნება, რომ წმინდა რეფერენციალისტობის გარდა, ავგუსტინეს თვალსაზრისი ახლოსაა კარტეზიანულ ეპისტემოლოგიასა და ცნობიერების მეტაფიზიკასთან, თუ არ ჩავთვლით ჰუსერლის სემანტიკურ ფენომენოლოგიას მისი “ლოგიკური გამოკვლევებიდან” I, თ. 1, ნაწილი 10, რომელსაც პროვოკაციულად ჰქვია “Expressions in Solitary Life”, და ასევე, რუდოლფ კარნაპის “მეთოდოლოგიური სოლიფსიზმის” თანაბრად პროვოკაციულ ცნებას “სამყაროს ლოგიკურ სტრუქტურაში”. მოკლედ, ავგუსტინეს “აღსარებანი” აქტიურად იცავს სემანტიკურ

[188] Stern, *Wittgenstein’s Philosophical Investigations*, 82-83.

სოლიფსიზმს. ავგუსტინე ამას აღნიშნავს კიდეც: "რადგან არავინ იცის ადამიანის ფიქრები, გარდა თვითონ კაცის სულმა, რაც მის შიგნითაა". " [189]

„ავგუსტინეს სემანტიკური სოლიფსიზმი ვიტგენშტაინის საკუთარ ტრანსცენდენტალურ სემანტიკურ სოლიფსიზმს ეხმაურება ტრაქტატიდან. ვიტგენშტაინი კარტეზიანულ და ტრანსცენდენტალურ სემანტიკურ სოლიფსიზმს მსგავსად განიხილავს." [190]

ბეკიერის და ჰაკერის მიხედვით, "ფილოსოფიური გამოკვლევების" საწყის ნაწილში გაკრიტიკებულია ენის ფილოსოფიის ავგუსტინესეული კონცეფცია:

"რასაც ვიტგენშტაინი უწოდებს "ენის პრიმიტიულ ფილოსოფიურ კონცეფციას" ან "პრიმიტიულ ენის ფილოსოფიას"." [191]

სულ ახლახანს სრულიად განსხვავებული შეხედულება განავითარა მიშელ ლანტლიმ, რომელმაც ლუდვიგ ვიტგენშტაინის "ფილოსოფიური გამოკვლევების" სრულიად ახლებური განაზრება მოახდინა. ლანტლი ავგუსტინესეული კონცეფციისადმი ვიტგენშტაინის მიმართებასთან დაკავშირებით ამტკიცებს, რომ "ფილოსოფიურ გამოკვლევებში" საერთოდაც არ არის მოცემული ავგუსტინეს თეორიის კრიტიკა:

„1. ფილოსოფიური გამოკვლევების" დასაწყისი ნაწილი არ წარმოადგენს პოზიციის კრიტიკას, როგორც ეს ენის ფილოსოფიის უმეტეს ნაწილშია მიღებული, ის აკრიტიკებს თეორიის მოცემის დროს პირველი ნაბიჯების გამოკვლევას;

2.საწყის ნაწილში არ არის მოცემული ენის სწავლის მოდელის კრიტიკა, იქ მოცემულია ენის სწავლების მოდელის საწყისი კვლევა." [192]

ლანტლის მიხედვით, ვიტგენშტაინი აკრიტიკებს იმ მოდელს, რომელიც განხილული აქვს ავგუსტინეს:

---

[189] ავგუსტინე, *აღსარებანი*, 208.

[190] Ahmed, 2010, 27.

[191] Baker, Hacker, *Wittgenstein: Rules, Grammar and Necessity*, I:2.

[192] Luntly, *Wittgenstein*, Opening Investigations, XV.

“წაკითხვის უმეტესი ვარიანტი იძლევა პასუხს, რომელიც ჯდება შემდეგ ფართო სქემაში: ავგუსტინე იძლევა მოდელს იმისა, თუ რას ნიშნავს ენისათვის მნიშვნელობის ქონა და რას ნიშნავს ენის მნიშვნელობის სწავლა და სწორედ ეს მოდელი არის ვიტგენშტაინის კრიტიკის ობიექტი. “ [193]

ზოგიერთი ავტორის მიერ განვითარებულია აზრი, თითქოს, ავგუსტინე ვიტგენშტაინს განხილული ჰყავს, როგორც გარკვეული კონცეფციის მომცემი, რომელსაც ის თავად ეწინააღმდეგება:

“ბეიკერი და ჰაკერი ვიტგენშტაინს წარმოადგენენ იმგვარად, რომ მას ავგუსტინე გამოჰყავს, როგორც ლინგვისტური მნიშვნელობის მოდელის მომცემი, რასაც ისინი უწოდებენ “ავგუსტინესეულ კონცეფციას”. . . ისინი ვიტგენშტაინს წარმოადგენენ, როგორც ამ კონცეფციის მოწინააღმდეგეს და ამდენად, ენის ფილოსოფიის საფუძვლის დამრღვევს.”“ [194]

ლანტლის მიხედვით, შეცდომაა ვიტგენშტაინის მიერ ავგუსტინეს განხილვის ამგვარი გაგება:

“ეს არის იდეა, რომ წიგნი იწყება რაღაც ისეთის კრიტიკით, რაც მე ვფიქრობ, რომ ფუნდამენტური შეცდომაა.” “ [195]

ავგუსტინესთან მოცემულია სახელდების პროცესი, აღწერილია ენის გარკვეული სწავლის ფორმა, მაგრამ არ არის მოცემული თავად ავგუსტინეს თეორია:

“ავგუსტინე აღწერს ენის სწავლას. უფრო ზუსტად, ის აღწერს საგნების სახელების სწავლის პროცესს.” “ [196]

ვიტგენშტაინის კრიტიკის ობიექტი არის ენის ერთიანი თეორიის მოცემის საკითხი:

---

[193] Luntly, *Wittgenstein*, Opening Investigations, 1.

[194] Ibid. 1.

[195] Ibid. 2.

[196] Ibid. 3.

“იდეა, რომ ენას გააჩნია არსი ძალზედ აბსტრაქტულია. მე ვფიქრობ, რომ ეს არის იდეა, რომელსაც აკრიტიკებს ვიტგენშტაინი. ეს არის ის, რასაც ის 1 პარაგრაფის ბოლოს უწოდებს “ფილოსოფიურ კონცეფციას”. ის არ აკრიტიკებს იდეას, რომ სიტყვები სახელებია (მრავალი მათგანი არის), არც იმას უარყოფს, რომ ზოგ შემთხვევაში სახელის მნიშვნელობა არის ის ობიექტი, რომელსაც ის აღნიშნავს.” “ [197]

ლანტლის მიხედვით, აქ ავგუსტინესეული შეცდომა კი არ არის მოცემული, არამედ, ჩვენ არასწორად მივაწერთ ავგუსტინეს, რომ ის ჩვენ ენის არსის სურათს გვაწვდის:

“შეცდომა ავგუსტინესეული არ არის, ვცდებით ჩვენ, თუ ჩვენ მივყვებით იმპულსს და ვფიქრობთ, რომ ავგუსტინეს სიტყვები ჩვენ ენის არსის შესახებ სურათს გვაძლევს.” “ [198]

ვიტგენშტაინის კრიტიკის ობიექტიც სწორედ ამგვარი თეორიის მოცემაა, ზოგადი თეორიისა, რომელიც ერთიან სივრცეში მოაქცევს სიტყვების მნიშვნელობებს:

“ეს არის ის, რასაც ენის ზოგადი თეორია ცდილობს, რომ მოგვცეს – ენის თითოეული ელემენტისათვის მნიშვნელობის კანონიკური არტიკულაცია. ეს არის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მნიშვნელობა შეიძლება მოცემული იქნეს თეორიის სახით ენის ზოგად თეორიაში. ეს არის კრიტიკის მიზანი. მე ვფიქრობ, რომ ვიტგენშტაინის გამოკვლევების მიზანსაც ის წარმოადგენს.” “ [199]

ჩვენი აზრით, ლანტლის თვალსაზრისის მსგავსი ჩანასახი გვხვდება დევიდ სტერნის ზემოთ მოყვანილ ციტატაშიც, სადაც ის აღნიშნავს, რომ ვიტგენშტაინის მიზანია დისკუსიის მარტივით დაწყება, [200] თუმცა, ცხადია, ლანტლის შეხედულება

---

[197] Luntly, *Wittgenstein*, Opening Investigations, 6.

[198] Ibid. 7.

[199] Ibid. 8.

[200] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 82-83.

უფრო ღრმად ვითარდება და დამატებით ანალიზს საჭიროებს. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით "კლასიკურ" თვალსაზრისს ვიზიარებთ, რომ აქ ვიტგენშტაინი სწორედ ავგუსტინესეულ კონცეფციას აკრიტიკებს, ვფიქრობთ, რომ ავგუსტინეს მიერ განვითარებული შეხედულება ნაწილობრივ მაინც გამოხატავს თავად ავგუსტინეს თვალსაზრისსაც და საკმაოდ თამამი გვეჩვენება განცხადება, რომ ავგუსტინე ამ თვალსაზრისთან კავშირში არ უნდა იქნეს განხილული.

3.3. ენობრივი თამაში და მისი საფუძველი

ვიტგენშტაინმა ავგუსტინესეული კონცეფციის საპასუხოდ, რომ სიტყვის უკან დგას მნიშვნელობა და მას ობიექტი შეესაბამება, ენის ფილოსოფიაში შემოიტანა სრულიად განსხვავებული განზომილება, კერძოდ, მნიშვნელობის არა ზუსტად განსაზღვრული ცნება, არამედ, ცვალებადი, ჩვენს აქტივობაზე, მოქმედებაზე დაფუძნებული ენობრივი თამაშის ცნება:

"1931 წლიდან ვიტგენშტაინი დაინტერესდა მეტყველებასა და თამაშს, და ენის წესებსა და თამაშის წესებს შორის ანალოგიით." [201]

სიტყვის მნიშვნელობის გამოყენებასთან დაკავშირებით ვიტგენშტაინი ავითარებს ენობრივი თამაშების თეორიას:

"შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სიტყვების გამოყენების მთელი პროცესი (2)-ში ერთი I თამაშთაგანია, რომელთა მეშვეობითაც ბავშვები თავიანთ მშობლიურ ენას სწავლობენ. მე ამ თამაშებს "ენობრივ თამაშებს" დავარქმევ და პრიმიტიულ ენას ხანდახან ენობრივ თამაშად მოვიხსენიებ.

ასევე იმ მთელსაც, რომელიც ენისა და მასთან გადაწნული ქმედებებისაგან შედგება, "ენობრივ თამაშს" დავარქმევ." [202]

---

[201] Baker, Hacker, *Wittgenstein: Rules, Grammar and Necessity*, I:49.

[202] ვიტგენშტაინი, *ფილოსოფიური გამოკვლევები*, 7.

სიტყვის მნიშვნელობა არის ის, როგორც ჩვენ მას ვიყენებთ, ის დგინდება ენობრივ თამაშში. სიტყვით საგნის სახელდება მხოლოდ ენობრივ თამაშში ხდება. როგორც ადისი უსვამს ხაზს, ვიტგენშტაინთან სიტყვა, თავისთავად, არაფერს არ ნიშნავს, ის მნიშვნელობას მხოლოდ გარკვეულ ენობრივ კონტექსტში იძენს. [203] „მე არ ვიცი, რომ ეს არის ხელი.“ მაგრამ შენ იცი, რას ნიშნავს სიტყვა „ხელი“? შენ არ ამბობ, „მე ვიცი, რას ნიშნავს ის ახლა ჩემთვის”. და ეს ემპირიული ფაქტი არ არის, რომ ეს სიტყვა ამგვარად გამოიყენება?“. [204] [205]

ენაში სიტყვებს სხვადასხვა დანიშნულება გააჩნიათ, მათ აღსანიშნად ვიტგენშტაინი მეტაფორებს იყენებს:

“ენაში სიტყვების სხვადასხვა ტიპების ჩვენებისათვის ვიტგენშტაინი იყენებს მრავალგვარ მეტაფორას. - ენა, როგორც ხელსაწყოების ყუთი; როგორც ლოკომოტივის კაბინა; როგორც ძველი ქალაქი (ანტიკური) სხვადასხვა ტიპის შენობებითა და ქუჩებით და სკვერებით; სიტყვების ფუნქციები, როგორც რუკის ხაზები (“ფილოსოფიური გრამატიკა” 58); სიტყვებს ისევე ნაირგვარი გამოყენება აქვთ, როგორც ფულს. . . (“ფილოსოფიური გრამატიკა” 63).

ენობრივი თამაშების სრული სია ვიტგენშტაინს მოცემული აქვს “ფილოსოფიურ გამოკვლევებში”, ნაწილი 1, 23.” [206]

ენობრივი თამაში ვიტგენშტაინთან არის აქტივობა:

“ძალიან ფართოდ, ენობრივი თამაში წარმოადგენის ენის ნაწილებს, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მაგალითი იმის საჩვენებლად, რომ ენა არის

---

[203] Addis, *Wittgenstein*, 32.

[204] Wittgenstein, *On Certainty*, 306.

[205] (აქ და ქვემოთ ყველგან, სადაც მოყვანილია ციტატები ვიტგენშტაინის ნაშრომებიდან, ციფრით მითითებულია არა ნაშრომის გვერდი, არამედ, პარაგრაფის ნომერი, როგორც ეს ვიტგენშტაინის ნაშრომების ციტირების საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმადაა მიჩნეული).

[206] Kenny, *Wittgenstein*, 131.

მიზნობრივი აქტივობა. ენობრივი თამაში გვეხმარება დავინახოთ, რომ ენა არის აქტივობა, რომელშიც ჩვენ ვართ ჩართული – მიზნის მქონე აქტივობა. “ [207]

როგორც ენტონი კენნი აღნიშნავს, ვიტგენშტაინმა ენობრივი თამაშის ცნებით აჩვენა კავშირი ენასა და აქტივობას შორის:

„ენობრივი თამაშების ცნება შემოიტანა, რომ ეჩვენებინა კავშირი სასაუბრო ენასა და არალინგვისტურ აქტივობებს შორის.” [208]

ვიტგენშტაინთან თამაშის ცნება (გერმანული “Spiel”) ეს არის თავისუფალი აქტივობა, რომელიც ინგლისური შესატყვისების შეპირისპირებით კარგად აქვს წარმოჩენილი დევიდ სტერნს:

“Spiel - მოიცავს უფრო მეტს - თავისუფალი ფორმის აქტივობებს და ეს უფრო არის Play, ვიდრე Game”. [209]

ბეიკერი და ჰაკერიც ხაზს უსვამენ, რომ გერმანული ტერმინი ინგლისურად უფრო ფართო მნიშვნელობით გადადის:

“Spiel” – ინგლისურ ენაში “Game” უფრო შეზღუდული მნიშვნელობისაა.” [210]

ქართულად ენა ამ განსხვავების გატარების საშუალებას არ გვაძლევს, თუმცა აქ, ცხადია, საუბარია თამაშზე, როგორც თავისუფალ აქტივობაზე, მოქმედებაზე.

დევიდ სტერნი ხაზს უსვამს “ფილოსოფიური გამოკვლევების” გაგების პრობლემას, რომ ამ ნაშრომის დიალოგური ფორმა გაგების მკითხველზე პროეცირებას ახდენს:

“რამდენადაც წიგნს დიალოგის ფორმა აქვს, თითოეულმა მკითხველმა უნდა ამოიკითხოს თავისთვის, რომელი პოზიცია არის დაცული და რომელი _ არა, და ამგვარად, თავად იპოვოს საკუთარი თვალსაზრისი იქ. “ (სტერნი 2004: 7)

---

[207] Teyedor, *Starting with Wittgenstein*, 119.

[208] Kenny, *Wittgenstein*, 129-130.

[209] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 89.

[210] Baker, Hacker, *Wittgenstein: Understanding and Meaning*, II: 62.

ნაშრომში ურთიერთმოდავე ორი ხმაა მოცემული და ორივე ვიტგენშტაინისეულია:

“გამოკვლევებში მოცემულია ორი სხვადასხვა ხმა, რომლებიც ორივე ერთად ვიტგენშტაინისეულია. აქ არის ნარატორი _ პოზიტიური და კომენტატორი _ რომელიც უარყოფს ფილოსოფიას, და თავისუფალ თერაპიად თვლის”. [211]

ამდენად, ლუდვიგ ვიტგენშტაინის წერის სტილიდან გამომდინარე რთულია, როგორც მისი თვალსაზრისის ზუსტი განსაზღვრა, ასევე ტერმინების მნიშვნელობების დადგენა; მაგალითად, გამოთქმის “გამოყენება” ვიტგენშტაინს სხვადასხვა მნიშვნელობით აქვს მოცემული:

“ორი სირთულეა, რას გულისხმობდა ვიტგენშტაინი გამოთქმის “გამოყენებაში”.

1) “გამოყენება” ნიშნავს “მოხმარებას” ან “გამოყენებას”?

2) მნიშვნელობის გამოყენების თეორია წინადადებებს მიეყენებათ თუ სიტყვებს?” [212]

სიტყვის მნიშვნელობის ენობრივ თამაშში დადგენის პროცესს, რომელიც ჩვენს აქტივობებს ეფუძნება და რითაც მნიშვნელობის ერთიანი ცალსახა თეორიის მოცემის შესაძლებლობაზე უარია ნათქვამი, თან ერთვის ვიტგენშტაინის მეტაფორული ენის გაგების პრობლემა და ტერმინების თავისებური დატვირთვით გამოყენება. თუმცა მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, საკმაოდ ნათლად ჩანს, რომ ვიტგენშტაინის სემანტიკური თვალსაზრისი ჩვენს მოქმედებას და აქტივობას ეფუძნება. ამ ტიპის სემანტიკიდან (რომელიც ცვალებად აქტივობებს ეყრდნობა) ეპისტემოლოგიურ პრობლემებზე გასვლა საკმაოდ თავისებური უნდა იყოს.

ცოდნის საკითხი “ფილოსოფიურ გამოკვლევებზე” მუშაობის დროსაც აქტუალური იყო ვიტგენშტაინისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ის ეპისტემოლოგიით ნაკლებად იყო დაინტერესებული. კერძოდ, პირად საუბრებში

---

[211] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 5.

[212] Kenny, *Wittgenstein*, 132.

ის აღნიშნავდა, რომ გამოკვლევებზე მუშაობის დროს ის იკვლევდა პლატონის "თეეტეტს" და ცოდნის პრობლემას მასთან:

"1944 წელს, როდესაც ვიტგენშტაინი მუშაობდა გამოკვლევების საბოლოო სახით მოცემაზე, მან მეგობარს უთხრა, რომ კითხულობდა პლატონის "თეეტეტს" და რომ პლატონიც იგივე პრობლემას ეხება, რასაც თვითონ. აქ არის მოცემული "თეეტეტის" ნაწყვეტი, სადაც სოკრატე ეკითხება თეეტეტს, "რა არის ცოდნა?"

სოკრატეს პასუხი თეეტეტის პასუხზე: - შენ ჩამომითვალე მრავალი რამ, მე კი გკითხე ერთი, მარტივი. მინდა გავიგო თავად ცოდნა რა არის - თუ სისულელეს ვლაპარაკობ?

აქ მრავალი რამ არის გვიანი ვიტგენშტაინის. - საუკეთესო, რაც შეგვიძლია ისეთ საკითხებზე საპასუხოდ გავაკეთოთ, როგორიცაა "ცოდნა", არის ის, რომ ვაჩვენოთ მაგალითები.

ყავისფერ წიგნში ვიტგენშტაინი ეწინააღმდეგება სოკრატეს თვალსაზრისს... "რაღაც არასწორია სიტყვა "ცოდნის" ჩვეულებრივ გამოყენებაში... მაგრამ არსებობს ამ სიტყვის არა ზუსტად ერთი გამოყენება, არამედ, რამდენიმე." [ყავისფერი წიგნი, 20, 27]." [213]

როგორც დევიდ სტერნი აღნიშნავს, 30-იან წლებში ვიტგენშტაინი აღნიშნავდა, რომ ცოდნის შესახებ კითხვებზე პასუხის ძიება შეუძლებელია, თუმცა "ფილოსოფიურ გამოკვლევებში" მოცემულია მნიშვნელობის გაგების მცდელობა და ამისათვის მას შემოტანილი აქვს "სიცოცხლის ფორმების" ცნება:

"1930-იანებში ვიტგენშტაინი თვლიდა, რომ ცოდნას არ აქვს ბუნება, არსი და არასწორია ცოდნის შესახებ კითხვებზე პასუხის ძიება.

გამოკვლევებში კი ვიტგენშტაინის მიერ სისტემური ფილოსოფიური განსჯისადმი დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი იყო, რომ მისი აზრით, ჩვენ მიერ ენის გამოყენება, მნიშვნელობის წვდომა, დამოკიდებულია ჩვენი ქცევისა და საერთო პრაქტიკების საფუძველზე - არა აზრებში თანხმობაზე, არამედ,

[213] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 13.

“სიცოცხლის ფორმაზე” (§241). თუმცა ეს მაცდუნებელია, რადგან ის დიდად არის დამოკიდებული იმაზე, როგორ გავიგებთ ამ “თანხმობას”.“ [214]

ლუდვიგ ვიტგენშტაინთან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წესების საკითხს, კერძოდ, რომ ენობრივი თამაში არის ის არეალი, სადაც გარკვეული წესები მოქმედებს და ამ წესების მიხედვით ხდება სიტყვის მნიშვნელობის რეგულაცია. ეს წესები ჩვენ მიერ არის შემოტანილი:

“ენასა და თამაშს შორის მსგავსებაა ის, რომ ორივე წესებს ემორჩილება, თუმცა ენის წესები არც ისე მკაცრია. მაგალითად, შეგვიძლია გამოვიყენოთ საკუთარი სახელი “მოსე” რაიმე ფიქსირებული დეფინიციური დესკრიფციის ქონის გარეშე, რომელიც მას შეიძლება ჩაენაცვლოს ყველა შესაძლო შემთხვევაში (“ფილოსოფიური გამოკვლევები”, I, 68, 83).” [215]

ენტონი კენნი აღნიშნავს, რომ ვიტგენშტაინთან წესს დამორჩილება სიტყვის მნიშვნელობის განმსაზღვრელია:

“არ უნდა გავიგოთ არასწორად ვიტგენშტაინის აზრი, თითქოს, წესს დამორჩილება ნიშნავდეს პრაქტიკაში ამ წესის გამომყენებელი ხალხის შეთანხმებას. ეს არასწორია. ვიღაც წესს ემორჩილება – ეს შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი და ის შეიძლება ჭეშმარიტი იყოს, თუნდაც ყველა ფიქრობდეს, რომ ის მცდარია.

წესების გარეშე სიტყვას არ აქვს მნიშვნელობა; თუ ჩვენ ვცვლით წესებს, მას სხვა მნიშვნელობა აქვს ან საერთოდ არ აქვს ის (“ფილოსოფიური გრამატიკა” 184; “ფილოსოფიური გამოკვლევები”, 147).“ [216]

წესები განსაზღვრავენ ჩვენს აქტივობებს:

“მაგრამ სწორია, რომ თუ გვესმის წესი, ჩვენ ვიცით რა უნდა გავაკეთოთ, რომ მის შესაბამისად ვიმოქმედოთ.” [217]

---

[214] Stern, *Wittgenstein’s Philosophical Investigations*, 13-14.

[215] Kenny, *Wittgenstein*, 134-135.

[216] Ibid. 137-139.

[217] Baker, Hacker, *Wittgenstein: Rules, Grammar and Necessity*, 83.

არიფ აჰმედის მიხედვით, მნიშვნელობის გამოყენებით განსაზღვრა ნიშნავს შემდეგს:

“მნიშვნელობა არის გამოყენება _ 1. მნიშვნელობის მქონე ენა დაფუძნებულია ენობრივ თამაშში. (ბაზისური ადამიანური ლინგვისტური პრაქტიკები); 2. ენობრივი თამაშები თავისთავად ჩართულნი არიან ადამიანის აქტივობის აქტუალურ ისტორიულ ქსელში _ სიცოცხლის ფორმები.

გამოკვლევებში ვიტგენშტაინისთვის აზრიანი ენა ადამიანური აქტივობის სახეა.” [218]

სიტყვის მნიშვნელობა დგინდება ენობრივ თამაშში და ჩვენ მიერ მისი გაგებისა და ცოდნის აქტივობა ეფუძნება სწორედ ზემოთ აღნიშნულ გარკვეულ წესებს. ეს პროცესი ხორციელდება ენობრივი თამაშების საფუძველზე. ამდენად, არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი ცოდნასა და ენობრივ თამაშს შორის:

„ცოდნის ცნება შეწყვილებულია ენობრივი თამაშის ცნებასთან.“ [219]

რაიმეს ცოდნა გარკვეული ენობრივი თამაშის ათვისებას გულისხმობს; როგორც ვიტგენშტაინი აღნიშნავს, იმისათვის, რომ შეიძინო ცოდნა, უნდა ისწავლო გარკვეული თამაში; ვიტგენშტაინს მოჰყავს მოსწავლის მაგალითი, რომელსაც ეჭვი შეაქვს ყველაფერში და აღნიშნავს, იმისათვის, რომ კითხვა დასვას, მოსწავლემ უნდა ისწავლოს გარკვეული თამაში:

„ამგვარად ამ მოსწავლესაც ჯერ არ უსწავლია კითხვის დასმა. არ უსწავლია თამაში, რომლის სწავლებასაც ვცდილობთ.“ [220]

ჩვენი აზრით, ვიტგენშტაინთან ცოდნა გარკვეულ დამოკიდებულებაშია მნიშვნელობასთან, კერძოდ, სიტყვის მნიშვნელობის დადგენა ენობრივ თამაშში ხდება, ხოლო ეს უკანასკნელი კი - ცოდნის მიღების საშუალებაა. როდესაც ვამბობთ, რომ ვიცით სიტყვის მნიშვნელობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიცით ამ

---

[218] Ahmed, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 14-15.

[219] Wittgenstein, *On Certainty*, 560.

[220] Ibid. 315.

სიტყვის გამოყენება. ჩვენი აზრით, სიტყვის მნიშვნელობა „გადათამაშებული“ გარკვეულ ენობრივ თამაშში არის საფუძველი იმისათვის, რომ ცოდნა შევიძინოთ.

სიტყვის მნიშვნელობა რომ გავიგოთ, უნდა ვისწავლოთ მისი გამოყენება ენაში:

“სიტყვის მნიშვნელობის გაგება გულისხმობს იმის ცოდნას, თუ როგორ გამოიყენება სიტყვა ენაში. თქვენ თვლით, რომ გაიგეთ სიტყვა, როდესაც თქვენ სწორი ნაბიჯების გადადგმა შეგიძლით ენის იმ ნაწილში, რომელსაც სიტყვა ეკუთვნის: როდესაც თქვენ შეგიძლიათ მისი სწორად გამოყენება. ამდენად, სიტყვის მნიშვნელობის სწავლა კავშირშია უნართან: ის გულისხმობს სიტყვის გარკვეული სახით გამოყენების უნარის შეძენას.” [221]

აღსანიშნავია, რომ ვიტგენშტაინის მიხედვით, ენობრივი თამაშები არ წარმოადგენენ რაღაც უცვლელსა და მყარად დადგენილს:

“და ეს მრავალფეროვნება არაა მყარი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული; ჩნდება ენის ახალი ტიპები, შეგვიძლია ვთქვათ, ახალი ენობრივი თამაშები, სხვები კი ძველდება და დავიწყებას ეძლევა. ტერმინმა „ენობრივი თამაში“ აქ უნდა გამოკვეთოს, რომ ენაზე ლაპარაკი საქმიანობის ან სიცოცხლის ფორმის ნაწილია.” [222]

ენობრივი თამაშების ამ ცვლილების მიზეზი ჩვენი ცვალებადი მოთხოვნილებებია, რაც სიცოცხლის და ცხოვრების მანძილზე გვიჩნდება:

“ჩვენი ცვალებადი მოთხოვნილებების შესაბამისად ახალი ენობრივი თამაშები ჩნდება და ძველი ქრება.” [223]

ამდენად, ჩვენი მოქმედება თუ აქტივობა განაპირობებს ენობრივი თამაშების შეცვლას, რაც, თავის მხრივ, სიტყვის მნიშვნელობის ცვლილებას იწვევს, [224] და

---

[221] Teyedor, *Starting with Wittgenstein*, 132.

[222] ვიტგენშტაინი, *ფილოსოფიური გამოკვლევები*, 23.

[223] Lugg, *Wittgenstein's Investigations 1-133*, 38.

[224] Wittgenstein, *On Certainty*, 63, 65.

შესაბამისად, იცვლება მიღებული ცოდნაც, ვინაიდან, როგორც ეს უკვე ზემოთაც აღინიშნა, ცოდნა მჭიდრო კავშირში იმყოფება ენობრივ თამაშთან. [225]

ამდენად, ჩვენი აზრით, ცოდნის მიღების პროცესში მთლიანად დამოკიდებული ვართ ენობრივი თამაშის გარკვეულ ჩარჩოსა თუ სქემაზე, რომლის გადანაცვლებაც (რასაც ჩვენი მოქმედებები განაპირობებს) სიტყვების მნიშვნელობებსა და ცოდნაში ცვლილებებს იწვევს; ენობრივი თამაში არის ის ჩარჩო, რომელიც სემანტიკურ განზომილებას ეპისტემოლოგიასთან აკავშირებს. ამდენად, ამ კავშირის ბუნების გასაგებად საინტერესოა, განვიხილოთ თავად ენობრივი თამაშის საფუძვლის საკითხი.

3.3.1 მოქმედება, როგორც ენობრივი თამაშის საფუძველი

აღსანიშნავია, რომ ვიტგენშტაინი თავის მესამე ფილოსოფიაში წინ წამოწევს საფუძვლის საკითხს:

“არ არის საჭირო ეჭვისთვის საფუძვლები?” [226]

“ცხადია, ვიღაც ამბობს: “უნდა არსებობდეს რაღაც საწყისი პრინციპი, რომელსაც ვეყრდნობით”, მაგრამ რა შეიძლება იყოს ასეთი პრინციპი? არის ის უფრო მეტი, ვიდრე “ჭეშმარიტად მიჩნევის” ბუნებრივი წესი?“ [227]

ლუდვიგ ვიტგენშტაინის მიხედვით, ცოდნის მიღების პროცესში საფუძვლად მდებარე დებულებების გამოყოფა ძალიან მნიშვნელოვანია:

“თუ ის ეჭვქვეშ აყენებს ამას - რასაც არ უნდა ნიშნავდეს “ეჭვი” აქ - ის ვერასოდეს ისწავლის ამ თამაშს.”

ადამიანი ვერ ჩაატარებს ექსპერიმენტებს, თუ არ არსებობს რაღაც, რასაც ეჭვქვეშ არ აყენებს.” [228]

---

[225] Wittgenstein, *On Certainty*, 560.

[226] Ibid. 122.

[227] Ibid. 172.

“აქ რაღაც უნივერსალურია; და არა მხოლოდ რაღაც პირადი.
რაღაც უნდა ვისწავლოთ, როგორც საფუძველი.” [229]

ვიტგენშტაინის ფილოსოფიაში ენობრივი თამაშის საფუძვლის საკითხი პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან ამ საკითხთან დაკავშირებით ვიტგენშტაინის თვალსაზრისი ცალსახად არ არის მოცემული; კერძოდ, გარკვეულ მომენტში ვიტგენშტაინი აცხადებს, რომ ენობრივი თამაშის საფუძველი არის ჩვენი მოქმედება, აქტივობა:

„თუმცა დაფუძნებას, სიცხადის განმარტებას გარკვეული დასასრული აქვს; _ მაგრამ დასასრული არ არის ის, რომ ცხად წინადადებებს ჩვენ უშუალოდ ჭეშმარიტად მივიჩნევთ, ანუ, ეს არა ჩვენი ხედვის ხერხი, არამედ, ჩვენი მოქმედებაა, რაც ენობრივი თამაშის საფუძვლად დევს.“ [230]

სწორედ მოქმედების საშუალებით ხდება ცოდნის მიღება; სწავლა ხორციელდება სიტყვის მნიშვნელობის გამოყენების პროცესში:

“ისწავლე მნიშვნელობა გამოყენების საშუალებით.” [231]

ზოგადად, გავრცელებული თვალსაზრისია, რომ ვიტგენშტაინის მესამე ფილოსოფიაში მოქმედება სიტყვაზე, ხოლო სიცოცხლის ფორმა გრამატიკაზე უპირატესია. ამასთან, როგორც არიფ აჰმედიც აღნიშნავს, ვიტგენშტაინი ხაზს უსვამს ჩვენი აქტივობის მნიშვნელობას ენასთან მიმართებაში:

“’გამოკვლევებში’ ვიტგენშტაინისათვის საზრისის მქონე ენა ადამიანური აქტივობის უნიკალური სახეა. ” [232]

ვიტგენშტაინთან მოქმედების, აქტივობის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ზოგიერთი თანამედროვე მოაზროვნე და ვიტგენშტინის გვიანდელ ფილოსოფიას

---

[228] Wittgenstein, *On Certainty*, 329, 337.

[229] Ibid. 440, 449.

[230] Ibid.204.

[231] ვიტგენშტაინი, *ფილოსოფიური გამოკვლევები*, 276.

[232] Ahmed, *Wittgenstein’s Philosophical Investigations*, 15.

მთლიანად მოქმედებისა და აქტივობის სფეროში სემანტიკის გადატანად განიხილავს:

“რომ შევაჯამოთ, მნიშვნელობა არ არის რაღაც, რაც შეიძლება სადღაც ვიპოვოთ, ის არ არის ცნება, აზრი ან განსაზღვრება, არც გრძნობადი ობიექტი, არც ფსიქოლოგიისა და რეალობის ობიექტი, ის საერთოდაც არ არის ობიექტი. მნიშვნელობის ვიტგენშტაინისეულ დეფინიციას სემანტიკის სფერო ობიექტების სამყაროდან გადააქვს პროცესებისა და მოქმედების სამყაროში და კავშირების სფეროში. მნიშვნელობა არის მოძრაობა, რომელიც აკავშირებს და ჩაირთავს ადამიანებსა და საგნებს გარკვეულ სიტუაციაში. ” [233]

იგივეზე მიუთითებს დევიდ სტერნიც, რომ ვიტგენშტაინის მიხედვით, ენა გაგებულია არა როგორც გარკვეული სისტემა, არამედ, ის დაკავშირებულია ჩვენს პრაქტიკულ აქტივობასთან. [234]

ჩვენი აზრით, ცოდნის მიღების პროცესში (რაც ენობრივი თამაშის დაუფლებით ხორციელდება), ენობრივი თამაშის საფუძვლის როლს სწორედ ჩვენი მოქმედება თამაშობს. ამ თვალსაზრისს ამყარებს, ჯერ ერთი ის, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვიტგენშტაინის გვიანდელ ფილოსოფიაში ხაზგასმულია მოქმედების წინა პლანზე წამოწევის საკითხი, რომ ცოდნის მიღების პროცესში მოქმედებას გადამწყვეტი როლი ენიჭება; მეორეც, ის, რომ ენობრივი თამაშების შესახებ ვიტგენშტაინის თვალსაზრისიც სწორედ მოქმედების მომენტს შეიცავს, კერძოდ, სიტყვის მნიშვნელობა ენობრივ თამაშებში ჩვენი აქტივობით დგინდება და მნიშვნელობის გამოყენებით სწავლაც სწორედ ჩვენს მოქმედებას გულისხმობს.

ამ თვალსაზრისს ისიც ამყარებს, რომ ვიტგენშტაინი სიცოცხლის ბოლო პერიოდში ენობრივი თამაშის აღწერისას ხაზს უსვამდა მოქმედების უპირატესობას, როგორც ამას ენტონი კენნი მიუთითებს:

---

[233] Marques, Venturinha, *Knowledge, Language and Mind*, 128.

[234] Stern, *Wittgenstein's Philosophical Investigations*, 89.

“ენობრივი თამაშების საფუძვლების აღწერასთან დაკავშირებით, სიცოცხლის ბოლო დღეებში ვიტგენშტაინი რამდენჯერმე მიუბრუნდა თავის ახალგაზრდობისდროინდელ ენას. ის ამბობდა, რომ ენობრივმა თამაშმა უფრო უნდა აჩვენოს, ვიდრე თქვას, ის ფაქტები, რომლებმაც ის შესაძლოდ აქციეს (“უეჭველობის შესახებ”, 618) და თქვა რა, რომ “ნებისმიერი ემპირიული წინადადება შეიძლება პოსტულატად გადაკეთდეს”, მან აღნიშნა, რომ “ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ტრაქტატის მოგონებებს” (“უეჭველობის შესახებ”, 321).

სიკვდილამდე ორი კვირით ადრე კი თქვა:

“მე უფრო და უფრო ახლოს ხომ არ მივდივარ მტკიცებამდე, რომ ლოგიკა არ შეიძლება აღიწეროს? უნდა შეხედო ენის პრაქტიკას, მაშინ დაინახავ მას” (“უეჭველობის შესახებ”, 501).

ეს, ცხადია, უეჭველი გამოძახილია მისი 1914 წლის პირველი შესავლისა: “ლოგიკამ უნდა მიხედოს თავს” (NB, 2).” [235]

საფუძვლის შესახებ საკითხს ართულებს შემდეგი მომენტი, რომ თუ მოქმედება წარმოადგენს ენობრივი თამაშის საფუძველს, ამდენად, მოქმედება უნდა იყოს ის, რის ჭეშმარიტება-მცდარობაზე საუბარიც შეუძლებელია:

„თუ ჭეშმარიტია ის, რაც დაფუძნებულია, მაშინ, საფუძველი არც ჭეშმარიტია და არც – მცდარი.“ [236]

ამავე დროს, ვიტგენშტაინი თავად ენობრივ თამაშს ახასიათებს, როგორც არც რაციონალურსა და არც ირაციონალურს, არც ჭეშმარიტსა და არც მცდარს, რომ ის არ არის რაიმეზე დაფუძნებული:

“უნდა გვახსოვდეს, რომ ენობრივი თამაში ამბობს რაღაც არაწინასწარმეტყველურს. მე ვგულისხმობ: ის არ არის დაფუძნებული საფუძველზე. ის არ არის გონივრული (ან არაგონივრული).

ის არის იქ - როგორც ჩვენი ცხოვრება.

---

[235] Kenny, *Wittgenstein*, 172.

[236] Wittgenstein, *On Certainty*, 205.

და ცოდნის ცნება დაკავშირებულია ენობრივ თამაშთან.” [237]

ამდენად, თუ ენობრივი თამაში ეფუძნება რაღაც სხვას, მაგალითად, ჩვენს მოქმედებას, მაშინ თავად როგორ არის ის, რისი შეფასებაც შეუძლებელია და ამასთან, რას უნდა ნიშნავდეს ვიტგენშტაინის განცხადება, რომ ენობრივი თამაში არ არის საფუძველზე დაფუძნებული? ეს კითხვები შემდგომ კვლევას საჭიროებენ.

3.3.2 უეჭველობა და ენობრივი თამაშის საფუძვლის პრობლემა

ინტერპრეტატორთა შორის გავრცელებულ თვალსაზრისს წარმოადგენს, რომ უეჭველი დებულებების და მათი ცოდნის პრობლემით ლუდვიგ ვიტგენშტაინი სიცოცხლის ბოლოს დაინტერესდა. კერძოდ, “უეჭველობის შესახებ” ენსკომისა და ვრიგტის მიერ თარგმნილ ვარიანტში სწორედ ეს არის ხაზგასმული, რომ ვიტგენშტაინი მურის სტატიების საფუძველზე დაინტერესდა უეჭველობის პრობლემით და სწორედ მის საპასუხოდ გააკეთა ის ჩანაწერები, რომლებიც შემდგომში, ვიტგენშტაინის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა წიგნის სახით:
“რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ, ის ვიტგენშტაინის ცხოვრების ბოლო წელიწადნახევარს მიეკუთვნება. . .

მათ მიმართ ვიტგენშტაინმა დიდი ხნით ადრე გამოხატა ინტერესი და მურისთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ ეს მისი საუკეთესო ნაშრომი იყო. მურიც ეთანხმებოდა. წიგნი, რომელსაც ჩვენ აქ წარმოგიდგენთ, მოიცავს ყველაფერს, რასაც ვიტგენშტაინი ამ თემაზე წერდა იმ დროიდან მის სიკვდილამდე.” [238]

უეჭველი დებულებების საკითხი ვიტგენშტაინს დაკავშირებული აქვს ენობრივ თამაშთან, უეჭველობის განსაზღვრა ენობრივ თამაშში ხორციელდება:
“თუ, მაგალითად, ვიღაც ამბობს: “მე არ ვიცი, არის თუ არა ეს ხელი”, მას შეიძლება უპასუხონ: “უფრო ახლოდან შეხედე”. თვითდარწმუნების ასეთი შესაძლებლობა

[237] Wittgenstein, *On Certainty*, 559, 560.

[238] Ibid. შესავალი.

ენობრივი თამაშის ნაწილს წარმოადგენს. მისი ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია.” [239]

ცოდნა და მასში დარწმუნებულობა ვიტგენშტაინთან ენობრივ თამაშში მოწმდება:

“„მე ვიცი ეს“ ხშირად ნიშნავს: მე ამ მტკიცებისათვის სწორი საფუძველი მქონდა. ასევე, თუ სხვა ადამიანმა იცის მოცემული ენობრივი თამაში, ის აღიარებს, რომ მეც ვიცი ეს. თუ მან იცის ენობრივი თამაში, უნდა შეძლოს წარმოდგენა, როგორ შეიძლება ადამიანმა ამგვარი რამ იცოდეს.” [240]

უეჭველობა ვიტგენშტაინთან გულისხმობს დარწმუნებულობას, თუმცა ობიექტური უეჭველობის საკითხი მასთან ღია რჩება:

„სიტყვით „უეჭველი“ ჩვენ გამოვხატავთ სრულ დარწმუნებულობას, ეჭვის სრულ არარსებობას, და ამით მივისწრაფვით, რომ სხვები დავარწმუნოთ. ეს სუბიექტური უეჭველობაა.

მაგრამ როდისაა რაღაც ობიექტურად უეჭველი? – როდესაც შეცდომა შეუძლებელია. მაგრამ რა შესაძლებლობაა ეს? შეცდომა ლოგიკურად გამორიცხული არ უნდა იყოს?“ [241]

ცოდნის მიღების პროცესში დაეჭვება არის საშუალება, რომლითაც ცოდნას ვიღებთ, თუმცა ეჭვის შეტანას სჭირდება საფუძველი, ამასთან, ეჭვქვეშ დაყენება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ენობრივი თამაშის ფარგლებში და დაეჭვება გულისხმობს უეჭველობას. ამდენად, ამ თვალსაზრისით, უეჭველობა აღმოჩნდება ენობრივი თამაშის მიღმა:

“ვიტგენშტაინი - (1) ეჭვს სჭირდება საფუძველი, (2) ეჭვი უნდა ეხებოდეს რამეს, გარდა ეჭვის უბრალო გამოთქმისა. (3) ეჭვი გულისხმობს ენობრივი თამაშის

---

[239] Wittgenstein, *On Certainty*, 3.

[240] Ibid. 18.

[241] Ibid. 194.

ცოდნას. (4) ეჭვი ენობრივი თამაშის გარეთ ან მთელი ენობრივი თამაშის შესახებ შეუძლებელია. (5) ეჭვი გულისხმობს უეჭველობას.” [242]

როგორც ვიტგენშტაინი აღნიშნავს, ცოდნის საფუძველი უნდა იყოს რწმენა:
„მე მჯერა იმის, რასაც ადამიანები გარკვეული სახით გადმომცემენ. ასე მჯერა მე გეოგრაფიული, ქიმიური, ისტორიული ფაქტების და ა.შ. ასე ვსწავლობ მეცნიერებებს. ბუნებრივია, ცოდნა რწმენაზეა დაფუძნებული.“ [243]

ცოდნა გულისხმობს რწმენას:
„რაც ვიცი, მე ის მწამს.” [244]

ლუდვიგ ვიტგენშტაინის მიხედვით რწმენას სჭირდება უეჭველი საფუძველი:
„“მე ჩემი დარწმუნებულობისათვის უდაო საფუძველი მაქვს.“ ეს საფუძვლები აქცევენ დარწმუნებას ობიექტურად.“ [245]

ადამიანი სუბიექტურად არ წყვეტს, თუ რა წარმოადგენს რაიმეს უეჭველ საფუძველს, ამაში გარკვეული ობიექტურობა უნდა იყოს:
„ის, თუ რა არის რაღაცის უტყუარი საფუძველი, ამას მე არ ვწყვეტ.“ [246]

თუ რაღაც ვიცით, ეს უკვე გულისხმობს იმას, რომ ის ჩვენთვის უეჭველობაა:
„მე ვიცი = ეს ჩემთვის ცნობილია, როგორც უეჭველი.“ [247]

იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ რაიმეში ეჭვის შეტანა, აუცილებელია ვიცოდეთ ენობრივი თამაში:
“”თუ ის ამაში დაეჭვდება – რასაც არ უნდა ერქვას აქ “დაეჭვება” – მაშინ ის ვერასოდეს ისწავლის ამ თამაშს”. [248]

---

[242] Kenny, *Wittgenstein*, 162.

[243] Wittgenstein, *On Certainty*, 170.

[244] Ibid.177.

[245] Ibid. 270.

[246] Ibid. 271.

[247] Ibid. 272.

აღსანიშნავია, რომ ვიტგენშტაინთან პრობლემურია ისიც, რომ გარკვეულ პარაგრაფებში ვიტგენშტაინი საფუძვლად მდებარე დებულებებად უეჭველ წინადადებებს ან დებულებებს აცხადებს, რომელთაც ჩვენ ენობრივი თამაშის მეშვეობით არ ვსწავლობთ:

„თუ მე ვამბობ „ჩვენ ვუშვებთ, რომ დედამიწა მრავალი წლის წინ არსებობდა“ (ან რაღაც მსგავსს), მაშინ, ცხადია,... ჩვენი ენობრივი თამაშების მთელ სისტემაში ის მიეკუთვნება საფუძველს. ეს მტკიცება, იტყოდა ვიღაც, ქმნის მოქმედების, და ამდენად, ბუნებრივია, აზროვნების საფუძველს. “ [249]

ამდენად, ენობრივი თამაშის საფუძველს ამ შემთხვევაში უეჭველი დებულებები წარმოადგენენ, ანუ ენობრივი თამაშის საფუძველი არის არა მოქმედება, არამედ, მოქმედებას თავად გააჩნია საფუძველი უეჭველი დებულებების სახით. სავარაუდოდ, ამ უკანასკნელ თვალსაზრისს ეყრდნობა ავრუმ სტროლიც, როდესაც აცხადებს, რომ ენობრივ თამაშს საფუძველი მის გარეთ აქვს:

„ენობრივი თამაშის საფუძველი მის გარეთაა და ის მხოლოდ ხელს უწყობს ენობრივ თამაშს“, [250]

და ეს არის უეჭველობა:

„ცოდნა მიეკუთვნება ენობრივ თამაშს, ხოლო უეჭველობა – არა. “ [251]

მაშასადამე, პრობლემას ქმნის შემდეგი გარემოება: ერთი მხრივ ვიტგენშტაინი აცხადებს, რომ ენობრივი თამაში არ არის საფუძველზე დაფუძნებული, მეორე მხრივ, ამტკიცებს, რომ ჩვენი მოქმედება წარმოადგენს ენობრივი თამაშის საფუძველს, ხოლო გარკვეულ შემთხვევაში კი აღნიშნავს, რომ საფუძვლად მდებარე დებულებებს მიეკუთვნებიან უეჭველი წინადადებები,

---

[248] Wittgenstein, *On Certainty*, 329.

[249] Ibid. 411.

[250] Stroll, *Moore and Wittgenstein on Certainty*, 138.

[251] Ibid. 145.

უეჭველობა. ამდენად, მართალია, ჩვენი აზრით, ვიტგენშტაინის მესამე ფილოსოფიაში მოქმედების მომენტის მნიშვნელობაზე აქცენტის გაკეთებით ის შეიძლება ჩაითვალოს ცოდნის და ენობრივი თამაშის საფუძვლად, მაგრამ საკითხი კვლავაც აქტუალური რჩება. შემდგომ კვლევას საჭიროებს, თუ რა მიმართება არსებობს ენობრივ თამაშსა და უეჭველობას შორის, რაც, სავარაუდოდ, ვიტგენშტაინის ზემოთ მოცემული პრობლემური თვალსაზრისების შეჯერებასა და მათთან დაკავშირებულ სხვადასხვა კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება.

ამდენად, ვიტგენშტაინის ფილოსოფიაში შესაძლებელია დაფიქსირდეს გარკვეული თვალსაზრისი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორიცაა ცოდნის პრობლემა და მისი სიტყვის მნიშვნელობასთან მიმართებაში განხილვა. როგორც ვიტგენშტაინის ფილოსოფიიდან ჩანს, ცოდნის მიღებისთვის აუცილებელია გარკვეული ენობრივი თამაშის დაუფლება, ხოლო თავად სიტყვები მნიშვნელობებს ენობრივ თამაშში იძენენ, ასე, რომ ენობრივი თამაში მნიშვნელობას (სემანტიკურ განზომილებას) ცოდნასთან (ეპისტემოლოგიასთან) აკავშირებს; ეს ორი განზომილება და ჩვენი აზრით, მათ შესაბამისად, ორი ფილოსოფიაც, ვიტგენშტაინთან მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ეს დასკვნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია ვიტგენშტაინის იმ ინტერპრეტატორთა მხარდასაჭერად, ვინც ამტკიცებს, რომ არსებობს მთელი მისი ფილოსოფიის გამჭოლი თემები. ამდენად, ენობრივ თამაშში უნდა ვეძებოთ სემანტიკასა და ეპისტემოლოგიას შორის მნიშვნელოვანი კავშირის საფუძველი. თუმცა ბოლომდე გარკვეული არ არის თავად ენობრივი თამაშის დაფუძნების საკითხი: ის ან საფუძველს მიღმაა, როგორც ამას ვიტგენშტაინი გარკვეულ პასაჟებში მიუთითებს, ან როგორც თავად აღნიშნავს, ის ჩვენს მოქმედებასა თუ აქტივობას ეფუძნება, ან როგორც სტროლი (და გარკვეულ მომენტში, ვიტგენშტაინიც) ამტკიცებს, მისი საფუძველი არის უეჭველობა. ჩვენი აზრით, სემანტიკასა და ეპისტემოლოგიას შორის კავშირი იმ მოქმედებას ემყარება, რითაც ენობრივ თამაშში სიტყვების მნიშვნელობების განსაზღვრა ხორციელდება და საბოლოოდ, ენობრივი თამაშის

დაუფლებით გარკვეული ცოდნა მიიღება; ამ თვალსაზრისს განსაკუთრებით ამყარებს ის, რომ, პირველი, ვიტგენშტაინი თავის მესამე ფილოსოფიაში მოქმედების საკითხს წინა პლანზე წამოსწევს და ამდენად, მოქმედების მნიშვნელობის ხაზგასმით ის შეიძლება ჩაითვალოს, როგორც საფუძვლად მდებარე, და მეორეც ის, რომ სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა თავად გულისხმობს ჩვენს მოქმედებას, რამდენადაც ენობრივ თამაშში მნიშვნელობის განსაზღვრის საშუალებას (და შეიძლება ითქვას, საფუძველსაც) ჩვენი აქტივობა წარმოადგენს. იმ შემთხვევაში თუ ენობრივი თამაშის საფუძვლად უეჭველ დებულებებს მივიჩნევდით, საინტერესო იქნებოდა, ერთი მხრივ, მოქმედებისა და უეჭველობის მიმართების საკითხის განხილვა, მეორე მხრივ კი ის, თუ რა კავშირი უნდა არსებობდეს ცოდნასა და უეჭველობას შორის და როგორ ხორციელდება უეჭველი ცოდნის მიღება. ვფიქრობთ, ეს საკითხები უფრო ღრმა ანალიზს საჭიროებენ.

თავი 4

ეჭვი, ცოდნა და რწმენა

4.1 გონივრული ეჭვი და უეჭველობა

ლუდვიგ ვიტგენშტაინის ენის ფილოსოფია, რომელიც მან თავის ე.წ. მეორე ფილოსოფიაში განავითარა, იმ პერიოდში ახალი სიტყვა იყო სემანტიკასა და ენის ფილოსოფიაში. კერძოდ, ენობრივი თამაშის ცნებით ვიტგენშტაინმა ახალი განზომილება შემოიტანა, სფერო, სადაც არ არსებობს მყარად და უცვლელად მოცემული მნიშვნელობები, არამედ, სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა ჩვენს მოქმედებას, აქტივობას დაუკავშირა. მისი ე.წ. მესამე ფილოსოფიის ძირითადი

თემატიკა კი ეპისტემოლოგიის საკითხების წინ წამოწევით განისაზღვრა. ამ ფონზე აქტუალური გახდა ეჭვის საკითხი, რომელსაც ვიტგენშტაინმა მთლიანად მიუძღვნა ჩანაწერები, რომელიც შემდეგში ნაშრომის "უეჭველობის შესახებ" სახით გამოიცა. ლუდვიგ ვიტგენშტაინი ამ ნაშრომში ავითარებს თვალსაზრისს, რომ დაეჭვებას აზრი აქვს მხოლოდ გარკვეულ ენობრივ თამაშში, მხოლოდ ენობრივი თამაშის ჩარჩოში შეიძლება კითხვის დასმა, თუ რაში შეიძლება ეჭვის შეტანა. ეს საკითხი, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი მომენტია ვიტგენშტაინის მნიშვნელობის თეორიისა და ეპისტემოლოგიის გასაგებად.

აქვე უნდა აღინიშნოს აქტუალური პრობლემა ეჭვის გონივრულობასთან დაკავშირებით, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო მომენტია, ზოგადად, ვიტგენშტაინის ფილოსოფიის გასააზრებლად და კონკრეტულად, იმ თემის წამოსაწევად, თუ რა საფუძველი არსებობს, როდესაც ცოდნის ფლობაზე ვაცხადებთ პრეტენზიას. ჩვენი აზრით, ლუდვიგ ვიტგენშტაინის თვალსაზრისი ეჭვის გონივრულობასთან დაკავშირებით გარკვეულ მიმართებაში იმყოფება დეკარტის რაციონალიზმთან, მიუხედავად იმისა, რომ დეკარტის შეხედულებები სრულიად სხვა მიზნითა და მიმართებით იყო განვითარებული.

ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეჭვის გონივრულობის საკითხი შეგვიძლია უეჭველობასთან კონტექსტში განვიხილოთ და ენობრივი თამაშების თეორიასთან ერთობლივად საერთო ჩარჩოში მოვიაზროთ. ამით ვიტგენშტაინისეული სამყაროს გარკვეული სურათი შეიძლება იქნეს მოცემული, გამოვლინდეს კავშირი ვიტგენშტაინის სემანტიკასა და ეპისტემოლოგიას შორის, მათ შორის გადაკვეთის წერტილი, რაც ამ ორ სფეროს შორის კავშირის თავისებურ სახეს მოგვცემს. ცოდნა, ენობრივი თამაში, ეჭვი, ეჭვის გონივრულობა, უეჭველობა, მნიშვნელობა, ეს საკითხები უკვე ერთიან ჭრილში შეგვიძლია განვიხილოთ.

სიტყვის მნიშვნელობა დგინდება ენობრივ თამაშში; როდესაც ვიცით სიტყვის გამოყენება, გვაქვს ცოდნა; ცოდნა რომ მოვიპოვოთ, აუცილებელია

რაღაცას დავეყრდნოთ, კერძოდ, რაღაც უკვე უეჭველად უნდა მივიჩნიოთ, უეჭველობა არის ის, რის მიღმაც ჩვენ ვერ გავდივართ, ამდენად, უეჭველობა არის ცოდნის საფუძველი. ხაზი ესმება უეჭველობის განსაკუთრებულ მდგომარეობას, მას ფილოსოფიაში სრულიად განსხვავებული და თავისებური ადგილი უნდა დაეთმოს. ეჭვის გონივრულობა ეფუძნება უეჭველობას - გონივრული ეჭვი, ჩემი აზრით, ეს არის უეჭველობის საფუძვლად გაგების შესაძლებლობა. უეჭველობის პრობლემა, კერძოდ, რაღაც დებულებების უკვე უეჭველად მიღება, რომ რაიმეს ცოდნაზე შევძლოთ პრეტენზიის გაცხადება, ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს თანამედროვე ეპისტემოლოგიის ამოსავალი წერტილი და ამ პრობლემის გადაჭრა და მასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების მოძიება - მნიშვნელოვანი ამოცანა.

4.1.1 ენობრივი თამაშის თეორია, როგორც ცოდნის საფუძველი

"უეჭველობის შესახებ" ენსკომისა და ვრიგტის მიერ თარგმნილ ვარიანტში ხაზგასმულია, რომ ვიტგენშტაინი მურის სტატიების საფუძველზე დაინტერესდა უეჭველობის პრობლემით, რის შემდეგაც მან თავის ფილოსოფიურ ხედვებს ეპისტემოლოგიური მიმართულებით განვითარება მისცა:

"რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ, ის ვიტგენშტაინის ცხოვრების ბოლო წელიწადნახევარს მიეკუთვნება. . .

მათ მიმართ ვიტგენშტაინმა დიდი ხნით ადრე გამოხატა ინტერესი და მურისთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ ეს მისი საუკეთესო ნაშრომი იყო. მურიც ეთანხმებოდა. წიგნი, რომელსაც ჩვენ აქ წარმოგიდგენთ, მოიცავს ყველაფერს, რასაც ვიტგენშტაინი ამ თემაზე წერდა იმ დროიდან მის სიკვდილამდე."[252]

[252] Wittgenstein, *On Certainty*, შესავალი.

უეჭველობა ვიტგენშტაინთან გულისხმობს დარწმუნებულობას, თუმცა ობიექტური უეჭველობის საკითხი მასთან ღია რჩება:

„სიტყვით „უეჭველი“ ჩვენ გამოვხატავთ სრულ დარწმუნებულობას, ეჭვის სრულ არარსებობას, და ამით მივისწრაფვით, რომ სხვები დავარწმუნოთ. ეს სუბიექტური უეჭველობაა.

მაგრამ როდისაა რაღაც ობიექტურად უეჭველი? – როდესაც შეცდომა შეუძლებელია. მაგრამ რა შესაძლებლობაა ეს? შეცდომა ლოგიკურად გამორიცხული არ უნდა იყოს?“[253]

აღსანიშნავია, რომ ვიტგენშტაინი თავის მესამე ფილოსოფიაში წინ წამოწევს საფუძვლის საკითხს:

“არ არის საჭირო ეჭვისთვის საფუძვლები?”[254]

“ცხადია, ვიღაც ამბობს: “უნდა არსებობდეს რაღაც საწყისი პრინციპი, რომელსაც ვეყრდნობით”, მაგრამ რა შეიძლება იყოს ასეთი პრინციპი? არის ის უფრო მეტი, ვიდრე “ჭეშმარიტად მიჩნევის” ბუნებრივი წესი?“[255]

ლუდვიგ ვიტგენშტაინის მიხედვით, ცოდნის მიღების პროცესში საფუძვლად მდებარე დებულებების გამოყოფა ძალიან მნიშვნელოვანია:

“თუ ის ეჭვქვეშ აყენებს ამას - რასაც არ უნდა ნიშნავდეს “ეჭვი” აქ - ის ვერასოდეს ისწავლის ამ თამაშს.”

ადამიანი ვერ ჩაატარებს ექსპერიმენტებს, თუ არ არსებობს რაღაც, რასაც ეჭვქვეშ არ აყენებს.”[256]

როგორც აღვნიშნეთ, ვიტგენშტაინის ფილოსოფიაში ენობრივი თამაშის საფუძვლის საკითხი პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან ამ საკითხთან დაკავშირებით ვიტგენშტაინის თვალსაზრისი ცალსახად არ არის მოცემული;

---

[253] Wittgenstein, *On Certainty*,194.

[254] Ibid. 122.

[255] Ibid. 172.

[256] Ibid. 329, 337.

კერძოდ, გარკვეულ მომენტში ის აცხადებს, რომ ენობრივი თამაშის საფუძველი არის ჩვენი მოქმედება, აქტივობა:

„თუმცა დაფუძნებას, სიცხადის განმარტებას გარკვეული დასასრული აქვს; _ მაგრამ დასასრული არ არის ის, რომ ცხად წინადადებებს ჩვენ უშუალოდ ჭეშმარიტად მივიჩნევთ, ანუ, ეს არა ჩვენი ხედვის ხერხი, არამედ, ჩვენი მოქმედებაა, რაც ენობრივი თამაშის საფუძვლად დევს.“[257]

სწორედ მოქმედების საშუალებით ხდება ცოდნის მიღება; სწავლა ხორციელდება სიტყვის მნიშვნელობის გამოყენების პროცესში:

“ისწავლე მნიშვნელობა გამოყენების საშუალებით.”[258]

მნიშვნელობა მთლიანად დაუკავშირდა მოქმედებას, აქტივობას, აღარ გვაქვს მნიშვნჯელობის მკაცრად განსაზღვრული ერთი ცნება, ასეთის საჭიროენბაც არარ არსებობს:

“რომ შევაჯამოთ, მნიშვნელობა არ არის რაღაც, რაც შეიძლება სადღაც ვიპოვოთ, ის არ არის ცნება, აზრი ან განსაზღვრება, არც გრძნობადი ობიექტი, არც ფსიქოლოგიისა და რეალობის ობიექტი, ის საერთოდაც არ არის ობიექტი. მნიშვნელობის ვიტგენშტაინისეულ დეფინიციას სემანტიკის სფერო ობიექტების სამყაროდან გადააქვს პროცესებისა და მოქმედების სამყაროში და კავშირების სფეროში. მნიშვნელობა არის მოძრაობა, რომელიც აკავშირებს და ჩართავს ადამიანებსა და საგნებს გარკვეულ სიტუაციაში. ”[259]

ჩვენი აზრით, ცოდნის მიღების პროცესში (რაც ენობრივი თამაშის დაუფლებით ხორციელდება), ენობრივი თამაშის საფუძვლის როლს სწორედ ჩვენი მოქმედება თამაშობს. ამ თვალსაზრისს ამყარებს, ჯერ ერთი ის, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვიტგენშტაინის გვიანდელ ფილოსოფიაში ხაზგასმულია მოქმედების

---

[257] Wittgenstein, *On Certainty*, 204.

[258] ვიტგენშტაინი, *ფილოსოფიური გამოკვლევები*, 276.

[259] Marques, Venturinha, *Knowledge, Language and Mind*, 128.

წინა პლანზე წამოწევის საკითხი, რომ ცოდნის მიღების პროცესში მოქმედებას გადამწყვეტი როლი ენიჭება; მეორეც, ის, რომ ენობრივი თამაშების შესახებ ვიტგენშტაინის თვალსაზრისიც სწორედ მოქმედების მომენტს შეიცავს, კერძოდ, სიტყვის მნიშვნელობა ენობრივ თამაშებში ჩვენი აქტივობით დგინდება და მნიშვნელობის გამოყენებით სწავლაც სწორედ ჩვენს მოქმედებას გულისხმობს.

ამ თვალსაზრისს ისიც ამყარებს, რომ ვიტგენშტაინი სიცოცხლის ბოლო პერიოდში ენობრივი თამაშის აღწერისას ხაზს უსვამდა მოქმედების უპირატესობას, როგორც ამას ენტონი კენნი მიუთითებს:

“ენობრივი თამაშების საფუძვლების აღწერასთან დაკავშირებით, სიცოცხლის ბოლო დღეებში ვიტგენშტაინი რამდენჯერმე მიუბრუნდა თავის ახალგაზრდობის პერიოდის ენას. ის ამბობდა, რომ ენობრივმა თამაშმა უფრო უნდა აჩვენოს, ვიდრე თქვას, ის ფაქტები, რომლებმაც ის შესაძლოდ აქციეს (“უეჭველობის შესახებ”, 618) და თქვა რა, რომ “ნებისმიერი ემპირიული წინადადება შეიძლება პოსტულატად გადაკეთდეს”, მან აღნიშნა, რომ “ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ტრაქტატის მოგონებებს” (“უეჭველობის შესახებ”, 321).

სიკვდილამდე ორი კვირით ადრე კი განაცხადა:

“მე უფრო და უფრო ახლოს ხომ არ მივდივარ მტკიცებამდე, რომ ლოგიკა არ შეიძლება აღიწეროს? უნდა შეხედო ენის პრაქტიკას, მაშინ დაინახავ მას” (“უეჭველობის შესახებ”, 501).

ეს, ცხადია, უეჭველი გამოძახილია მისი 1914 წლის პირველი შესავლისა: “ლოგიკამ უნდა მიხედოს თავს” (NB, 2).”[260]

ცოდნის და შემეცნების საკითხებით ვიტგენშტაინის დაინტერესება, ჩემი აზრით, სავსებით ლოგიკური და თანმიმდევრული იყო; ის თავისთავად მოჰყვებოდა მნიშვნელობის თეორიას და მეტიც, ვიტგენშტაინის ყველა პერიოდის ფილოსოფია შემეცნებისკენ სწრაფვა და ცოდნის მიღწევის გზების ძიებაა. მიუხედავად იმისა, რომ ვიტგენშტაინი თავად აღნიშნავდა, რომ ერთიანი

[260] Kenny, *Wittgenstein*, 172.

ყოვლისმომცველი თეორიის მოცემა შეუძლებელია, მისი ფილოსოფიის სამივე ნაწილი, ჩემი აზრით, ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს და სწორედ სამყაროს სრულფასოვანი სურათის მოცემის მცდელობად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

როგორც ვიტგენშტაინი აღნიშნავს, უეჭველობის და ცოდნის საკითხებით დაინტერესების ინიციატორს მისთვის მურის სტატიები წარმოადგენდნენ. თუმცა, ამ საკითხებთან შეხება უკვე, თავისთავად, სკეპტიკოსების, და ცხადია, უპირველეს ყოვლისა, დეკარტის თეორიასთან გადაკვეთას მოითხოვს, ამდენად, მნიშვნელოვანია ვიტგენშტაინისეული ეჭვისა და უეჭველობის დეკარტისეულ კოგიტოსთან შეპირისპირება და დასკვნების გაკეთება. მართალია, ვიტგენშტაინისეული ეჭვის შეტანა დეკარტისეულისგან განსხვავებულია (როგორც საფუძველში, მათი მიზნებიდან გამომდინარე, ისე გავრცელების თვალსაზრისითაც), მაგრამ ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი არსებობს, რაც მათ აერთიანებთ, ეს არის ვიტგენშტაინისეული გონივრული ეჭვის თეზისი და დეკარტისეული გონების სინათლის თვალსაზრისი.[261]

4.1.2. ენობრივი თამაშის თეორიიდან შემეცნების პრობლემამდე

სიტყვის მნიშვნელობის გამოყენებასთან დაკავშირებით ვიტგენშტაინი ავითარებს ენობრივი თამაშების თეორიას:

“შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სიტყვების გამოყენების მთელი პროცესი (2)-ში ერთი I თამაშთაგანია, რომელთა მეშვეობითაც ბავშვები თავიანთ მშობლიურ ენას

[261] ეს მომენტი უფრო ვრცლად განხილული იქნება ქვემოთ.

სწავლობენ. მე ამ თამაშებს "ენობრივ თამაშებს" დავარქმევ და პრიმიტიულ ენას ხანდახან ენობრივ თამაშად მოვიხსენიებ.

ასევე იმ მთელსაც, რომელიც ენისა და მასთან გადაწნული ქმედებებისაგან შედგება, "ენობრივ თამაშს" დავარქმევ." [262]

სიტყვის მნიშვნელობა ჩვენ მოცემული გვაქვს ენობრივ თამაშში:

„სიტყვის მნიშვნელობა არის ის, როგორც ჩვენ მას ვიყენებთ, ის დგინდება ენობრივ თამაშში. თავისთავად, სიტყვა არაფერს არ ნიშნავს, ის მნიშვნელობას მხოლოდ გარკვეულ ენობრივ კონტექსტში იძენს." [263]

ენობრივი თამაში ვიტგენშტაინთან არის აქტივობა:

"ძალიან ფართოდ, ენობრივი თამაში წარმოადგენის ენის ნაწილებს, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მაგალითი იმის საჩვენებლად, რომ ენა არის მიზნობრივი აქტივობა. ენობრივი თამაში გვეხმარება დავინახოთ, რომ ენა არის აქტივობა, რომელშიც ჩვენ ვართ ჩართული – მიზნის მქონე აქტივობა. " [264]

სიტყვის მნიშვნელობის ენობრივ თამაშში დადგენის პროცესს, რომელიც ჩვენს აქტივობებს ეფუძნება და რითაც მნიშვნელობის ერთიანი ცალსახა თეორიის მოცემის შესაძლებლობაზე უარია ნათქვამი, თან ერთვის ვიტგენშტაინის მეტაფორული ენის გაგების პრობლემა და ტერმინების თავისებური დატვირთვით გამოყენება. თუმცა მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, შეიძლება აღნიშვნა, რომ ვიტგენშტაინის სემანტიკური თვალსაზრისი ჩვენს მოქმედებას და აქტივობას ეფუძნება. ამ ტიპის სემანტიკიდან (რომელიც ცვალებად აქტივობებს ეყრდნობა) ეპისტემოლოგიურ პრობლემებზე გასვლა საკმაოდ თავისებური უნდა იყოს.

სიტყვის მნიშვნელობა რომ გავიგოთ, უნდა ვისწავლოთ მისი გამოყენება ენაში:

---

[262] ვიტგენშტაინი, *ფილოსოფიური გამოკვლევები*, 7.

[263] Addis, *Wittgenstein*, 32.

[264] Teyedor, *Starting with Wittgenstein*, 119.

“სიტყვის მნიშვნელობის გაგება გულისხმობს იმის ცოდნას, თუ როგორ გამოიყენება სიტყვა ენაში. თქვენ თვლით, რომ გაიგეთ სიტყვა, როდესაც თქვენ სწორი ნაბიჯების გადადგმა შეგიძლიათ ენის იმ ნაწილში, რომელსაც სიტყვა ეკუთვნის: როდესაც თქვენ შეგიძლიათ მისი სწორად გამოყენება. ამდენად, სიტყვის მნიშვნელობის სწავლა კავშირშია უნართან: ის გულისხმობს სიტყვის გარკვეული სახით გამოყენების უნარის შეძენას.” [265]

ენობრივი თამაში არის ის განზომილება, სადაც სიტყვის მნიშვნელობის დადგენა ხდება. ის ჩვენი აქტივობების ერთობლიობაა, რაც სამყაროსთან ჩვენს მიმართებებს აყალიბებს.

უეჭველი დებულებების საკითხი ვიტგენშტაინს დაკავშირებული აქვს ენობრივ თამაშთან, უეჭველობის განსაზღვრა ენობრივ თამაშში ხორციელდება:
“თუ, მაგალითად, ვიღაც ამბობს: “მე არ ვიცი, არის თუ არა ეს ხელი”, მას შეიძლება უპასუხონ: “უფრო ახლოდან შეხედე”. თვითდარწმუნების ასეთი შესაძლებლობა ენობრივი თამაშის ნაწილს წარმოადგენს. მისი ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია.”[266]

შედეგად, ცოდნა და მასში დარწმუნებულობა ვიტგენშტაინთან ენობრივ თამაშში მოწმდება, მასთან ცოდნის საფუძველი შემოწმებადი ჭეშმარიტი რწმენა კი არ არის, არამედ, უეჭველობა:
“„მე ვიცი ეს“ ხშირად ნიშნავს: მე ამ მტკიცებისათვის სწორი საფუძველი მქონდა. ასევე, თუ სხვა ადამიანმა იცის მოცემული ენობრივი თამაში, ის აღიარებს, რომ მეც ვიცი ეს. თუ მან იცის ენობრივი თამაში, უნდა შეძლოს წარმოდგენა, *როგორ* შეიძლება ადამიანმა ამგვარი რამ იცოდეს.”[267]

---

[265] Teyedor, *Starting with Wittgenstein*, 132.

[266] Wittgenstein, *On Certainty*, 3.

[267] Ibid. 18.

4.2. გონივრული ეჭვის ცნება და ცოდნა

დეკარტის „მეტაფიზიკური მედიტაციების“ გამოსვლიდან დაწყებული, კიდევ უფრო აქტუალური გახდა პრობლემა, თუ როგორ ვიცით ის, რაც ვიცით, ეჭვქვეშ რისი დაყენება შეიძლება, როგორ ვუპასუხოთ სკეპტიციზმს, არსებობს თუ არა უეჭველი ცოდნა და ა.შ. დეკარტთან ყველაფერი ეჭვქვეშაა დაყენებული საკუთარი ცნობიერების გარდა. “ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ” - დეკარტისეული ინტუიციური დებულებაა, რომლითაც მოცემულია არსებობისა და აზროვნების ერთიანობა, ის აზროვნებით არსებობის დამტკიცების მცდელობას წარმოადგენს. დეკარტი აღნიშნავს, რომ ის ნათლად ხედავს ამ დებულებას, საუბრობს გონების სინათლეზე:

“ზუსტად იმ დროს, როდესაც ყველაფრის მოჩვენებითობად, მცდარობად მიჩნევის სურვილი აღმეძვროდა, აუცილებელი ხდებოდა, რომ თავად მე - ვინც ასე ვფიქრობდი, წარმოვადგენდე რაღაცას; დავინახე, რომ ეს ჭეშმარიტება - ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარ - იმდენად მყარი და შეუქცევადი გახლდათ, ახირებულ სკეპტიკოსთა თვალშისაცემი ვარაუდებიც კი ვერ შეარყევდა.” [268]

ნაშრომში „უეჭველობის შესახებ“ ლუდვიგ ვიტგენშტაინი შემეცნებისა და სკეპტიკური პრობლემებით ინტერესდება, თუმცა, როგორც ენდი ჰემილტონი უსვამს ხაზს, უეჭველობის თემა ძირითადია:

„„უეჭველობის შესახებ“ უფრო უეჭველობას ეხება, ვიდრე სკეპტიციზმს. ენსკომისეული არჩევანი სახელწოდებად „უეჭველობის შესახებ“ უფრო მისაღებია - „სკეპტიციზმის შესახებ“ ნაკლებად ზუსტი იქნებოდა. თუმცა, მე ვამტკიცებ, რომ

[268] დეკარტი, *მსჯელობა მეთოდის შესახებ*, 68.

ვიტგენშტაინს სკეპტიკური პრობლემების გადასაჭრელი მძლავრი არგუმენტები მოჰყავს.“ [269]

ვიტგენშტაინის ფილოსოფიაში ეჭვის გონივრულობის საკითხის აქტუალურობას ხაზს უსვამს ლიატ ლავი, რომელიც გონივრულობისა და არაგონივრულობის საკითხის ვიტგენშტაინისეულ ანალიზს იძლევა:

„უეჭველობის შესახებ“ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც გონივრულობის საფუძვლის კვლევა. ვიტგენშტაინი, როგორც ჩანს, ეძებდა, სად გადის ზღვარი გონივრულობასა და არაგონივრულობას შორის და როგორ ფუნქციონირებს ის.“ [270]

დეკარტი ეჭვობს იქ, სადაც ვიტგენშტაინი დაეჭვებას არაგონივრულად მიიჩნევს.

დეკარტი ეძებს უეჭველს, მას, რაშიც ეჭვი აღარ შეიძლება შევიტანოთ. დეკარტის ეჭვის მიზანია უეჭველი.

ვიტგენშტაინი კი ბევრ რამეს უკვე უეჭველად თვლის. ვიტგენშტაინის აზრით ყველაფერში დაეჭვება არასწორია, არაგონივრული:

“მთლიანად ყველა მათგანში ეჭვის არშეტანა არის ჩვენი მსჯელობის და, ამდენად, ჩვენი მოქმედების მეთოდი”. [271]

ვიტგენშტაინი თვლის, რომ ეჭვი უნდა იყოს გონივრული, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ უნდა გაგვაჩნდეს მისი საფუძველი.

ვიტგენშტაინის აზრით, მურიც და კარტეზიანელი სკეპტიკოსიც ეჭვის ბუნებას არასწორად იგებენ:

---

[269] Hamilton, *Wittgenstein and On Certainty*, 7.

[270] Lavy, Li*stening to unreason*, 214.

[271] Wittgenstein, *On Certainty*, 232.

“უსასრულო ეჭვი საერთოდ არ არის ეჭვი”. [272]

ვიტგენშტაინის მიხედვით, ამგვარი ეჭვი უსაზრისოა და ის გონიერ ადამიანს არ შეიძლება გაუჩნდეს:

“გონიერ ადამიანს არ აქვს გარკვეული ტიპის ეჭვები”. [273]
“თუ ჩემი მეგობარი წარმოიდგენს, რომ ის დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა აქა და აქ, მე ამას არ ვუწოდებ შეცდომას, არამედ, მენტალურ დარღვევას”. [274]

როგორც ენტონი კენი აღნიშნავს, დეკარტისეული ეჭვი საკუთარ თავს უარყოფს:

“თუ დეკარტი ეჭვქვეშ აყენებს ყველაფერს, მაშინ მან ეჭვქვეშ უნდა დააყენოს იმ სიტყვების მნიშვნელობაც, რომლებსაც ის იყენებს. . . თუ კარტეზიანულ ეჭვს ასე გავიგებთ, მაშინ ის თავისი თავის უარყოფას წარმოადგენს”. [275]

ვიტგენშტაინთან გონივრულობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის არის საზომი უეჭველობისთვის, რასაც ჩვენ ვემყარებით შემეცნების პროცესში:

„გონივრულობა ვიტგენშტაინისთვის მთავარი საკითხია - გარკვეული ეჭვების გამოხატვით, როგორც ის ამტკიცებს, აზრი ეკარგება ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ცოდნა“, „უეჭველობა“ და „ეჭვი“[276]

სკეპტიციზმთან დაკავშირებული პრობლემაა ის, რომ სკეპტიციზმი თავის თავს უარყოფს:

---

[272] Wittgenstein, *On Certainty*, 625.

[273] Ibid. 220.

[274] Ibid. 71.

[275] Kenny, *Wittgenstein*, 162.

[276] Lavy, Li*stening to unreason*, 216.

“სკეპტიკოსისადმი, რომელიც ადამიანური ცოდნის ფილოსოფიური კვლევის შემდეგ ასკვნის, რომ არაფერი არ არის უეჭველი, ვიტგენშტაინისეული პასუხია, რომ ეს კვლევა თავად გულისხმობს უეჭველობას. სკეპტიკური ეჭვის გამოთქმის აქტი მოიცავს დარწმუნებულობას, რომ სკეპტიკოსის სიტყვებს გააჩნიათ მნიშვნელობა და რომ მათი მსმენელი არსებობს. . . სკეპტიციზმი საკუთარი თავის უარმყოფელია.” [277]

ვიტგენშტაინის მიხედვით, ეჭვის შეტანა მთლიანად ენობრივ თამაშში, ენაში, როგორც მთლიანში, სრულიად აზრს მოკლებულია, არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც უეჭველია, რომლებიც კითხვის ქვეშ ვერ დადგება:
„არა მხოლოდ საკუთარი ხელების არსებობაში ეჭვის შეტანა არის უსაზრისო, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, არამედ, ასევე თავად ენობრივი თამაშიც არ დაისმის კითხვის ქვეშ, როგორც ერთიანი მთელი; ენობრივი თამაში, როგორც სიცოცხლის ფორმა, არის მოცემულობა.“ [278]

ვიტგენშტაინის სიახლე ეჭვის საკითხთან დაკავშირებით სწორედ გონივრული ეჭვის პრობლემის წამოწევაა. ვიტგენშტაინის მიხედვით, ეჭვი მთლიანად ენობრივ თამაშში არის მოქცეული და მის გარეშე აზრი არ გააჩნია. ეს არის ვიტგენშტაინის ამოსავალი დებულება. ამ მომენტს სრულიად განსხვავებულ განზომილებაში გადააქვს ეჭვის საკითხი.

ვიტგენშტაინის აზრით, მური სწორი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ გარე სამყაროს შესახებ ზოგიერთ დებულებას შეიძლება ჰქონდეს ისეთივე ეპისტემოლოგიური სტატუსი, როგორიც მათემატიკურ დებულებებს:

“ჩვენ იმავე სიზუსტით ვსწავლობთ, რომ ეს არის სკამი, როგორიც, რომ 2X2=4” . [279]

მურისეული ეს დებულებები არის უეჭველი:

---

[277] Richter, *Wittgenstein*, 87.

[278] Grayling, *Wittgenstein*, 95.

[279] Wittgenstein, *On Certainty*, 455.

„აქ არის ერთი ხელი.. და აქ არის მეორე.“ [280]

“დედამიწა არსებობ და წარსულში მრავ ალი წლის განმავლობაში.” [281]

თუმცა ვიტგენშტაინი ეწინააღმდეგება მურს და ამტკიცებს, რომ არა მხოლოდ მურის მიერ ჩამოთვლილი რამდენიმე დებულებაა უეჭველი, არამედ, ვიტგენშტაინის აზრით, კიდევ მრავალი სხვაც:

“თუმცა, არსებობს ურიცხვი მსგავსი სახის შემთხვევა, რომლებშიც მე ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ მე არ შეიძლება ვცდებოდე, და მური ამგვარი შემთხვევების ძალიან ცოტა მაგალითს იძლევა.” [282]

ფილოსოფიაში ეჭვის პრობლემის განხილვისას მთავარი მომენტი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ის, რომ ყველაფერში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ანტიკურობიდან დღემდე სკეპტიციზმის პრობლემა სწორედ ეს არის და მურთან დაკავშირებითაც მსგავსი პრობლემა დგას, “არა მარტო მურისეული უეჭველი დებულებები არის უსაფუძვლო, არამედ, მურისეული უეჭველობის რაციონალური ეჭვიც, უბრალოდ, შეუძლებელია.” [283]

4.3. გონივრული ეჭვი და უეჭველობა

დაეჭვება მხოლოდ გარკვეულ ენობრივ თამაშში შეიძლება არსებობდეს, აცხადებს ვიტგენშტაინი, ამასთან, ენობრივი თამაში არ არის ჩვენზე დამოკიდებული, ის არსებობს ‘იქ’, ჩვენგან დამოუკიდებლად:

---

[280] Moore, *Proof of an External World*, 144.

[281] Moore, *A Defence of Common Sense*, 2.

[282] Wittgenstein, *On Certainty*, 6.74.

[283] Pritchard, *Epistemic Angst*, 65

“იდეალისტის შეკითხვა ასეთი იქნებოდა: „რა უფლებით არ შემიძლია მე დავეჭვდე ჩემი ხელების არსებობაში?“ (და ამაზე პასუხი ვერ იქნება: “მე ვიცი, რომ ისინი არსებობენ.”) მაგრამ ვინც სვამს ასეთ კითხვას, მას მხედველობიდან რჩება, რომ არსებობაში დაეჭვება მხოლოდ გარკვეულ ენობრივ თამაშში მუშაობს. ამდენად, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიკითხოთ: როგორი იქნება ასეთი ეჭვი? და ეს პირდაპირ არ გავიგოთ”. [284]

ამასთან, როგორც ვიტგენშტაინი აღნიშნავს, ენობრივი თამაში თავად არ არის დაფუძნებული:

“უნდა გახსოვდეს, რომ ენობრივი თამაში არის, შეიძლება ითქვას, რაღაც არაწინასწარმეტყველური. მე ვგულისხმობ: ის არ არის დაფუძნებული საფუძვლებზე. ის არ არის გონივრული (ან არაგონივრული).

ის არის იქ – როგორც ჩვენი ცხოვრება.” [285]

მნიშვნელოვანი მომენტს წარმოადგენს იმის გააზრება, თუ რა სახის კავშირი არსებობს ენობრივ თამაშსა და უეჭველობას შორის ვიტგენშტაინის მიხედვით; სად უნდა იყოს უეჭველობის ადგილი ენობრივ თამაშთან მიმართებაში.

ლუდვიგ ვიტგენშტაინის მიხედვით, ცოდნის მიღების პროცესში საფუძვლად მდებარე დებულებების გამოყოფა ძალიან მნიშვნელოვანია:

“თუ ის ეჭვქვეშ აყენებს ამას - რასაც არ უნდა ნიშნავდეს “ეჭვი” აქ - ის ვერასოდეს ისწავლის ამ თამაშს.”

ადამიანი ვერ ჩაატარებს ექსპერიმენტებს, თუ არ არსებობს რაღაც, რასაც ეჭვქვეშ არ აყენებს.” [286]

---

[284] Wittgenstein, *On Certainty*, 24.

[285] Ibid. 559.

[286] Ibid. 329, 337.

“აქ რაღაც უნივერსალურია; და არა მხოლოდ რაღაც პირადი.

რაღაც უნდა ვისწავლოთ, როგორც საფუძველი.” [287]

ცოდნის მიღების პროცესში დაეჭვება არის საშუალება, რომლითაც ცოდნას ვიღებთ, თუმცა ეჭვის შეტანას სჭირდება საფუძველი, ამასთან, ეჭვქვეშ დაყენება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ენობრივი თამაშის ფარგლებში და დაეჭვება გულისხმობს უეჭველობას. ამდენად, ამ თვალსაზრისით, უეჭველობა აღმოჩნდება ენობრივი თამაშის მიღმა.

წინა თავებში განხილული გვაქვს საკითხი, რომ მიმართება ენობრივ თამაშსა და უეჭველობას შორის ვიტგენშტაინთან პრობლემურია. აღსანიშნავია, რომ ვიტგენშტაინი გარკვეულ პარაგრაფებში საფუძვლად მდებარედ მიიჩნევს ჩვენს მოქმედებას, გარკვეულ შემთხვევაში კი თავად ენობრივ თამაშს მიიჩნევს, ხოლო ზოგიერთ პარაგრაფში უეჭველ წინადადებებს ან დებულებებს აცხადებს საფუძვლად, დებულებებად, რომელთა შესახებ ცოდნას ჩვენ ენობრივი თამაშის მეშვეობით არ ვიღებთ:

“თუ მე ვამბობ “ჩვენ ვუშვებთ, რომ დედამიწა მრავალი წლის წინ არსებობდა” (ან რაღაც მსგავსს), მაშინ, ცხადია, . . ჩვენი ენობრივი თამაშების მთელ სისტემაში ის მიეკუთვნება საფუძველს.” [288]

ენობრივი თამაშის საფუძველს ამ შემთხვევაში უეჭველი დებულებები წარმოადგენენ, ანუ ენობრივი თამაშის საფუძველი არის არა მოქმედება, არამედ, მოქმედებას თავად გააჩნია საფუძველი უეჭველი დებულებების სახით. სავარაუდოდ, ამ უკანასკნელ თვალსაზრისს ეყრდნობა ავრუმ სტროლიც, როდესაც აცხადებს, რომ ენობრივ თამაშს საფუძველი მის გარეთ აქვს:

---

[287] Wittgenstein, *On Certainty*, 440, 449.

[288] Ibid. 411.

„ენობრივი თამაშის საფუძველი მის გარეთაა და ის მხოლოდ ხელს უწყობს ენობრივ თამაშს“, [289]

და ეს არის უეჭველობა:

“ცოდნა მიეკუთვნება ენობრივ თამაშს, ხოლო უეჭველობა - არა”. [290]

ჩვენი აზრით, მიუხედავად ამ პრობლემურობისა, უეჭველობის საკითხი გონივრულობასთან მიმართებით უნდა იქნეს განხილული. ეჭვის გონივრულობა განსაზღვრავს უეჭველობას და ამასთან, უეჭველობა არის საფუძველი გონივრული ეჭვისათვის.

4.4. ეჭვი, ენობრივი თამაში და უეჭველი

სავარაუდოდ, უეჭველობის საფუძვლად გაგების პრობლემის გადაჭრა ეჭვის გონივრულობის ჭრილში უნდა მოხდეს, რამდენადაც ეჭვის გონივრულობა გულისხმობს უეჭველის მიღწევას, გონივრული ეჭვის მიზანი კი არის უეჭველის დადგენა. ხოლო ეჭვი გონივრულია გარკვეულ ენობრივ თამაშში.

დუნკან პრიტჩარდის მიხედვით, ვიტგენშტაინთან დაეჭვების თამაში წინასწარ გულისხმობს უეჭველობას:

“ვიტგენშტაინი გვაფრთხილებს, რომ თუ შევეცდებით ეჭვი შევიტანოთ ყველაფერში, მაშინ, უბრალოდ, ეჭვქვეშ დაყენებას ვერ გავცდებით. დაეჭვების თამაში გულისხმობს უეჭველობას”. [291]

---

[289] Stroll, *Moore and Wittgenstein on Certainty*, 138.

[290] Ibid. 145.

[291] Pritchard, *Epistemic Angst*,, 66.

ამდენად, დებულებების შესამოწმებლად უკვე გარკვეული დებულებები უეჭველად უნდა იყოს მიღებული. ენობრივ თამაშს საფუძვლად უდევს გარკვეული უეჭველი დებულებები, რომელთა მიმართ კითხვის დასმა არაგონივრულია. გამოდის, რომ ენობრივი თამაში და ეჭვის გონივრულობის საკითხი თავისებურ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან, გარკვეულ შემთხვევაში ისინი ერთმანეთის საფუძველს წარმოადგენენ.

ვიტგენშტაინის მიხედვით, ყოველგვარი ცოდნის საფუძვლად დევს რაღაც გარკვეულ რწმენათა სისტემა. ჩვენ გვაქვს კაცობრიობის მიერ დაგროვებული ცოდნის რწმენა, რაღაც ფუნდამენტურ დებულებებს ჩვენ უეჭველად ვიღებთ, ისინი უეჭველია, ვინაიდან, სხვაგვარად აზროვნება შეუძლებელია. ეჭვს საფუძვლად რწმენა უნდა ედოს, ეჭვი გულისხმობს უეჭველს:

“როდესაც ჩვენ ვამოწმებთ რამეს, ჩვენ უკვე ვგულისხმობთ რაღაც ისეთს, რაც არაა შესამოწმებელი”. [292]

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უეჭველობა არ წარმოადგენს შემოწმებად ჭეშმარიტ რწმენას, რაც თანამედროვ ე ეპისტემოლოგიის კვლევის საგანია. უეჭველობას არ სჭირდება შემოწმება, საერთოდაც, შეუძლებელია მისი შემოწმებადობა. ის თავადაა საფუძველის ცოდნისთვის.

ამდენად, ეჭვს სჭირდება საფუძველი, ის უნდა ეხებოდეს რამეს და არ უნდა იყოს ეჭვის უბრალო გამოთქმა, ის გულისხმობს ენობრივი თამაშის ცოდნას, ენობრივი თამაშის გარეთ ან მთელი ენობრივი თამაშის შესახებ ეჭვი შეუძლებელია, ეჭვი გულისხმობს უეჭველობას.

ვიტგენშტაინი არაფერს ამბობს მეთოდურ ეჭვზე, ანუ ეჭვზე, როგორც მეთოდზე გარკვეული უეჭველობის მისაღებად, მას ეს პრობლემა არ აინტერესებს დეკარტთან, მაგრამ ის ეწინააღმდეგება დეკარტს, ვინაიდან ვიტგენშტაინი

[292] Wittgenstein, *On Certainty*, 163.

ყველაფერში დაეჭვებას უსაზრისოდ მიიჩნევს და ამასთან, უეჭველი დებულება მისთვის არა მხოლოდ დეკარტის კოგიტოა, არამედ, უამრავი დებულება, რომელსაც ჩვეულებრივი აზრით იყენებს ადამიანი. თუმცა ვიტგენშტაინის მიერ შემოტანილი ეჭვის გონივრულობის საკითხი გარკვეულ კავშირში უნდა იყოს დეკარტისეულ გონების ბუნებრივ სინათლესთან. დეკარტის მიერ წამოწეული რაციონალური მომენტის საკითხის მნიშვნელობა დაეჭვების პროცესში გარკვეულწილად შეიძლება შევადაროთ ვიტგენშტაინის ეჭვის გონივრულობის მომენტს.

სკეპტიციზმის კრიტიკისას მურის მიზანი იყო იმის ჩვენება, რომ სკეპტიციზმი გადალახვადია, ვინაიდან, არსებობს გარკვეული დებულებები, რომლებიც ამტკიცებენ გარე სამყაროს არსებობას და რომლებიც უეჭველნი არიან, ამასთან, ის ეწინააღმდეგება დეკარტს, ვინაიდან, ისეთ დებულებებს ასახელებს უეჭველად, რომლებიც დეკარტთან, შეიძლება ითქვას, საეჭვოდ არის გამოცხადებული.

ვიტგენშტაინის აზრით, მური ცდებოდა, როდესაც თვლიდა, რომ გარკვეული უეჭველი დებულებები შეიძლება ჩაითვალოს გარე სამყაროს არსებობის დამამტკიცებლად და იმაშიც, რომ ფიქრობდა, რომ მას გააჩნდა ამ დებულებების ცოდნა, ვინაიდან, ამ დებულებების ცოდნა უსაზრისოა. ფუნდამენტური დებულებების არა ცოდნა, არამედ, რწმენა გაგვაჩნია, რომ ისინი უეჭველია.

ვიტგენშტაინის თვალსაზრისი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასთან ამ პრობლემის ხედვის თავისებური გზაა მოცემული, კერძოდ, როგორც ეს ვიტგენშტაინისთვის არის დამახასიათებელი, დასმულია მრავალი საინტერესო კითხვა და მისი წერის მანერის შესაბამისად, პასუხებიც მოცემულია გარკვეული შეკითხვებისა და მსჯელობის სახით. ეჭვის ბუნების გაგებისას ის ხაზს უსვამს, რომ ეჭვი აუცილებლად გულისხმობს იმას, რაც არ არის საეჭვო, ასევე, რომ ეჭვი

შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ ენობრივ თამაშში და ამდენად, ენობრივი თამაშიდან მოწყვეტილი ეჭვი ვერ იქნება გონივრული. თავად ენობრივი თამაში არც გონივრულია და არც არაგონივრული და ამდენად, მისი ეჭვქვეშ დაყენება შეუძლებელია. ცხადია, სიახლე, თითქოს, არ არის ის, რომ ვიტგენშტაინი ცოდნის საფუძვლად რწმენას აცხადებს, მაგრამ საინტერესოა მისი თვალსაზრისი ცოდნის გადაცემის შესახებ, მაგალითად, როდესაც ის ხაზს უსვამს, რომ ცოდნის გადაცემა უეჭველობის საფუძველზე ხდება:

"ჩვენ ვასწავლით ბავშვს 'ეს არის შენი ხელი' და არა 'ალბათ, ეს არის შენი ხელი'. აი, როგორ სწავლობს ბავშვი ურიცხვ ენობრივ თამაშს მისი ხელის შესახებ". [293]

ასევე მნიშვნელოვანია: "ბავშვი სწავლობს მოზრდილის რწმენით. ეჭვი რწმენის შემდეგ მოდის". [294] ჩემი აზრით, ეს შენიშვნა ძალიან საინტერესოა ცოდნის საფუძვლებისა და ეჭვის ბუნების გასაგებად.

როდესაც ვიტგენშტაინი ამბობს: "აქ რაღაც უნივერსალურია; და არა მხოლოდ რაღაც პირადი",[295] სწორედ ეს დებულება მიგვაჩნია ეფექტურ განცხადებად. ფაქტია, ესაა ერთადერთი რამ, ალბათ, რისგანაც უნდა ამოვიდეთ ეჭვის გადასალახად, თუმცა ამასაც თავისი წინააღმდეგობები ახლავს. რა გზაც უნდა ავირჩიოთ, ცხადია, ყველა მიმართულებას ახლავს გარკვეული პრობლემური თვალსაზრისი, მაგრამ გარკვეულ სისტემას თუ თვალსაზრისს უპირატესობა უნდა მიენიჭოს და ალბათ, ყველაზე ეფექტურს მათ შორის.

ჩვენი აზრით, ვიტგენშტაინისეული შეხედულება უეჭველობასთან დაკავშირებით ფილოსოფიაში სკეპტიციზმის პრობლემას მთლიანად ვერ ხსნის, თუმცა გარკვეული სახით მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს. ჩვენ ვფიქრობთ,

---

[293] Wittgenstein, *On Certainty*, 374.

[294] Ibid. 160.

[295] Ibid. 440.

რომ უეჭველობის პრობლემა აუცილებლად ენობრივი თამაშის თეორიასთან ერთად უნდა იქნეს განხილული. ამასთან, ვფიქრობთ, რომ დებულებების უეჭველად მიჩნევა თავისთავად ცალკე ენობრივ თამაშში ხორციელდება და ამდენად, ეს არ უნდა იყოს ის, რასაც ვიტგენშტაინი რწმენად მონათლავს, არამედ, ამ მომენტში უფრო მეტი რაციონალურობა უნდა იდოს. ჩვენი აზრით, გარკვეულ დებულებებს უეჭველად ვიღებთ იმთავითვე არა მხოლოდ მათდამი რწმენის გამო, არამედ, ეს ბევრად უფრო დასაბუთებული და სხვადასხვა მიზეზობრიობაზე დაფუძნებული რწმენაა, რომელსაც, შესაძლოა, რწმენა არც ეწოდოს. მაგალითად, როდესაც ვიტგენშტაინი საუბრობს იმაზე, რომ ჩვენ კაცობრიობის მიერ დაგროვებული ცოდნის რწმენა გაგვაჩნია ან რომ ფუნდამენტურ დებულებებს ვიღებთ უეჭველად რწმენის საფუძველზე, ჩვენი აზრით, ეს არ არის რწმენა ჩვეულებრივი გაგებით ან საერთოდაც არ არის რწმენა, აქ მრავალი მომენტია, რაც განსაზღვრავს ჩვენს ამ დამოკიდებულებას.

4.5. ლუდვიგ ვიტგენშტაინის ეპისტემოლოგია, როგორც მისი ფილოსოფიური აზრის გაერთიანება

ამდენად, ლუდვიგ ვიტგენშტაინის ეპისტემოლოგიური თვალსაზრისის განვითარების მწვერვალი არის მისი ნაშრომი „უეჭველობის შესახებ“. ამ ნაშრომში, ჩვენი მტკიცებით, ვიტგენშტაინმა დააგვირგვინა საკუთარი ფილოსოფიური აზრის განვითარება, რასაც ჩვენ უწყვეტ ხაზად ვიაზრებთ. მისი ფილოსოფიის ნაწილების თუ პერიოდების გამოყოფის მიუხედავად, ცალსახად ვამტკიცებთ, რომ ვიტგენშტაინის ყველა პერიოდის ფილოსოფიის გამჭოლი არის საერთო თემები, სამყაროზე გასვლის მცდელობა, გაგება, შემეცნება, სინამდვილის აღწერა თუ მოცემა, ცოდნის საზღვრების მოხაზვა, რისი შემეცნება შეგვიძლია, სად შეგვიძლია

ლოგიკას მივყვეთ და სად აღარ არის საკმარისი მხოლოდ რაციონალური ხედვა და ვდუმვართ, ჩვენს შეზღუდულობას ვეგუებით თუ სხვა გზას ვეძებთ, შემეცნების სხვა ტიპის სფეროს მოხაზვას ვახდენთ. ტრაქტატიდან ფილოსოფიურ გამოკვლევებზე და შემდეგ ეპისტემოლოგიურ მესამე ვიტგენშტაინზე გადასვლა, ჩვენი აზრით, ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს:

„ენობრივი თამაშების საფუძვლების აღწერასთან დაკავშირებით, სიცოცხლის ბოლო დღეებში ვიტგენშტაინი რამდენჯერმე მიუბრუნდა თავის ახალგაზრდობის დროინდელ ენას. ის ამბობდა, რომ ენობრივმა თამაშმა უნდა აჩვენოს, ვიდრე თქვას, ის ფაქტები, რომლებმაც ის შესაძლო გახადეს (“უეჭველობის შესახებ”, 618) და თქვა რა, რომ “ნებისმიერი ემპირიული წინადადება შეიძლება პოსტულატედ გადაკეთდეს”, მან აღნიშნა, რომ “ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს ტრაქტატის მოგონებებს” (“უეჭველობის შესახებ”, 321).

სიკვდილამდე ორი კვირით ადრე კი თქვა: “მე უფრო და უფრო ახლოს ხომ არ მივდივარ მტკიცებამდე, რომ ლოგიკა არ შეიძლება აღიწეროს? უნდა შეხედო ენის პრაქტიკას, მაშინ დაინახავ მას” (“უეჭველობის შესახებ”, 501).“ [296]

„უეჭველობის შესახებ“ ნაშრომში ვიტგენშტაინის შემეცნების თეორია სრულად იშლება და მიმდინარეობს ძიება უეჭველის, რისი რწმენა ან ცოდნა გვაქვს:

„21. მურის თვალსაზრისი მიდის აქამდე: ცნება “ცოდნა” ანალოგიურია ცნებებისა “რწმენა”, “ვარაუდი”, “ეჭვი”, “დაჯერება”, და რომ “ვიცი” არ შეიძლება შეცდეს.“ [297]

---

[296] Kenny, *Wittgenstein*, 172.

[297] Wittgenstein, *On Certainty*, 21.

ვიტგენშტაინი ეძებს უეჭველს, ცხადს, რომელსაც დაეყრდნობა, რომელსაც ენდობა, რაც მისცემს საყრდენს:

„672.”თუ მე არ ვენდობი ამ სიცხადეს, მაშინ რატომ უნდა ვენდო ნებისმიერს?” [298]

ვიტგენშტაინთან თავისებური გააზრებაა იმ ეპისტემოლოგიური საკითხის, რაც ჩვენ ზემოთ გეტიეს და პლატონის გავლენის მქონე თანამედროვე ეპისტემოლოგიის შესახებ განვიხილეთ. კერძოდ, ცოდნის გაგება, როგორც შემოწმებული ჭეშმარიტი რწმენის შესახებ. ვიტგენშტაინს გარკვეული რწმენები ეპისტემურად შემოწმებადად მიაჩნია, თუმცა საფუძველი არის უეჭველობა, რომელიც შემოწმებადობის მიღმაა:

„ეპისტემური შემოწმებადი რწმენებია – კარგ დასკვნაზე დამყარებული თვითცხადი ჭეშმარიტების, გრძნობადი წარმოდგენების ან უშუალო ინტროსპექციული აღქმების და ა.შ. რწმენები.“ [299]

ეპისტემოლოგიაში მხოლოდ ცოდნა არ მოიაზრება, აქ გარკვეულ რწმენებს უნდა დავეყრდნოთ, თანამედროვე ეპისტემოლოგიას უხდება ერთის მხრივ სკეპტიციზმთან ბრძოლა და მეორეს მხრივ, ისეთი წესების ძიება, რაც ჭეშმარიტებაზე გაგვიყვანს:

„ჩვენ არ განვიხილავთ ცოდნას. ეპისტემური შემოწმებადობა შეიძლება იყოს ან არ იყოს ცოდნის აუცილებელი პირობა.

თუმც ცოდნა ეპისტემოლოგიაში ფუნდამენტური ცნებაა, მაგრამ ის არ არის ერთადერთი ცნება. შემოწმებადობის ცნება თავისთავად მნიშვნელოვანი ეპისტემური ცნებაა.

---

[298] Wittgenstein, *On Certainty*, 672.

[299] Campbell, O'Rourke, Silverstein, *Knowledge and Scepticism*, 45.

თანამედროვე ეპისტემოლოგიის ორი მთავარი საკითხია სკეპტიციზმთან ბრძოლა და ადეკვატური ეპისტემური პრინციპების ძიება.“ [300]

ვიტგენშტაინის ფილოსოფიური აზრის გაგების სირთულე მახასიათებელია არა მხოლოდ მისი პირველი და მეორე პერიოდის სპეციფიური სტილის მქონე ნაშრომების შემთხვევაში, არამედ, მისი მესამე პერიოდის ფილოსოფიისთვისაც, თავისებური გადმოცემის მანერის გამო და იმ უამრავი კითხვის გამო, რაც მან დასვა განვითარების ამ ეტაპებზე. ავრუმ სტროლიც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის შედარებას სოკრატესთან და ფილოსოფიური აზრის განვითარების მისეულ გავლენასთან:

„ვიტგენშტაინი, როგორც ყველა ეგზეგეტმა იცის, საოცრად ბუნდოვანი მწერალია და “უეჭველობის შესახებ” განსაკუთრებით რთული გასაგებია.

სხვა დისციპლინებისაგან განსხვავებით, სადაც მნიშვნელოვანია ის, თუ რა პასუხებია, ფილოსოფიაში ხშირად გენიოსი განისაზღვრება იმ კითხვებით, რომელთაც ის სვამს. ამ საზომით ვიტგენშტაინს თანასწორი არ ჰყავს. მან დასვა უამრავი კითხვა, რომელიც აქამდე არავის არ დაუსვამს. იმ ეფექტის მიხედვით, რაც მან მის ირგვლივ მოახდინა, ყველაზე უახლოესი ანალოგი არის, ალბათ, სოკრატე.“ [301]

უამრავი მკვლევარი თუ ფილოსოფოსი წერს ვიტგენშტაინზე, თუმცა საკმარისი ყურადღება არ არის მიმართული ვიტგენშტაინის ბოლო პერიოდის ჩანაწერებისადმი - „უეჭველობის შესახებ“:

„1980-იანი წლებიდან ვიტგენშტაინისადმი მიძღვნილი ლიტერატურა: კ. დაიმონი, რ. ჰალერი, გ. ბეიკერი და პ. ჰაკერი, გ. კონვეი, მ. მაკგინი, რ. სუტერი, ს. ჰილმი, ფ. კერი, ნ. მალკოლმი, ჯ. და მ. ჰინტიკა, ჯ. ვესტფალი, ო.

[300] Campbell, O'Rourke, Silverstein, *Knowledge and Scepticism*, 46, 287.

[301] Stroll, *Moore and Wittgenstein on Certainty*, 2, 4.

ჰანფლინგი, გ. მაკგინი, დ. პირსი, ე. ფონ სავინი, ა. კენი; სამი ბიოგრაფია – ვ.ვ. ბარტლი, ბ. მაკგინესი, რ. მონკი და ნაწარმოებები: "სამყარო, როგორც მე ის აღმოვაჩინე" – ბრიუს დაფი, სადაც ვიტგენშტაინი არის მთავარი გმირი.

რატომ დავუმატო კიდევ ერთი წიგნი ვიტგენშტაინზე? პასუხი მარტივია. ვიტგენშტაინზე არსებულ მასალებში, რომლებიც აქამდე გამოქვეყნდა, მისი ორი ნაშრომი ითვლება შედევრად, ტრაქტატი და გამოკვლევები. მაგრამ ეგზეგეტები უკვე თანხმდებიან იმაზე, რომ მესამე ნაშრომიც უნდა დაემატოს ამ წყვილს, კერძოდ, "უეჭველობის შესახებ". ამ ნაშრომს არ მიუღია ის ინტენსიური მიდგომა, რასაც ის იმსახურებს." [302]

მიუხედავად გარკვეული მკვლევარების მიერ ვიტგენშტაინის „უეჭველობის შესახებ" ნაშრომზე რეფლექსიების მცდელობისა, ამ ნაშრომის მიმართ ინტერესი მაინც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორსაც ის იმსახურებს და ჯერ კიდევ ბევრი დეტალი თუ ჩაშიფრული აზრი ამ ნაშრომიდან შეუფასებელია. აქვე მოკლედ შეგვიძლია თვალი გადავავლოთ გამოქვეყნებული ნაშრომების ჩამონათვალს:

„ოსვალდ ჰანფლინგი – "ვიტგენშტაინის გვიანდელი ფილოსოფია", აქ ნაწილი დათმობილია "უეჭველობის შესახებ" ნაშრომისთვის, მაგრამ აქ ის ინტერპრეტირებულია გამოკვლევებში ვიტგენშტაინის მიდგომის შუქზე და მისი ორიგინალურობა შემცირებულია.

წიგნები ნაშრომზე "უეჭველობის შესახებ" – 1971-1981: ჰ. მალგრემი "ინტენციონალობა და ცოდნა: მურისა და ვიტგენშტაინის ფილოსოფიების შესახებ კვლევები"; "უეჭველობა: უეჭველობის შესახებ ნაშრომში ვიტგენშტაინის შენიშვნების განხილვა" – ქ. ვაილდი. "ცოდნის პარადოქსები" – ე. ვოლგასტი 1977. "ვიტგენშტაინი და ცოდნა" თ. მორავეცი, 1978. "რეალობის რეალობაში ეჭვის შეტანა" – გ. სვენსონი, 1981. ამის შემდეგ შეწყდა ნაკადი

[302] Stroll, *Moore and Wittgenstein on Certainty*, 5.

1989 წლამდე. "საზრისი და უეჭველობა" – მ. მაკგინი და "ვიტგენშტაინი საფუძვლების შესახებ" – გ. კონვეი, რომელიც ვიტგენშტაინს ფუნდამენტალიზმის ახალი ტიპის შემომთავაზებლად განიხილავს.

ჩამოთვლილი ლიტერატურა უფრო გადამუშავებული სადოქტორო თემებია. ამ შრომებს აქვთ არა მხოლოდ დისერტაციებისათვის ჩვეული ნაკლოვანებები, ისინი, აგრეთვე, როგორც აღვნიშნე, განიცდიან "უეჭველობის შესახებ" ისეთი გაგების გავლენას, რომელიც მის მთავარ იდეებს განიხილავს, როგორც გამოკვლევების იდეათა გავრცობას." [303]

როგორც სტროლი აღნიშნავს, ვიტგენშტაინის მესამე ფილოსოფიისადმი ინტერესი ნაკლები იყო, ვინაიდან ყურადღება უფრო მეორე ფილოსოფიაზე იქნა გადატანილი:

„"უეჭველობის შესახებ" არ გამოქვეყნებულა 1962 წლამდე. ის ფაქტი, რომ ის ასე გვიან გამოვიდა და რომ ყურადღება უფრო გამოკვლევებისადმი იყო მიპყრობილი (გამოქვეყნდა 1953 წელს) ხსნის იმას, თუ რატომ არის ასე მცირე ლიტერატურა მასზე." [304]

ვიტგენშტაინის აზროვნების განვითარების ბოლო ეტაპზე წინა პლანზე წამოვიდა უეჭველი დებულებების კვლევა, ძიება იმ საფუძვლებისა, რაც უეჭველობას ამტკიცებს. მისი აზრით, უეჭველობა შესაძლებელია:

„ვიტგენშტაინს სჯერა, რომ ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ ჩვენს სიტყვებში და, შესაბამისად, უეჭველობა შესაძლებელია." [305]

---

[303] Stroll, *Moore and Wittgenstein on Certainty*, 5, 7.

[304] Ibid. 8.

[305] Ibid. 8.

ვიტგენშტაინის აზრით, ჩვენ გვაქვს გარკვეული შეხება ობიექტურობასთან, სამყარო თავისთავად არსებობს, ხოლო ენა არის ჩვენი შემოქმედება, რომელიც ცდილობს სამყაროს აღქმას, აღწერას, მოცემას:

„ადამიანური აქტივობა ხდება სამყაროში, რომლის უმეტესი ნაწილი არ არის ჩვენი საკუთარი შემოქმედება (ვიტგენშტაინის შეხედულებაა).

რაც ადამიანური შემოქმედებაა, ეს არის არა სამყარო, არამედ, ენა და კულტურა.“ [306]

პრესტონი ვიტგენშტაინს თვლის კონცეპტუალისტურ რელატივისტად, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ვქმნით ცნებით ჩარჩოს ჩვენს გარეთ არსებული სამყაროს აღწერისთვის:

„კონცეპტუალური რელატივიზმის მიხედვით, ცნებით ჩარჩოს, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, არ გვკარნახობს რეალობა ან გამოცდილება.

ამის მიხედვით, არც დებულებათა ჭეშმარიტება და მცდარობა და არც მატერიალური სამყაროს არსებობა არ არის ჩვენზე დამოკიდებული.

ის, თუ რა ემპირიული დებულებების შექმნა შეგვიძლია გონებით, დამოკიდებულია ჩვენს ცნებებზე და ესენი კი დამოკიდებულია ჩვენს კოგნიტიურ ჩვევებსა ან ლინგვისტურ შეთანხმებებზე.

ვიტგენშტაინი კონცეპტუალური რელატივისტია.

ენის გრამატიკა არც ჭეშმარიტებასა და მცდარობაზე და არც რეალობაზე არ არის დამოკიდებული.“ [307]

---

[306] Preston, *Wittgenstein and Reason*, 25.

[307] Ibid. 26.

თუმცა ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამგვარ მიდგომას. ვიტგენშტაინთან, მართალია ხაზი არის გასმული, რომ სიტყვის მნიშვნელობა ჩვენს აქტივობაში დგინდება და შემეცნება ხორციელდება მნიშვნელობაზე გასვლით, თუმცა ეს პროცესი, მნიშვნელობის დადგენა, ენობრივი თამაში არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალური ცნებითი აპარატის შექმნას, არამედ, აქ გაცილებით მეტია, მასში დევს გარკვეული სახის ობიექტურობა, რომელიც სამყაროს ხედვის ჩარჩოს ცვლის.

ვიტგენშტაინთან ცოდნის პრობლემებით დაინტერესება რომ ადრეული პერიოდიდანვე ფიქსირდება, ამის ერთ-ერთი დასტური და მაგალითია მისი „ფილოსოფიური გრამატიკა“, რომელიც მან 1931-1934 წლების პერიოდში დაწერა. აქ ის მსჯელობს გაგების შესახებ, როგორ შეიძლება მივიღოთ ინფორმაცია წინადადებით, ენის მეშვეობით:

„’’როგორ შეიძლება ვისაუბროთ წინადადების გაგების’’ და “ვერ გაგების შესახებ’’? ცხადია, წინადადება არ არის წინადადება, თუ ის ვერ გაიგება?

გაგება დებულებით არ იწყება? მთლიანი დებულებით? შეგიძლია ნახევარი დებულების გაგება?“ [308]

ის, რისი გაგებაც ჩვენ გვსურს, უნდა იყოს გამოთქმადი, ენაში გამოხატვადი, თავად ენამ კი უნდა გამოხატოს საკუთარი თავი:

„რასაც ჩვენ ვუწოდებთ “ენის გაგებას’’, ეს ხშირად ჰგავს გაგებას, რომელსაც ვიღებთ აღრიცხვიდან, როდესაც ვსწავლობთ მის ისტორიას ან პრაქტიკულ გამოყენებას.

რაც გამოთქმადია, ის მხოლოდ ენაში შეიძლება აიხსნას, და ამ აზრით, თვით ენა არ შეიძლება აიხსნას.

ენამ უნდა ილაპარაკოს თავისი თავისთვის.“ [309]

---

[308] Wittgensten, *Philosophical Grammar*, 39.

სიტყვის გაგებისთვის ასევე აუცილებელია იცოდე მისი გამოყენება, სწორედ გამოყენება განსაზღვრავს ან აფიქსირებს სიტყვის მნიშვნელობას და ამის მეშვეობით ჩვენ მივდივართ გაგებამდე. ეს არის კავშირი სიტყვის გაგებასა და ცოდნას შორის:

„10.სიტყვის გაგება შეიძლება ნიშნავდეს: ცოდნას, როგორ გამოიყენება ის; შეძლო მისი მიყენება. (ვიტგენშტაინი, ფილოსოფიური გრამატიკა, 1988)

მნიშვნელობის განმარტება ხსნის სიტყვის გამოყენებას. სიტყვის გამოყენება ენაში არის მისი მნიშვნელობა.

24.მნიშვნელობის განმარტებამ შეიძლება აგვაცილოს ყველა სახის უთანხმოება მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მან შეიძლება გაფანტოს გაუგებრობები.“ [310]

ვიტგენშტაინის მიხედვით, სიტყვის მნიშვნელობის გაგება წარმოადგენს სიტყვის გამოყენების ცოდნას, რაც კავშირშია აქტივობასთან, სიტყვის სწორად გამოყენებასთან. ამდენად, გაგება კავშირშია სიტყვის გამოყენების უნარის შეძენასთან:

„სიტყვის მნიშვნელობის გაგება გულისხმობს იმის ცოდნას, თუ როგორ გამოიყენება სიტყვა ენაში. თქვენ თვლით, რომ გაიგეთ სიტყვა, როდესაც თქვენ სწორი ნაბიჯების გადადგმა შეგიძლიათ ენის იმ ნაწილში, რომელსაც სიტყვა ეკუთვნის: როდესაც თქვენ შეგიძლიათ მისი სწორად გამოყენება. ამდენად, სიტყვის მნიშვნელობის სწავლა კავშირშია უნართან: ის გულისხმობს სიტყვის გარკვეული სახით გამოყენების უნარის შეძენას.“ [311]

---

[309] Wittgenstein, *Philosophical Grammar*, 40.

[310] Ibid. 47, 60.

[311] Teyedor, *Starting with Wittgenstein*, 132.

ვიტგენშტაინის მიხედვით, სიტყვების გრამატიკაში სხვაობა გვაძლევს სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებს, ცვლის სიტყვის ადგილს შემეცნების პროცესში. გრამატიკული წესები სიტყვისთვის განსაზღვრავენ მოცემული სიტყვის მნიშვნელობას, რაც სრულიად განსხვავდება სიტყვის მტარებლისაგან:

„ფრაზას – "სიტყვის მტარებელი" [რომელიც ოსტენსიურ დეფინიციაში არის ის, რაზეც მიეთითება], და "სიტყვის მნიშვნელობა" აქვს სრულიად განსხვავებული გრამატიკა; ეს ორი არ არის სინონიმური. ყველა წესი ერთად იძლევა მნიშვნელობას. ორ სიტყვას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, თუ მათ გამოყენების ერთი და იგივე წესები აქვთ.

ფრეგე იტყოდა, ობიექტი არის "მნიშვნელობა". თუმცა სახელის მნიშვნელობა არ არის სახელის მტარებელი. "სიტყვის გამოყენება", თუ მას მივიღებთ "სიტყვის მნიშვნელობად", არ არის ჩანაცვლებადი "სიტყვის მტარებლით".

ოსტენსიური განსაზღვრება მხოლოდ ერთი წესია სიტყვის გამოყენებისათვის. და ერთი წესი არ არის საკმარისი მნიშვნელობის მოსაცემად." [312]

სიტყვის გამოყენების წესებს ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ მისი მნიშვნელობით. წესები დგინდება ენაში, წესების პრაქტიკაში შექმნის პროცესი არის ძალიან საინტერესო, თუ როგორ უკავშირდება სიტყვა მის გამოყენებას და გვაძლევს ცოდნას (გამოყენების ცოდნას, სიტყვის მნიშვნელობის ცოდნას, სამყაროს აღწერას):

„ჩვენ არასწორად ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია სიტყვის გამოყენების წესების გამოყვანა მისი მნიშვნელობიდან. ეს შეცდომაა." [313]

აღსანიშნავი მომენტია, რომ ვიტგენშტაინის ეპისტემოლოგია განსხვავებული ტიპის თვალსაზრისს წარმოადგენს, რაც სკეპტიციზმზე მისი

---

[312] Ambrose, *Wittgenstein's Lectures*, 3, 44, 45.

[313] Ibid. 50.

პასუხების მოცემის მცდელობასა თუ სტილში ჩანს. ეს არ არის ტრადიციული ეპისტემოლოგიური ტიპის პასუხები, აქ ის მისთვის დამახასიათებელი ორიგინალური სტილით ცდილობს პრობლემების ჩვენებას საკითხების კითხვის ნიშნის ქვეშ დასმით, მისთვის დამახასიათებელი დიალოგური წერის მანერით:

„"უეჭველობის შესახებ" ნაშრომში მისი ეპისტემოლოგია განსხვავდება ტრადიციული ეპისტემოლოგიისაგან. პირდაპირ კი არ ეწინააღმდეგება სკეპტიციზმს, არამედ, კითხვის ნიშნის ქვეშ სვამდა როგორც სკეპტიკური ეჭვის საფუძველს, ისე ცოდნის დაფუძნების მცდელობებსაც." [314]

სკეპტიციზმთან დაკავშირებით ვიტგენშტაინის ფილოსოფიური შეხედულების განვითარებას თუ მოკლედ გადმოვცემთ, სტროლის მიხედვით, ტრაქტატის პერიოდში ის უსაზრისოდ არის გამოცხადებული, გვიანდელ ფილოსოფიაში კი ამ საკითხის უფრო ღრმა კვლევასთან გვაქვს საქმე, თავის მესამე ფილოსოფიაში ვიტგენშტაინი ცალსახად აღნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს უეჭველი დებულებები, რომელთა ეჭვქვეშ დაყენება შეუძლებელია, უბრალოდ, უსაზრისოა, და ეს შემეცნების პროცესების სხვა ტიპის ხედვას წარმოადგენს. ამდენად, გვიანდელ პერიოდშიც სკეპტიციზმის უკუგდების მომენტს ვხვდებით, მხოლოდ უფრო დეტალური ანალიზით:

„ტრაქტატი 6.51 სკეპტიციზმის შესახებ: სკეპტიციზმი უსაზრისოა.

გვიანდელი ანალიზი სკეპტიციზმის შესახებ ("უეჭველობის შესახებ") უფრო ღრმაა." [315]

ანალიზა კოლივას მიხედვით, ვიტგენშტაინი არ იყო ეპისტემოლოგიური რელატივისტი, ცოდნის საფუძვლად მასთან გარკვეული სახის რწმენები არის მოაზრებული, რომელთა მიმართ კითხვის დასმაც შეუძლებელია:

---

[314] Addis, *Wittgenstein*, 136.

[315] Stroll, *Moore and Wittgenstein on Certainty*, 8.

„ვიტგენშტაინი არ იყო ეპისტემოლოგიური რელატივისტი, რადგან ის, მართალია, აცხადებდა, რომ ჩვენ არ ვიცით დებულება ჭეშმარიტია თუ მცდარი, მაგრამ ჩვენი ემპირიული და სხვა მონაცემებით ვაფასებთ რაღაცას, როგორც ჭეშმარიტს ან მცდარს, ანუ ვიტგენშტაინი რაციონალურად უდგებოდა საკითხს, ამბობდა, რომ ჩვენი ცოდნის საფუძველზე ჩვენ გვაქვს რწმენები, სხვაგვარად კითხვის დასმაც კი უაზრობაა.“ [316]

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რელატივისტებიც და ანტირელატივისტებიც ვიტგენშტაინს ამის საპირისპიროდ, ეპისტემურ რელატივისტად თვლიან:

„რელატივისტებიც და ანტი-რელატივისტებიც უფრო მეტად ერთნაირად მიიჩნევენ ვიტგენშტაინს ეპისტემურ რელატივისტად.“ [317]

ვიტგენშტაინის თვალსაზრისის რელატივისტური გაგება ეფუძნება „უეჭველობის შესახებ“ პოზიციას, რომ ენობრივი თამაშის და შესაბამისად, ეპისტემური ხედვების საფუძვლად უეჭველობა დევს, რომელიც არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, რაც სამყაროს ერთი განსაზღვრული სურათის მოცემის შანსს გვიკარგავს, იქმნება საფრთხე, რომ ჩვენზე ხდება დამოკიდებული, თუ რა ტიპის ენობრივ თამაშებს შევარჩევთ და ჩვენ განვსაზღვრავთ მას:

„ვიტგენშტაინის რელატივისტური წაკითხვის თვალსაზრისის მომხრენი თავიანთ ინტერპრეტაციას ამყარებენ ვიტგენშტაინის თვალსაზრისზე „უეჭველობის შესახებ“ (1969), რომ ჩვენი ენობრივი თამაშის საფუძვლად, და, კერძოდ, ჩვენი ეპისტემური ხედვების საფუძვლად - მათი, რომლებშიც ჩვენ წარმოვადგენთ ცალკეული წინადადებების ან თეორიის დამამტკიცებელ და საწინააღმდეგო საფუძვლებს, და მათი ჭეშმარიტების მტკიცება გვაინტერესებს - არის დებულებები, რომლებიც არც ჭეშმარიტია და არც მცდარი; დაფუძნებული ან

[316] Colliva, *Was Wittgenstein an Epistemic Relativist*, 20.

[317] Ibid. 125.

დაუფუძნებელი; რაციონალური ან ირაციონალური (OC 93–99, 110, 130, 166, 196–206, 222, 307, 499, 559; ვიტგენშტაინი 1974). თუმცა, თუ ჩვენი ენობრივი თამაშები არც დაფუძნებულია და არც ჭეშმარიტად შეგვიძლია გამოვაცხადოთ, ისინი ვერ იქნებიან რაციონალურნი, და შესაძლებელი იქნება, თუნდაც, ფორმალურად, სხვა ალტერნატივების არსებობა, რომლებიც ისეთივე ლეგიტიმური იქნება, როგორც არსებული. ამდენად, შესაძლებელი იქნება, რომ გვქონდეს განსხვავებული სამყაროს სურათი (Weltbilder) (OC 93–97, 162, 167, 233, 262).“ [318]

ამ რელატივისტური ხედვის საფუძვლად ითვლება ენობრივი თამაშის საფუძვლად აქტივობის მოაზრება, რომ ამ აქტივობის ავტორები ჩვენ ვართ და შეგვიძლია ის სხვადასხვაგვარად წარვმართოთ:

„ვიტგენშტაინის რელატივისტური წაკითხვა სათავეს იღებს „უეჭველობის შესახებ“ იმ პასაჟებიდან, სადაც ვიტგენშტაინი აცხადებს, რომ ჩვენი ენობრივი თამაშის საფუძვლად დევს აქტივობა და ჩვენი არსებობის მხოლოდ ნაწილია გარკვეული წინადადებების, თეორიების და შემოწმების მეთოდების უეჭველად მიღება, და მათ შესაბამისად მოქმედება (OC 7, 110, 144, 148, 196, 204, 232, 331, 358–59, 395, 402, 411, 414, 431, 475, 499, 559). ეს პასაჟები ე.წ. ნატურალისტურ წაკითხვას წარმოადგენენ, რაც თავის მხრივ ვიტგენშტაინის რელატივისტურად წაკითხვას ამყარებენ, ვინაიდან სრულიად შემთხვევითია, რომ ჩვენ ასე ვმოქმედებთ და ჩვენი არსებობა ისეთია, როგორიც ის არის. ამდენად, სრულიად ადვილი მოსააზრებელია, რომ შესაძლოა არსებობდეს აქტივობის და არსებობის სხვა გზებიც (იხილეთ OC 92, 132, 264, 338, 430, 609), რომლებიც საფუძველს დაუდებდნენ შემოწმებადობის სხვა სისტემებს, ჩვენეულისგან სრულიად განსხვავებულს.“ [319]

ვიტგენშტაინის მოცემული მიმართულებით გააზრება მის ანტიფუნდამენტალისტურად მოაზრების შანსსაც ტოვებს:

---

[318] Colliva, *Was Wittgenstein an Epistemic Relativist*,125.

„არსებობს მტკიცების შესაძლებლობა, რომ ვიტგენშტაინი უბრალოდ ანტი-ფუნდამენტალისტი იყო: მას სჯეროდა, რომ ჩვენი მსოფლხედვა არ არის დაფუძნებული და ის ცნობიერებისგან (სრულიად) დამოუკიდებელი რეალობის უბრალო რეფლექსიას წარმოადგენს.“ [320]

ზოგიერთი მოაზროვნე ვიტგენშტაინისეულ თეორიას, რომ ცოდნის საფუძვლად უეჭველობა დევს, განიხილავს, როგორც ცოდნის საფუძვლად ცოდნის არსებობას, თუმცა ვიტგენშტაინი ამ თვალსაზრისს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, ცოდნის ბუნება არ არის უეჭველობა, უეჭველობა მასთან სხვა განზომილებაა, ენობრივი თამაშის დაფუძნებასთან დაკავშირებული:

„მიუხედავად ვიტგენშტაინის კატეგორიული სხვაობისა, ზოგიერთი კომენტატორი „უეჭველობის შესახებ“ ნაშრომში უეჭველობას, რომელიც ჩვენს ცოდნას უდევს საფუძვლად, თავად ცოდნად მოიაზრებს. როგორც მიშელ ვილიამსი აცხადებს: „ცოდნა... წარმოიქმნება წინა ცოდნისგან“ (2001, 176). (მოიალ-შეროკი, 2021, 138, 139)

თუმცა „უეჭველობის შესახებ“ მესიჯი ზუსტად გადმოსცემს, რომ ცოდნას არ ესაჭიროება ბაზისად ცოდნა. ვიტგენშტაინისთვის საფუძვლად მდებარე ცოდნა არ არის უეჭველ წინადადებებზე დაფუძნებული, რომელთა შემოწმებადობა არის საჭირო.“ [321]

აქვე მოიალ-შეროკის მიერ მოცემულია მცირე ჩამონათვალის სახით ვიტგენშტაინისეული უეჭველი დებულებების მახასიათებლები, რაც გარკვეულ სურათს იძლევა, რა ტიპის განზომილებასთან გვაქვს საქმე და გვიჩვენებს, რომ ამ ტიპის დებულებების უეჭველად განსაზღვრა გარკვეულ ენობრივ თამაშში, როგორც უკვე წინაპირობისა, განსაზღვრავს ენობრივი თამაშის გარკვეულ

[320] Colliva, *Was Wittgenstein an Epistemic Relativist*, 126.

[321] Moyal-Sherock, Certainty in Action, 139.

დამოუკიდებლობასაც. ამდენად, რელატივისტური მიდგომები და ანტიუფუნდამენტალისტური თვალსაზრისები ვიტგენშტაინის წაკითხვის ერთი ტიპის ინტერპრეტაციაა, რომელიც სრულყოფილად ვერ ჯდება ვიტგენშტაინისეულ სრულ სურათში:

„ვიტგენშტაინის თვალსაზრისს განვითარებულს ნაშრომში „უეჭველობის შესახებ“ მას უჩვენებს, რომ ჩვენს საფუძვლად მდებარე უეჭველ დებულებებს აქვთ შემდეგი კონცეპტუალური მახასიათებლები:

● არაეპისტემური: ისინი არ ვიცით; არ მოწმდება

● უეჭველი: მათთან მიმართებით ეჭვი და შეცდომა ლოგიკურად უსაზრისოა

● საფუძვლად მდებარე: ისინი აზროვნების დაუფუძნებელი საფუძველია

● არაემპირიული: ისინი არ წარმოადგენენ გამოცდილებიდან მიღებულ დასკვნებს

● გრამატიკული: ისინი წარმოადგენენ გრამატიკის წესებს

● არაპროპოზიციული: ისინი არ წარმოადგენენ წინადადებებს

● გამოუხატვადი: ისინი არ გამოითქმის

● მოქმედებით გამოხატული: ისინი თავის თავს ავლენენ მხოლოდ ჩვენი სიტყვით ან მოქმედებით.“ [322]

ნაშრომის წინა თავებში სხვადასხვა ადგილას უკვე ვახსენეთ, რომ ვიტგენშტაინის სტილს ხშირად ადარებენ სოკრატულს და გარკვეულ პარალელებს ავლებენ მის და სოკრატესა და პლატონის თვალსაზრისებს შორის. ამასთან, დეტალურად განვიხილეთ პლატონის შემეცნების თეორიის კავშირი თანამედროვე ეპისტემოლოგიურ შეხედულებებთან, რომელთა ნაწილს წარმოადგენს თავად

[322] Moyal-Sherock, Certainty in Action, 139, 140.

ვიტგენშტაინის ეპისტემოლოგიური თვალსაზრისი, თუმცა ის განსხვავებულ ჭრილში სვამს შემეცნების საკითხებს და მათი გადაჭრის გზებს. აგრეთვე, განვავითარეთ პოზიცია, რომ ვიტგენშტაინის ფილოსოფიური აზრის განვითარების პერიოდებს შორის დამაკავშირებელია სწორედ მისი მისწრაფება, მივაღწიოთ ცოდნის მიღების გზას, შემეცნების განხორციელებას. ამ პროცესში მას თავისებური გავლენა ჰქონდა ანტიკური ფილოსოფიისგან, მიუხედავად მისი ფილოსოფიის პოზიტივისტურად და ათასგვარ სხვადასხვა ჭრილში განხილვისა.

აღსანიშნავია, რომ ვიტგენშტაინი თავის პირად საუბრებში აღნიშნავდა, რომ ის ხშირად კითხულობდა პლატონის დიალოგებს. მიუხედავად იმისა, რომ თავად მასზე გავლენის მქონე ფილოსოფოსებად პირველ ადგილზე ფრეგეს და რასელს ასახელებდა, მის ნაშრომებში გაცილებით მეტი ციტატაა პლატონისეული, ვიდრე ნებისმიერი სხვა ფილოსოფოსისა, რაც ასე ზედაპირული განხილვის საგანი ვერ იქნება და აშკარად უფრო ღრმა ანალიზს საჭიროებს:

„ვიტგენშტაინი კითხულობს პლატონს. რამდენადაც ფრეგე და რასელი ცხადია უეჭველად უფრო მნიშვნელოვანი იყო მისი ფილოსოფიური განვითარებისთვის, ამავე დროს, პლატონი არ იყო მოხსენიებული მის მიერ 1931 წელს მოცემულ სიაში ავტორებისა, რომელთაც მასზე გავლენა მოახდინეს, ვიტგენშტაინის ნაწერები შეიცავს პლატონის უფრო მეტ ციტირებას, ვიდრე ნებისმიერი სხვა ფილოსოფოსისა.“ [323]

ვიტგენშტაინის მიერ პლატონით დაინტერესებას აღნიშნავს აიერიც, თუმცა მის მიხედვით, მის ნაშრომებში პლატონისეული იდეები არ გვხვდება, რასაც ჩვენ ვერ გავიზიარებთ და საკითხის ამგვარი დასმა მხოლოდ გარკვეული ინტერპრეტაციის შედეგია:

[323] Perrissinotto, Camara, *Wittgenstein and Plato*, 25.

„ფილოსოფოსი, რომელსაც, ცნობილია, რომ ის კითხულობდა და მოსწონდა, არის პლატონი, თუმცა მის შრომაში პლატონური იდეის არანაირი კვალი არ არის.“ [324]

ვიტგენშტაინთან განსაკუთრებით გამოყოფილია პლატონის ოთხი დიალოგი:

„ის ცალსახად აღნიშნავს ოთხ დიალოგს: თეეტეტი, კრატილი, ქარმიდე, და ფილებოსი. ამასთან, ის ახსენებს ... სახელმწიფოს.“ [325]

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ ფაქტს, რომ ვიტგენშტაინი ხშირად იმეორებდა, რომ მას არასდროს წაუკითხავს არისტოტელე, თუმცა ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ის ხშირად კითხულობდა პლატონს. გარდა პლატონისა, ის დიდი ინტერესით კითხულობდა ნიცშეს და კირკეგორს და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ამ ფილოსოფოსს ბევრი რამ აკავშირდება პლატონთან და სოკრატესთან:

„ჩვენ გარკვეული საკითხები ვიცით ვიტგენშტაინისა და პლატონის შესახებ. მაგალითად, ვიტგენშტაინი, რომელიც ტრაბახობდა, რომ მას არასდროს წაუკითხავს არისტოტელე, ცალსახად იყო პლატონის მკითხველი. ამდენად, შესაძლოა გაუცნობიერებლად, ის იჭერდა პლატონური კემბრიჯის მხარეს და უპირისპირდებოდა არისტოტელურ ოქსფორდს. ჩვენ ასევე ვიცით, რომ ორ ფილოსოფოსს განსაკუთრებული ინტერესით კითხულობდა ვიტგენშტაინი, ესენი არიან კირკეგორი და ნიცშე. ამასთან, ორივე მათგანს, კირკეგორსაც და ნიცშესაც მნიშვნელოვანი კავშირები აქვთ პლატონთან, და კერძოდ, სოკრატესთან.“ [326]

ვიტგენშტაინი თვლიდა, რომ მისი ფილოსოფიური აზრი ვერ მოექცევა ტრადიციულ ფილოსოფიურ ჩარჩოებში, ის პლატონური ფილოსოფიისგან

---

[324] Ayer, *Wittgenstein*, 15.

[325] Perrissinotto, Camara, *Wittgenstein and Plato*, 25.

[326] Ibid. 48.

განსხვავებულია, ახალი ტიპის ხედვაა, მას პრობლემები სხვა განზომილებაში გადააქვს:

„ჩვენთვის ცნობილია, რომ ვიტგენშტაინის მიერ პლატონის ამა თუ იმ დიალოგზე რეფერირება მის ტექსტებსა და დოკუმენტებში საკმაოდ ხშირია, განსაკუთრებით თუ შევადარებთ სხვა ფილოსოფოსების ან მოაზროვნეების იშვიათად მოხსენიებას. ასევე ჩვენთვის ცნობილია, რომ ვიტგენშტაინი აშკარად წამოსწევდა საკითხს, ჯდებოდა თუ არა მისი ფილოსოფია იმ ფილოსოფიური ტრადიციის ფარგლებში, რომლის დამფუძნებელი იყო პლატონი. როგორც ჩანს მისი პასუხი იყო უარყოფითი, თუმცა ამ უარყოფითაც კი ის არ ეწინააღმდეგებოდა მისი ფილოსოფიის პლატონიზმთან დაკავშირებას, არამედ, უფრო ზოგადად, ეწინააღმდეგებოდა თავისი ფილოსოფიის „ტრადიციულ“ ფილოსოფიად გაგებას.“ [327]

ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ ვიტგენშტაინის დიალოგური წერის სტილიც გარკვეულ გავლენას განიცდიდა სოკრატული და პლატონური ფილოსოფოსობის პრინციპებისგან და ეს საკითხი არ უნდა დარჩეს ღრმა ანალიზს მიღმა:

„საბოლოოდ, მესამე საკითხი, რაც ჩვენ ვიცით ვიტგენშტაინისა და პლატონის შესახებ არის ის, რომ საწყის ეტაპზე მაინც ვიტგენშტაინის დამოკიდებულება პლატონისადმი და, მეტიც, მისი დიალოგების პროტაგონისტისადმი სიმპათიით იყო გამსჭვალული. ეს საკითხი საჭიროებს დეტალურ გააზრებას.“ [328]

ვიტგენშტაინის ფილოსოფიური აზრის უფრო დეტალური ანალიზის და პლატონურ ტრადიციასთან შედარება აჩვენებს, რომ შესაძლოა, ჩვენ არ გვესმის ყველა ის პრობლემა, რაც პლატონთან არის დასმული, წერის დიალოგური სტილი

---

[327] Perrissinotto, Camara, *Wittgenstein and Plato*, 49.

[328] Ibid. 50.

აქაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის, რომ სრულყოფილად შევძლოთ ავტორის ჩანაფიქრის აღქმა:

„ალბათ, ეს პლატონი კი არაა, ვინც არაა მისაღები; ალბათ, ეს უფრო ჩვენ ამჟამად ვართ ისინი, ვისაც არ შეგვიძლია მისი გაგება; ალბათ, პლატონი, რომელიც მისაღებად არ გვეჩვენება, არის მხოლოდ ჩვენი პროექცია მასზე.“ [329]

სოკრატული და პლატონისეული დიალოგური მსჯელობის თვალსაზრისი აჩვენებს, რომ ცოდნა მხოლოდ მაშინ გვაქვს, როდესაც შეგვიძლია მისი განსაზღვრა, მაგრამ თუ ვერ ვახერხებთ ამას, ამ შემთხვევაში ცოდნაზე საუბარი შეუძლებელია. ვიტგენშტაინთან გაგება ხორციელდება მაშინ, როდესაც შეგვიძლია სიტყვის, მნიშვნელობის გამოყენება, აქტივობა განსაზღვრავს ცოდნას:

„უმრავლესობა „მენონს“ ამგვარად კითხულობს, თუ შენ რაღაც იცი, უნდა შეძლო მისი განსაზღვრა, და თუ არ შეგიძლია ეს, შენ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა ვერცერთ საკითხს ვერ გამოიკვლევ. მე ვამტკიცებ, რომ პლატონი გვიჩვენებს, რომ სოკრატე ამ სახის პოზიციას იკავებს (როგორც ვიტგენშტაინის მოპასუხე), რათა დიალოგში ის დაამარცხოს. დიალოგი გვიჩვენებს იმას, რაც ვიტგენშტაინს სურს გვიჩვენოს, რომ ცნების გაგებისთვის უნდა შეგვეძლოს მისი გამოყენება... უფრო მეტიც, შეგვეძლოს ახსნა, რომ რაიმეს დახასიათებისთვის ჩვენ არ მოგვიხდეს ერთი საერთო მახასიათებლის მოცემა ან რაიმე აუცილებელი და საკმარისი პირობების მოტანა. ჩვეულებრივ, ასეთ დროს ჩვენ მივმართავთ პრაქტიკას.“ [330]

ვიტგენშტაინი თავისი დიალოგური ტიპის აზროვნებით ცდილობდა, რომ ჩვენ ყურადღება გაგვემახვილებინა შემეცნების პროცესში აქტივობაზე, ენის გამოყენებაზე, როგორც პროცესზე:

---

[329] Perrissinotto, Camara, *Wittgenstein and Plato*, 52.

[330] Ib id., 196, 197.

„ვიტგენშტაინი გამუდმებით მუშაობდა იმაზე, რომ ჩვენი ყურადღება მიემართა ენის გამოყენების კონკრეტული, სივრცითი და დროითი ფენომენისადმი.“ [331]

ვიტგენშტაინის ფილოსოფიის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ჩვენი აზროვნების შეცვლა, ახალი ტიპის ხედვის ჩამოყალიბება, თვალთახედვის გაფართოება თუ ღერძის ცვლილება:

„მისი თერაპიული პროცესის მუდმივი განმეორებით ვიტგენშტაინი ჩვენი აზროვნების თანდათანობით შეცვლას ცდილობს. კუმულაციურ ეფექტს წარმოადგენს ის, რომ ჩვენ ვიწყებთ საგნების სხვაგვარად ხედვას.“ [332]

ამდენად, ვიტგენშტაინის სამივე პერიოდის ფილოსოფიის გამაერთიანებელი მომენტია ცოდნის ძიება, შემეცნების განხორციელება, სამყაროზე გასვლა, რომ შევძლოთ სწორი აზროვნება, განვივითაროთ ახალი ხედვა, შევძლოთ გარკვეულ კითხვებზე ახალი პასუხების მოპოვება და ახალი ტიპის კითხვების დასმა, რაც ახალი დროის და ახალი ეპოქის შესაბამისი უნდა იყოს.

---

[331] McGinn, *Wittgenstein and the Philosophical Investigations*, 110.

[332] Ibid. 28.

დასკვნა

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ, რა თქმა უნდა, ვიტგენშტაინის ფილოსოფიური აზრის მნიშვნელოვნება კითხვის ნიშნის ქვეშ არასდროს დასმულა და ცალსახად აღინიშნება მისი გავლენა არა მხოლოდ ენის ფილოსოფიურ სკოლებზე, არამედ, ფილოსოფიის და არა მხოლოდ ფილოსოფიის მრავალ სხვა მიმართულებასა თუ სფეროზე. ვიტგენშტაინის მსოფლმხედველობის კიდევ ერთი კვლევის მიზანი იყო გამოგვეკვეთა მისი ფილოსოფიის ისეთი მხარეები, რომლებიც შედარებით ნაკლებად აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში და რომელთა კვლევების ნაკლებობას განვიცდით.

ამასთან, ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიური მსჯელობის, წერის სტილის თავისებურება განსაზღვრავს იმას, რომ გვაქვს უამრავი სახის ინტერპრეტაცია, როგორც მისი ცალკეული ფილოსოფიური პერიოდებისა, ისე პერიოდების ერთმანეთთან მიმართების სახითაც. ამდენად, საჭიროა ინტერპრეტაციის ისეთი გზის მოძიება, რომელიც ეცდება უფრო ახლოს მივიდეს და დააფიქსიროს თვალსაზრისი, რაც გზას გაგვიხსნის შემდგომი მსჯელობებისა და განვითარებისთვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში დეტალურად იქნა განხილული ლუდვიგ ვიტგენშტაინის სამივე მთავარი პერიოდის ფილოსოფიური შეხედულებები და მოცემული იქნა განსხვავებული გზით მათი მოაზრების მცდელობა. ჩვენი აზრით, არ არის მართებული მივიჩნიოთ, რომ ვიტგენშტაინის შემდეგი ფილოსოფიები წინა ფილოსოფიის უარყოფას ან უბრალოდ გავრცობას წარმოადგენდნენ, ნაშრომში ცალსახად გაესვა ხაზი, რომ არსებობს უამრავი დამაკავშირებელი საკითხი თუ თემა, რომელიც ვიტგენშტაინის ყველა ფილოსოფიას გამსჭვალავს, და ამასთან, მთავარი მომენტი, რაც ვიტგენშტაინის ფილოსოფიურ აზრს ერთიან მთლიანობად წარმოგვიდგენს, არის შემეცნების

საკითხების განვითარება, აზროვნების ყველა ეტაპზე მის მიერ მთავარი პრობლემის - ცოდნის ძიების ხაზგასმა.

ვიტგენშტაინის ფილოსოფიების გამაერთიანებელია ეპისტემოლოგიური თვალსაზრისი „ტრაქტატის“, „გამოკვლევების“ ეტაპზე და შეკრული უკვე მის მესამე ფილოსოფიაში „უეჭველობის შესახებ“. ეს ბოლო ნაშრომი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, როგორც წინა პერიოდის მსჯელობათა, ძიებათა გამაერთიანებელი, მცდელობა, რომ მოცემულ იქნას სამყაროს ხედვის ახალი გზა, ახალი სფერო, ახალი ტიპის მიმართება, მიდგომა. ეს ყველაფერი დევს ვიტგენშტაინის შრომებში და საჭიროა ამ დაშიფრული ინფორმაციის ღრმა ანალიზი.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ვიტგენშტაინისეული ეპისტემოლოგია განსხვავდება XX საუკუნეში გავრცელებული ეპისტემოლოგიური თვალსაზრისისგან, სადაც ცოდნის ძიება რწმენაზე, შემოწმებადობაზე არის დაყვანილი. აქვე დეტალურად იქნა გაანალიზებული, თუ როგორ ითვლება პლატონი ამ შეხედულების საფუძვლის ჩამყრელად, თუმცა ჩვენი აზრით, ნაჩვენებია, რომ პლატონისეული და სოკრატესეული ხედვა განსხვავებულია და ის არ გულისხმობდა თანამედროვე ტიპის რწმენების შემოწმებადობის პრაქტიკებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საინტერესო და ამასთან, მომავალში მნიშვნელოვანი კვლევის საკითხია ვიტგენშტაინის და პლატონის ფილოსოფიების მიმართება, თუ რატომ იყო დაინტერესებული ვიტგენშტაინი სწორედ პლატონური ფილოსოფიით, რატომ თვლიდა მას აქამდე არსებული ფილოსოფიური მსოფლმხედველობის განმსაზღვრელად, როგორ ცდილობდა მის გაგებას ან როგორ ესმოდა ის.

და ბოლოს, განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, თუ როგორი ახალი ტიპის ეპისტემოლოგია განავითარა ლუდვიგ ვიტგენშტაინმა, შემეცნების თეორია დაფუძნებული მოქმედებაზე, როგორ დააკავშირა სიტყვის მნიშვნელობა

ჩვენს პრაქტიკებთან და უეჭველობასთან, როგორ შეკრა ენობრივმა თამაშმა ჩვენი ცოდნისთვის აუცილებელი ელემენტები.

ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიის, შეიძლება ითქვას, გამაერთიანებელია უეჭველობის და ეჭვის გონივრულობის საკითხები. ვიტგენშტაინისეული ეჭვის გონივრულობა გარკვეულ მიმართებაშია დეკარტის რაციონალიზმთან, დეკარტისეულ გონების ბუნებრივ სინათლესთან, თუმცა ვიტგენშტაინი აკრიტიკებს და ეწინააღმდეგება დეკარტისეულ დაეჭვებას, სკეპტიციზმს, ზოგადად, დეკარტისეული სკეპტიციზმი შეუძლებლად მიაჩნია, ვინაიდან, მისი აზრით, ყველაფრის უარმყოფელი ეჭვი არ არის გონივრული.

ვიტგენშტაინის ფილოსოფიური აზრის საბოლოო პუნქტია უეჭველობა, ის არის მისი ამოსავალი წერტილი, უეჭველობაზე იგება ჩვენი აქტივობებით განსაზღვრული ენობრივი თამაშები, გვაძლევენ მნიშვნელობებს და ამ მნიშვნელობებით ვოპერირებთ, გვაქვს სამყაროსადმი მიმართება. ეს სრულიად ახალი ტიპის ეპისტემოლოგიაა, რომელიც იმ სივრცეში ჩნდება, რასაც „ტრაქტატი“ ვერ გამოთქვამდა, მკაცრ ერთიან, ერთ ლოგიკურ ჩარჩოში ვერ ექცევა, ვინაიდან გვაქვს უამრავი ენობრივი თამაში, რომელიც მრავალი ლოგიკით იგება და ისინი განსაზღვრავენ ჩვენს ენას და სამყაროსადმი ჩვენს მიმართებას.

ჩვენი აზრით, უეჭველობის საკითხით ვიტგენშტაინი აერთიანებს თავის მნიშვნელობის თეორიასა და ეპისტემოლოგიას, ენობრივი თამაშის თეორიას და უეჭველობის პრობლემას. ენობრივი თამაშის საფუძვლად დევს გარკვეული უეჭველი დებულებები, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი ცოდნის, შემეცნების საფუძველს.

ეჭვის გონივრულობა სწორედ უეჭველობის საფუძვლად დაშვების შესაძლებლობაა, რაც ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიის გასაგებად და ზოგადად, ეპისტემოლოგიასა და მნიშვნელობის თეორიებს შორის კავშირის გასააზრებლად. ამ მომენტის

გაცნობიერება დაგვეხმარება არა მხოლოდ ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიის სხვადასხვა ნაწილების ერთიანად აღქმაში, არამედ, გარკვეულ წვლილს შეიტანს ეპისტემოლოგიასა და სემანტიკას შორის კავშირის გაგებაში და ხელს შეუწყობს ინტერდისციპლინარული ხედვების განვითარებას.

ბიბლიოგრაფია:

1. ავგუსტინე. *აღსარებანი,* თარგ. ბაჩანა ბრეგვაძე, თბილისი: თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გამომცემლობა „ნეკერი“, 1996.
2. ბრაჭული, ირაკლი, რამიშვილი, ვალერიან, ზაქარიაძე, ანასტასია, ჯალაღონია, დემურ. *ფილოსოფიის შესავალი,* თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი, 2015.

3. დეკარტი, რენე. *მსჯელობა მეთოდის შესახებ, მეტაფიზიკური მედიტაციები.* თარგ. დ.ლაბუჩიძე-ხოფერია, თბილისი: Carpe Diem, 2010.

4. ვიტგენშტაინი ლუდვიგ. *ფილოსოფიური გამოკვლევები.* თარგ. გიგა ზედანიასი, თბილისი: ლოგოს პრესი, 2003.

5. ვიტგენშტაინი ლუდვიგ. *ლოგიკო-ფილოსოფიური ტრაქტატი,* ქართული თარგმანი, თბილისი: გამომცემლობა „საარი“, 2020.

6. თევზაძე, გურამ. *XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია,* თბილისი: თბილისის

უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.

7. კვარაცხელია, ნაპო. *შემეცნების თეორია,* თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“,

2019.

8. ნუცუბიძე, შალვა. *ალეთოლოგიის საფუძვლები,* თბილისი: სახ. მეურ. უმაღ.

საბჭოს სტამბა, 1922.

9. პლატონი. *მენონი.* თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის. ნაკადული. თბილისი, 1974.

10. პლატონი. *მეშვიდე წერილი.* თარგმანი ლელა ალექსიძის. პროგრამა ლოგოსი. თბილისი, 2011.

11. პლატონი. *სახელმწიფო.* თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის. გამომცემლობა ნეკერი. თბილისი, 2003.

12. Abelson, Raziel. *Meaning, Use and Rules of Use*, Philosophy and Phenomenological Research, Vol. 18, No. 1 (Sep., 1957), pp. 48-58.

13. Addis, Mark. *Wittgenstein: A Guide for the Perplexed*. London: Continuum International Publishing Group, 2006.

14. Ahmed, Arif. *Wittgenstein's Philosophical Investigations*. *A Critical Guide*. Ed. Arif Ahmed, Cambridge, New York: Cambridge University Press, 2010.

15. Ambrose, Alice. *Wittgenstein's Lectures*, Cambridge, 1932-1935, New York: Prometheus Books, 2001.

16. Anscombe, Gertrude E.M. *An Introduction to Wittgenstein's Tractatus*, London: Hutchinson, 1959.

17. Audi Robert. *Epistemology. A Contemporary Introduction to the Theory of Knowledge*. New York: Routledge. Taylor & Francis Group. 2011.

18. Ayer, Alfred J. *Wittgenstein*, Random House: New York, 1984.

19. Baker, George P., and Peter M.S. Hacker. *Wittgenstein: Understanding and Meaning*, Volume 1 of an Analytical Commentary on the Philosophical Investigations, Oxford: Blackwell (2nd extensively revised edition 2005), 1980.

20. Baker G.P. and Hacker P.M.S., *Wittgenstein: Rules, Grammar and Necessity*, United Kingdom: Blackwell Publishing, 2009.

21. Campbell, Joseph Keim, O'Rourke, Michael, Silverstein, Harry S. *Knowledge and Scepticism,* Massachusets Institute of Technology, Cambridge, Massachusets: MIT Press, 2010.

22. Chisholm Roderick M. *Theory of Knowledge*. USA: Prentice-Hall, Inc. 1989.

23. Colliva, Annalisa. *Was Wittgenstein an Epistemic Relativist*? Philosophical Investigations 33:1 January 2010.

24. Dancy Jonathan, Sosa Ernest, Steup Matthias. *A Companion to Epistemology*. United Kingdom: Blackwell Publishing Ltd. 2010.

25. Fumerton Richard. *Epistemology*. United Kingdom: Blackwell Publishing Ltd. 2006.

26. Gerson Lloyd P. *Ancient Epistemology*. New York: Cambridge University Pres*s*, 2009.

27. Gettier Edmund L. *Is Justified True Belief Knowledge?* Analysis, Vol. 23, pp. 121–23. 1963.

28. Grayling, Anthony Clifford. *Wittgenstein*, Past Masters, New York, Oxford: Oxford University press, 1996.

29. Hamilton, Andy. *Wittgenstein and On Certainty*, Routledge Philosophy Guidbooks, Abingdon, Oxon: Routledge, 2014.

30. Kahane, Guy, Edward Kanterian, and Oskari Kuusela. *Wittgenstein and His Interpreters*. Eds. Guy Kahane, Edward Kanterian, and Oskari Kuusela. Oxford, England: Blackwell Publishing, 2007.

31. Kenny, Anthony. *Wittgenstein*, Oxford: *Blackwell Publishing,* 2006.

32. Kvanvig J. *The Value of Knowledge and the Pursuit of Understanding*. New York: *CambridgeUniversity Press*. 2003.

33. Lavy, Liat. Li*stening to unreason: Foucault and Wittgenstein on reason and unreasonable man*, Foucault Studies, No. 25, 213-227, October 2018.

34. Lugg, Andrew. *Wittgenstein's Investigations 1-133, a Guide and Interpretation*. London: Routledge, 2000.

35. Luntley, Michael. *Wittgenstein*, Opening Investigations, Oxford, UK: Wiley Blackwell, 2015.

36. Marques, Antonio, and Venturinha, Nuno. *Knowledge, Language and Mind*, Wittgenstein's Thought in Progress, Berlin: Walter de Gruyter GmbH & Co. KG, 2012.

37. McGinn, Marie. *Wittgenstein and the Philosophical Investigations*. London: Routledge, 1997.

38. Monk, Ray. *Ludwig Wittgenstein: The Duty of Genius*, New York: Macmillan, 1990.

39. Moore, George Edward. *Philosophical Papers, Proof of an External World,* New York: Collier Books, 1962.

40. Moore, George Edward. *Philosophical Papers, A Defence of Common Sense,* New York: Collier Books, 1959.

41. Morris, Michael. *Routledge Philosophy Guidebook to Wittgenstein and the Tractatus Logico-Philosophicus*, London: Routledge, 2008.

42. Morrow, Glenn R. *The Theory of Knowledge in Plato's Seventh Letter*. The

Philosophical Review. Vol. 38. Issue 4. pp. 326-349 Jul., 1929.

43. Moser, Paul K. *The Oxford Handbook of Epistemology*. USA: Oxford University Press, 2002.

44. Moyal-Sharrock, Daniele. Certainty in Action, Wittgenstein on Language, Mind and Epistemology. Great Britain: Bloomsbury Publishing, 2021.

45. Pears, David F. *The False Prison*, vols. I and II, Oxford: Oxford University Press, 1987, 1988.

46. Perissinotto, Luigi, Camara, Begona Ramon. *Wittgenstein and Plato, Connections, Comparisons and Contrasts*. New York: Palgrave Macmilan, 2013.

47. Preston, John. *Wittgenstein and Reason*, United Kingdom: Blackwell Publishing Ltd., 2008.

48. Pritchard, Duncan. *Epistemic Angst*, Princeton: Princeton University Press, 2015.

49. Rescher, Nicholas. *Epistemology. An Introduction to the Theory of Knowledge.* USA: State University of New York Press. 2003.

50. Richter, Duncan. *Wittgenstein At His Word*, New York: Continuum, 2004.

51. Scott, Daniel. *Plato's Meno*. Cambridge Studies in the Dialogues of Plato. New York: Cambridge University Press, 2005.

52. Stern, David G. *Wittgenstein's Philosophical Investigations*, An Introduction, Cambridge: Cambridge University Press, 2004.

53. Stroll, Avrum. *Moore and Wittgenstein on Certainty*, New York: Oxford University Press, 1994.

54. Suszko, Roman. *Ontology in the Tractatus of L. Wittgenstein*. Notre Dame Journal of Formal Logic, Vol. 9, Number 1, (January 1968): 7-33.

55. Teyedor, Chon. *Starting with Wittgenstein*, London: Continuum International Publishing Group, 2011.

56. Williamson, Timothy. *Knowledge and Its Limits*. USA: Oxford University Press. 2000.

57. Wittgenstein, Ludwig, *On Certainty*, ed. G.E.M.Anscombe and G.H.von Wright, Trans. by Denis Paul and G.E.M. Anscombe, Oxford: Basil Blackwell, 1969.

58. Wittgenstein, Ludwig, *Philosophical Grammar*, ed. by Rush Rhees, Trans. by Anthony Kenny, Oxford: Basil Blackwell Publisher Limited, 1988.

59. Wittgenstein, Ludwig, *The Blue and Brown Books* (BB), Oxford: Blackwell, 1998.